

საგზის პანაზიძე



ქართული
ბიბლიოთეკა

დირვოკის მამი

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1982

ლეგოხის ძეგლი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი ეძღვნება დიდგორის ომს, რომელიც XI საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინველესი მოვლენაა.

დიდგორის ომში თურქ-სელჩუკთა წარის სასტიკი განადგურებით ქართველი ხალხი განთავისუფლდა თურქთა საფეოდალური მოძალეობისაგან და დასაბამი მიეცა საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო აღორძინებას.

წარმოშობი ფართოდაა გამოქვეყნებული საქართველოს მშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ეთაარება, ქართველი ხალხის ბრძოლა გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, მისი ბრძოლა გარეშე მტრებისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის.

1959, 2
K 186, 581

სსრკ-2000
გამოცემის

10601 — 034
K ————— 137 — 82
M-602(08) — 82

ქ. ბატონიძის საზ. სსრ-ის
© გამომცემი
„საბჭოთა საქართველო“ გამომცემლობა, 1982
თბილისი, ვ. ბრძიანი ქ.



უნივერსალ
ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე სარგის (სერგო) ნესტორის ძე კაკაბაძე (1886—1967) დაიბადა იმერეთის სოფელ კუბში (წმინდის რაიონი).

ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფემ, 16 წლის სარგისმა, „ფსევდონიმით Homo Novus, გამოაქვეყნა ერთელი წერილი „ქართველთა რიცხვი ასა წლის წინათ“ (გაზ. „ივერია“, 1902 წ. № 254, გვ. 3). მას მოსე ჯანაშვილმა „საველძისმებერთ გამოკვლევა“ უწოდა („ივერია“, 1902 წ., № 256, გვ. 2). გმვი არ შეპარვია, რომ თანატოლზე წერდა.

სარგისის თანავიმნაზიელი, შემდეგში, დიდი მეცნიერადი დიმიტრი უზნაძე იგონებდა: გიმნაზიაში ოთხ პირველთაგან სენს შორის უპირველესი იყო სარგის კაკაბაძე. მაშინდელი მისი რეფერატები ისტორიის საკითხებზე, გამოკვლევებს წარმოადგენდა.

სარგისმა წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია 1905 წელს და ვენის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ისტორიის განყოფილების სტუდენტი გახდა (1905—1907 წლები). შემდეგ იგი ვადმოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე. აქ მან 1909 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, საერთაშორისო ნაშრომით თემაზე „თეანე და ზაქარია მხარგრძელების მოღვაწეობა წყაროებისა და სომხურ-ქართული წარწერების მიხედვით“, ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

მომდევნო წელს ს. კაკაბაძემ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. ნიკო მარტა ს. კაკაბაძის სადიპლომო ნაშრომის თაობაზე აღნიშნა, რომ იგი არის ფრთხილ სერიაოზული გამოკვლევა და ავტორის რუსული ენის სტილიც კი ბევრ მეცნიერს შეშურდებოდა.

ს. კაკაბაძე 1910 წელს ბრუნდება თბილისში და იწყებს დამოუკიდებელ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1911—1919 წლებში იმასწავლიდა მესამე გიმნაზიაში, ლექციებს კითხულობდა ქალის უმაღლეს კურსებზე და ამიერკავკასიის სახალხო უნივერსიტეტში; ამტოვრად მუშაობდა ნაწილობდა ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა ზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სხვათა საქმიანობაში, სისტემატორად იბეჭდებოდა ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა წიგნებსაც.

ს. კაკაბაძე 1918—1932 წლებში წამყვანი თანამშრომელი იყო მაშინდელი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტისა.

ს. კაკაბაძე 1918 წელს დაამტკიცეს თბილისის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად, ხოლო შემდეგ მას პროფესორობაც მიანიჭეს. 1934 წლიდან 1952 წლამდე ს. კაკაბაძე კითხულობდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა კურსს ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ამავე დროს მუშაობდა თბილისის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში. პენსიაზე გასვლის შემდეგ, კონსულტანტობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრასა და სახელმწიფო მუზეუმს, თანამშრომლობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ცენტრალურ არქივში.

საჩვენის კაკაბაძე 60-ზე მეტი წლის განმავლობაში ეწეოდა მრავალმხრივ სამეცნიერო-კვლევით, სამეცნიერო-ორგანიზაციულსა და პედაგოგიურ მუშაობას. მისი მოღვაწეობა გამორჩეულია „არასვეულუბრივი ნებისყოფით, დიდი ნაყოფიერებით, კვლევა-ძიების დამოუკიდებლობითა და ორიენტილობით. ს. კაკაბაძე წარმატებით აგრძელებდა წინამორბედების საშვილიშვილო საქმიანობას საისტორიო ძიებებში, დამლომატიკის, არქეოგრაფიის, პალეოგრაფიის, ტექსტოლოგიისა და კლასიკური ლიტერატურის პრობლემებსა და საკითხებზე, ეწეოდა ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლების პუბლიკაციას.

ს. კაკაბაძემ 200-მდე საეფთარი დოკუმენტი დაუღო საფუძვლად მისი ინიციატივით დაარსებულ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივს, რომელსაც მეცნიერი უძღვებოდა 1921—1926 წლების განმავლობაში. 1924—1934 წლებში ს. კაკაბაძე სიძველეთა დაცვის ხელმძღვანელი იყო და უთვალავი საისტორიო ძეგლი, ძეირფასი სამუზეუმო ნივთი, ნუმიზმატიკური კოლექცია და დოკუმენტი გადაარჩინა დაღუპვისაგან“ (ვაზ. „კომუნისტი“, 1967 წლის 5 აპრილი).

ს. კაკაბაძის 300-ზე მეტი სახელწოდების ნაშრომთა ბიბლიოგრაფიაში ირიცხება „ისტორიული საბუთების“, წიგნი I—IV (1913 წ.), „დასავლეთი საქართველოს საეკლესიო საბუთები“, წიგნი I—II (1921 წ.) და სხვ.

ს. კაკაბაძის მეტი გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალები (განსაკუთრებით — სიგელ-გუჯრები) შეიცავენ ფეოდალური საქართველოს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული გეოგრაფიის, პალეოგრაფიისა და ქართული კლასიკური ლიტერატურის უამრავ საკითხებს.

მეცნიერულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ს. კაკაბაძის გამოცემული „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ (1914 წ.), „ისტორიის ძიებანი“ (1924), „შტუდიები“ და მთელი რიგი სტატიები. მის მიერვე დაარსებულსა და ნარედაქტორებ გამოცემებში — „ქართული კრებული“, წიგნი I—IV (1928—1929), „საისტორიო მუშაობები“ I—IV (1924—1925) და სხვ.

ს. კაკაბაძე იყო ერთ-ერთი გამოჩენილი წყარომცოდნე; ბევრი დიკარგული საბუთის მის მიერ გადაწერილი პირი უკვე დედნის როლს ასრულებს.

ს. კაკაბაძის „საქართველოს ისტორია“, „ახალი საუკუნეების ეპოქა“ (1920 და 1922 წლების გამოცემები) 1923 წლამდე იყო ძირითადი სახელმძღვანელო რესპუბლიკის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

სამოქალაქო ისტორიის გარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია ს. კაკაბაძის დიდი ქართული კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ძეგლების პედაგოგიისა და ქართული ფილოლოგიის საკანძო და სხვა საკითხების გაშუქების მხრივ. მან ორ-ორგზის გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (1913—1927), ჩახრებაძის „თამარიანი“, შავთელის „ახდულ-მესიანი“ (1913—1937), ერთდელ „ამირანდარეჯანიანი“ (1939), თავისი გამოკვლევებით, კომენტარებითა და შენიშვნებით. ამთ გარდა, გამოაქვეყნა საფუძვლიანი მონოგრაფია „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“ (1966) და სხვ.

ს. კაკაბაძეს გამოუცემელი დარჩა საქართველოს ისტორიის შრავადი ტომი, ქართულ და რუსულ ენებზე, მონოგრაფიები („ვახტანგ გორგასალის ეპოქა“, „ერწანისის ბრძოლა“), „ქართული საისტორიო საბუთები“ (IX—XI ს. 1000 გვ. და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი დაწერილია 1966 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, ავტორის მიერ მისივე „ქართული ხალხის ისტორიის“ გამოქვეყნებული ნაწილის საფუძველზე და დიდგორის მიდამოების დამთავრებულ-შესწავლის შედეგად.

ახალგაზრდა სარჯისის მოღვაწეობას ადრევე წამახალისებლად გამოეხმაურა მსოფლიო პოეტი და ერის შრავალმხრივი მოამბე აკაკი წერეთელი (გაზ. „თემი“, 1913 წ. 1 აპრილი); ს. კაკაბაძის მეცნიერულ-საზოგადოებრივ საქმიანობას შემდეგად თანაგრძნობით ეხერობოდა ჩვენი საზოგადოებრიობა და მით უფრო აფასებს მას თანადროულთა.

იოსებ მეგრელიძე,
დოქტორი, პროფესორი

დიდგორის ომი


დიდგორის ომს (1121 წლის აგვისტო) ჩვენი ხალხის ისტორიაში უდიდესი შედეგი ჰქონდა: საქართველო განთავისუფლდა გარეშე ძალთა (უმთავრესად მომთაბარე თურქთა) მძლავრობისაგან, რასაც მოჰყვა XII ს. საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინება. დიდგორის ომში გამარჯვების გარეშე ჩვენს ხალხს არც თამარ მეფის ხანა ექნებოდა, და, ალბათ, არც შოთა რუსთაველი ეყოლებოდა. ამიტომ დიდგორის ომის ჯეროვნად შესწავლას ჩვენი ხალხის ისტორიისათვის თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ კი ძლიერ ცოტაა გაკეთებული. ჯერ ის ადგილიც არაა გამოჩვენებული, სადაც ეს გრანდიოზული ომი მოხდა, თუმცა ქართველი ხალხი, მოყოლებული XII ს-დან მტკიცედ იცავს ხსოვნას ამ ომის შესახებ და ყოველწლიურად უქმობს „დიდგორობას“ სოფელ დიღმის თავზე, სოფელ თელოვანის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით გაშლილ ვრცელ (2X5 კმ) ველზე. ცალკე კიდევ პატარა დიდგორობას — დიღმის წყლის სათავეს ზემოთ, დიდგორის მთის სწორ ზეგანზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ფაქტობრივი მასალების მიხედვით წარმოადგინოს დიდგორის ომის სურათი.

1. ლიტერატურის მიმოხილვა დიდგორის ომის შესახებ. პირველად მარი ბროსემ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესახებ უცხოური ცნობები დაურთო „ქართლის ცხოვრების“ თავის ფრანგული თარგმანის გამოცემას წიგნში *Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie*, SPb.

34705
20820P01030

- ADDITIONAL AIRBORNE CAPACITY
- ▲ AIRBORNE CAPACITY
- STORAGE AREA CAPACITY
- AIRBORNE FORCE
- AIRBORNE CAPACITY



(1851, გვ. 223-234, 236-241). მ. ბროსემ თავი მოუყარა ევროპულ დიდგორის შესახებ იმ დროისათვის ცნობილ ყველა უცხოურ წყაროს. ამ წყაროთა ავტორები იყვნენ: სომეხი ისტორიკოსი მათე ედესელი, რომელიც (რამდენიმე წლის დროზე მის ჩამჩენი ფიქრობდა) დაიღუპა მამამადიანების მიერ ქალაქ ედესის დაპყრობის დროს, არაბი ავტორი იაკუტი (გარ. 1228 წ.), აბულ-ფარაჟი (გარდ. 1288 წ.), ელ-აინი (გარდ. 1460 წ.). მ. ბროსეს აგრეთვე მოკლედ აქვს მოხსენებული ვოტიეს ცნობაც (იქვე, გვ. 229, შენ. 4), მაგრამ გამოტოვებული აქვს იბნ-ალ-ასირის ცნობა, დეფრემერის მიერ 1849 წელს მოცემული, თუმცა დეფრემერის ამ შრომას ის იხსენიებს (Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 367, შენ. 3).

მ. ბროსეს მიერ დაგროვილი ხსენებული ცნობები გამოიყენა დიპ. ბაქრაძემ (ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ 1885 წლის გამოცემის შენიშვნებში, გვ. 181-183).

დიდგორის ომს შეეხნენ: ნ. ხიზანიშვილი მონოგრაფიაში „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ (1894 წ.) და მ. ჯანაშვილი თავის „საქართველოს ისტორიაში“ (1895 წ.).

იბნ-ალ-ასირისა და ალ-ჯოზის დეფრემერის მიერ ფრანგულად გადათარგმნილი ცნობები დიდგორის ბრძოლის შესახებ ქართულად გამოაქვეყნა ა. მაკავარიანმა ქურნალ „მოამბეში“ (1898 წ., № 1 და 2).

დიდგორის ომს ყველა დასახელებული მასალის გამოყენებით ეხებოდა დ. კარიჭაშვილი თავის წიგნში „საქართველო XII საუკუნეში“ (1902 წ.). ამ ბრძოლას სხვადასხვა დროს, ასე თუ ისე, სხვა ავტორებიც შეეხენ.

დიდგორის ბრძოლის შესახებ ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ წერს: „თურქების სულტანმა შემოიერთა არაბეთის მეფე, სხვა მამამადიანი მთავრებიც და საქართველოსაკენ უზარმაზარი ჯარი გამოგზავნა. დავითმა არჩია მტრისთვის დაესწრო ბრძოლის დაწყება, თავისი ჯარი მამამადიანებს დიდგორის მთაზე, მანგლისის მახლობლად, შეაგება და ეკვეთა თურქებს. თუმცა თურქები რიცხვად ბევრად უფრო მეტი იყვნენ, მაგრამ დავითის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და სამშობლოს დამცველების მხნეობამ გაიმარჯვა. მაკ-

მადიანთა უზარმაზარი ლაშქარი სასტიკად დამარცხდა ქართველებს აურაცხელი სიმდიდრე ჩაუვარდათ. დიდგორის ბრძოლა მოხდა 1121 წლის აგვისტოში, მან დაამტკიცა, რომ საქართველო ეხლა აღმოსავლეთის იმპერიის ლიერესი სახელმწიფოთაგანი იყო“.

ბიბლიოციტა

„საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს 1946 წლის (მეორე) გამოცემაში პარაგრაფი დავით აღმაშენებლის შესახებ დაწერილია ს. ჯანაშიას მიერ. მას დიდგორის ბრძოლა ასე აქვს აღწერილი. თურქები 400—600 ათასი კაცის რაოდენობით წამოვიდნენ საქართველოსკენ. „მტრის ჯარმა სწრაფად იარა. მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში. მხარმარჯვნივ დასტოვა თბილისი და 1121 წლის 12 აგვისტოს შიადგა ქალაქ მანგლისს. თურქებს განზრახული ჰქონდათ ამ რაიონში გადაეღახათ თრიალეთის ქედი და მოეწყვიტათ დავით მეფე დასავლეთ საქართველოში მდებარე მისი ძირითადი ბაზებისაგან. დავითმა დიდი სისწრაფით ატარა თავისი სამოცდაათათასიანი ლაშქარი და მანგლისის ჩრდილოეთით დიდგორის მთაზე შეაგება იგი თურქებს. დიდგორის ბრძოლა მოხდა 1121 წლის 15 აგვისტოს. იგი დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველთა ჯარს გამოეყო და მტრის ბანაკისაკენ გაემართა 200 მხედარი. თურქებს ისინი მათ მხარეზე გადასული მოლალატენი ეგონათ და დაუბრკოლებლად მიუშვეს რაზმი შეაგულ ბანაკამდე. მაგრამ გულადმა ქართველმა მეომრებმა უეცრად ხმლები იშიშვლეს და დაერივნენ გაცეხულსა და დაბნეულ თურქებს. დავითმა ისარგებლა მტრის არეულობით და ელვისებურად ეცვითა მისი ლაშქრის ფრთებს. მაშინდინათა უზარმაზარი ჯარი სასტიკად დამარცხდა. თურქებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს დიდძალი მოკლული და დაჭრილი და გაქცევით უშველეს თავს. ქართველებმა დიდხანს სდიეს ლტოლვილ მტერს და აურაცხელი სიმდიდრე და მრავალი ტყვე ჩაიგდეს ზელში. დავითის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა და სამშობლოს დამცველთა მხნეობამ სრული გამარჯვება მოუპოვა საქართველოს“.

ნ. ბერძენიშვილი დიდგორის ომს აღწერს შემდეგნაირად (საქართველოს ისტორია. I. დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 160—161): „შევიწროებულმა თურქებმა სპარსეთ-

ში მკდარ თერქთა სულტანს სთხოვეს ქართველების წინა-
აღმდეგ დახმარება. სულტანმა საფრთხე სწორად შეაფასა და
კოალიციური ლაშქრის თადარიგი დაიჭირა. მაჰმადიანთა ტასა-
ჭირის ლოზუნგით მან მრავალი მაჰმადიანი მებრძოლი
იღძრა და საქართველოს უზარმაზარი ქარი შემოუწია.

„დავითი მტერს საესებით მოშადებული დაუხვდა. მან
ქართველთა ლაშქრის შემადგენლობა ამ ომისათვის საგანგე-
ზოდ შეარჩია. ქართველთა და ყივჩაყთა გარდა ამ ომში მო-
წაწილებოდა დასავლეთ ევროპულ ჯვაროსანთა ათასი მეომ-
რისაგან შემდგარი რაზმი.“

„დავითი თავისი ქარით თვით გაეგება მტერს და იქ აი-
ძულა მის ომის დაწყება, სადაც ქართველთათვის იყო ხელ-
საყრელი. ომი მოხდა თრიალეთ-მანგლდის მხრიდან შიდა
ქართლისაკენ მომავალ გზებზე, უმთავრესად კი დიდგორის
მიდამოებში. ამ ვიწროებში მტერმა თავისი რიცხოვრები სი-
ქარზე ვერ გამოიყენა და სასტიკადაც დამარცხდა. მრავალი
ათასი ტყვე და აურაცხელი სიმდიდრე დავლად დარჩათ ქარ-
თველებს. მტრის ვეება ქარის მცირე ნაწილმალა უშველა თავს
გაქცევით. ეს მოხდა 1121 წლის აგვისტოში.“

1965 წელს გამოქვეყნდა შ. მესხიას მონოგრაფია „დიდ-
გორის ომი“¹.

ახალი სიტყვა დიდგორის ბრძოლის შესახებ, — რომ ეს
ბრძოლა ქართველებმა მოიგეს მძიმედ შეიარაღებული რა-
ინდების წყალობით, — ნათქვამი იყო ჩემს მცირე წერილში
„დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი“ (ქუთაისის პედინსტი-
ტუტის შრომები, IV, 1942, გვ. 206—217). ამ მეტად მოკლე
წერილში ნათქვამი იყო, რომ დავითს ჯერ კიდევ ერწუხის
ოშში (1104 წ.) „უკვე პყავდა გაწვრთნილი მხედრობა ცხე-
ნიან-საჭურვლიანი, ე. ი. მძიმედ შეიარაღებულნიც. დავითის
მხედრობა შედგებოდა, როგორც მემატიაანის სიტყვებიდან
ჩანს, „მცირედისა ლაშქრისა და განწირულისა ერისაგან“. მთავარ ტაქტიკურ ძალას წარმოადგენდა სწორედ ეს „მცი-

¹ 1972 წელს გამოქვეყნდა შ. მესხიას მონოგრაფია „ქვემო საჯი-
რელი დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება“.

რედი ლაშქარი“, რომელიც უნდა ყოფილიყო მძიმედ შე-
იარაღებული რაინდული მხედრობა“ (იქვე გვ. 208).

იქვე სანიმუშოდ მომყავდა ქვაროსნების მიერ 1098 წელს
ახლად (1097 წ.) აღებულ ანტიოქიის შესანარჩუნებლად შექმნილი
ბილი ომი თურქ ამირა კერბოვის ლაშქართან. ამ ბრძოლაში
დაახლოებით 2—4 ათასი ნაბიჯის სიგრძეზე (სამუალოდ, მა-
შასადამე, ორი კმ-ის მანძილზე) საბრძოლო ხაზი ეკავა ორი
ათას რაინდ-მხედარს. რაინდების წინ იდგნენ ქვეითნი, რო-
მელნიც თვით ბრძოლის დროს რაინდების უკან დადგნენ.
„ქვაროსან-რაინდებმა შედარებით ადვილად დაამარცხეს
ამირა კერბოვის არმია და გააქციეს იგი. მთელი ამ ომის
სიმძიმე, ამგვარად, გადაიტანეს მხედარ-რაინდებმა, რომელ-
თა მძიმე შეიარაღებას ვერ დაუმაგრდა თურქების არმია და
დამარცხდა. (იქვე, გვ. 208, 209).

ასევე იყო დიდგორის ომშიც, სადაც ქართველებმა და-
მარცხება მოიპოვეს მძიმედ შეიარაღებული რაინდების მე-
ობებით. გოტიე წერს, რომ დავითმა თავისი ჯარის სათავეში
დააყენა ორასი ფრანკი (ევროპელი) მეომარი, რომელთაც
შეუტრეს თურქებს და დაამარცხეს ისინი“. „ექვს გარეშეა,
ეწორდი მე (იქვე, გვ. 217), აქ იგულისხმებიან ევროპელი
რაინდები, რომელნიც დავითის სამსახურში იმყოფებოდნენ
და რომელნიც მოქმედებდნენ ქართველ რაინდებთან ერთად,
რომელთა (ე. ი. ქართველი რაინდების, ხოლო ევროპელი
რაინდების რაოდენობა 200 კაცი უკვე ნაჩვენები იყო. —
ს. კ.) რიცხვი რამდენიმე ასი და, შესაძლებელია, ერთი-ორი
ათასი უნდა ყოფილიყო (იგულისხმებიან მძიმედ შეიარაღე-
ბული და საუკეთესოდ გაწეოთნილი რაინდები). მართლაც,
საესებით შესაძლებელია, რომ დიდგორის ბრძოლაში ამ მძი-
მედ შეიარაღებულ რაინდებს (ე. ი. არა მხოლოდ 200 ფრანკს,
არამედ მათთან ერთად 1-2 ათას ქართველ რაინდს. — ს. კ.)
გადამწყვეტი როლი შეესრულებინათ“ (იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილის აზრი საესებით გა-
საგები უნდა ყოფილიყო, 1943 წ. დეკემბერში გაზ. „კომუ-
ნისტის“ № 264-ში მ. კრავეიშვილის ფსევდონიმით გამოვი-
და შემდეგი ტენდენციური სათაურის მქონე წერილი —
„უპასუხისმგებლობა თუ ისტორიული ფაქტების ფალსიფი-

კაცია“. ამ წერილის ავტორი ამტკიცებდა, თითქოს წერილში მე ვამბობდი, რომ დიდგორის ომის ბუღა ორასი/ევროპელმა რაინდმა გადაწყვიტა¹. მე კი ვწერდი, რომ ამ ომში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მძიმედ შეიარაღებულმა რაინდებმა, რომელთაგან ორასი ევროპელი იყო და 1-2 ათასი ქართველი მეთქი.

„კომუნისტის“ (მ. კრავეიშვილის) წერილში ზემოთ მოყვანილი ციტატა ჩემი წერილიდან წარმოდგენილია დამახინჩებით: „აქ იგულისხმებიან ევროპელი რაინდები, რომელნიც დავითის სამსახურში იმყოფებოდნენ და რომელნიც მოქმედებდნენ ქართველ რაინდებთან ერთად. მათი (!) რიცხვი რამდენიმე ასი და შესაძლებელია ერთი-ორი ათასი ყოფილიყო (იგულისხმებიან მძიმედ შეიარაღებული და საუკეთესოდ გაწვრთნილი რაინდები) და სხვ. სიტყვა „რომელთა“, რომელიც მიეკუთვნება გამოთქმას „ქართველი რაინდები“, აქ შეცვლილია სიტყვით „მათი“ და აზრი დამახინჩებულია. ფრანგი რაინდები დიდგორის ომში იყვნენ არა უმეტეს ორასი კაცისა (რაც მე იქვე მაქვს აღნიშნული), აქ კი ლაპარაკი იყო დამატებით კიდევ ერთ-ორ ათას ქართველ რაინდზე.

ქართველი რაინდობა წარმოადგენდა მეტად საინტერესო მოვლენას ფეოდალურ საქართველოში, სადაც მას საუკუნეების მანძილზე წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

მე არ მომეცა მაშინ შესაძლებლობა მ. კრავეიშვილის წერილს გამოვპასუხებოდი და ეს გაუგებრობა პრესაში გამერკვია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ორასმა მძიმედ შეიარაღებულმა ფრანგმა კი არა, საქართველოს ლაშქრის თავგანწირვამ, მოლაშქრეთა მარჯვედ მოქნეულმა ხმალმა, ქართველი გლეხისა და ხელოსანის მარჯვენამ და მამაცი ლაშქრის გონიერმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო დიდი გამარჯვება დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში“ (ხაზგასმა ავტორისა).

¹ იგივე აქვს ვამბობებული შ. მესხიას მონოგრაფიაში „დიდგორის ბრძოლა“, თბილისი, 1965 წ.

უნდა კატეგორიულად ითქვას, რომ საშუალო საუკუნეებში ფეოდალური წყობილების განვითარებისა და წარმოების ხანაში წამყვანი და გადამწყვეტი მნიშვნელობა სამხედრო საქმეში ჰქონდა მძიმედ შეიარაღებული რაინდების მოვიყვან ერთ ციტატას: „რაც უნდა დიდი დამზარება, რომელსაც რაინდებს უწევდნენ დამზარებ ჩარები, განსაკუთრებით მშვილდით მსროლელნი და ქვეითი შუბოსნები, მაინც არ უნდა დაევიწყოთ, რომ მათ ჰქონდათ მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. ლაშქრის ბედის გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდნენ რაინდები. ეს რჩება ძირითად ფაქტად. გაუზვიადებლივ შეიძლება წამოყენებულ იქნეს დებულება, რომ საშუალო საუკუნეებში საუკეთესო და იდეალურ ჯარად დიდხანს ითვლებოდნენ მძიმედ შეიარაღებული, წმინდა რაინდული მეომრები... წერილ მფლობელთა და დინასტიების, აგრეთვე ქალაქების შინა ბრძოლების დროს მეომრების ძირითად მასას შეადგენდნენ დამზარებ ჯარები, რადგანაც მათ შეეძლოთ მძიმედ შეიარაღებული მეომრების, და მით უმეტეს, ნამდვილი რაინდების გამოყვანა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით. მაგრამ მეფეების მსხვილი, გადამწყვეტი ომები არის წმინდა მხედრულ-რაინდული... ასეთ ბრძოლათა აღწერილობაში არა იშვიათად (წყაროებში) ხაზგასმულად მოხსენებულია, რომ იქვე მყოფ ქვეით ჯარს ბრძოლაში არც ასაქმებდნენ“ (Ганс Дельбрюк, История военного искусства, перевод с немецкого, М., 1938, стр. 198—199).

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ საქართველოში ფეოდალურ ლაშქარში ფართო მასიდან გაჰყავდათ მხოლოდ სრული ფუძის ჰქონე და, მაშასადამე, ძირმაგარ გლეხებიდან თითო ფუძეზე თითო კარგად გაწვრთნილი და სათანადოდ აჯაზმული მხედარი (თითო ფუძეზე ხშირად რამდენიმე კომლი იყო) და ისიც მხოლოდ მსუბუქ დამზარებ ცხენოსან ჯარში. სხვანაირად მაშინ არც შეიძლებოდა, რადგანაც რაინდულ აჯაზმელობას დიდი ანუ კარგი შეიძლება უნდოდა და, გარდა ამისა, მძიმედ შეიარაღებულ რაინდს უნდა ჰყოლოდა მეაბჯრენი, მსახურნი და თავისთვის პირადად, ლაშქრობის დროს, არა ნაკლებ სამი ცხენისა (ცალკე საომარი და ცალკე კიდევ „სა-

ტალახე" ცხენები). არც ისე ადვილი იყო ასეთ პირობებში ლარიბი გლეხებისა და ხელოსნების სამხედრო საქმეში და საქმება და, კერძოდ, XII ს-ნის ფეოდალურ ქარში მათ მიერ ხმლის მოქნევა. გაუწვრთნელად და მოუწინასწარად ქარში მათი გაყვანა კი გამოიწვევდა უსარგებლოდ მათ და ღუპვას და ამიტომ ეს არც ხდებოდა. ლარიბ გლეხს და ხელოსანს თავისი საქმე ჰქონდათ.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდგორის მთავარ ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს სწორედ მძიმედ შეიარაღებულმა რაინდებმა (რომელთა შორის მცირედ ევროპელებიც იყვნენ). სხვაგვარად, ამ ბრძოლაში თურქების ორასათასიანი ლაშქრის ქართველების სამნახევარჯერ ნაკლები ქარის მიერ კატასტროფული განადგურების ახსნა შეუძლებელია.

დიდგორის ომი, რომელშიც 1121 წ. ორივე მხარედან (ქართველებისა და თურქების მხრივ) სამასი ათასი მეომარი იყო ნაბმული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ამ ომმა გადაწყვიტა საქართველოს ძველი დედაქალაქის თბილისის ბედი. VIII ს-ნის დასაწყისიდან თბილისი მამამდიანთა ხელში იყო. ამის შემდეგ თბილისსა და მის მხარეს, დაწყებული დილომიდან, ვიდრე ლელვარის ქედამდის, ე. ი. მთელ ქვემო ქართლს განაგებდნენ ხალიფატის მიერ დანიშნული მმართველები, სახელწოდებით ამირები (არაბული სიტყვა „ამირ“ ნიშნავს უფროსს, მმართველს, ხელმწიფეს). დაახლოებით 800-იანი წლებიდან ორასი წლის განმავლობაში თბილისის ამირებად იყვნენ ჯაფარიანთა დინასტიის წევრნი, შემკვიდრეობის წესით. ეს დინასტია, სარწმუნოებით აგრეთვე მამამდიანური, თითქოს სპარსული წარმოშობისა იყო, რადგანაც განსაკუთრებით ამის შემდეგ ქართველები თბილისისა და მისი მხარის მმართველობას სპარსელების სახელით იცნობდნენ.

2. ქართული ცნობები დიდგორის ომის შესახებ.

ქართველი პემატიანე ამ ომის ისტორიას აგვიწერს შემდეგნაირად: ქართველების თარეშებისა და თავდასხმებისაგან „შეიწროებულნი თურქმანნი და კვალად ვაჭარნი განძელ-

ტფილელ-დამანელნი წარვიდეს სულთანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა. შეიღებნეს შავად რომელთამე ჰირნი და რომელთამე კელები, და რომელნიმე სრულიად. და ესეთი მიუთხრეს ყოველნი ჰირნი, მოწვეწულნი მათ ზედმარტყნელნი (მათ ისინი) წყალობად თვსად და იქმნა გლოვა ტყვეობის მათსა.

„მაშინ სულტანმა მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს (უნდა იყოს: დუბეისს), სადაყას ძესა, და მისცა ძე თვსი მალიქი და ყოველი ძალი მისი. და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუზისი, კაცე დამანანი (ე. ი. დამიმ-ის მკონე; სპარსულად „დამიმ“ ნიშნავს ძალაუფლებას) და მრავალღონე. და უბრძანა თურქმანობასა, სადაღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან (ალეპოდან) ამოდმართ, ყოველსა მკედრობად (ე. ი. ცხენზე ომად) შემძლებელსა, (და) ამით თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა (სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი ამ ათაბაგს ეძახის განძაყის, ე. ი. თავრიზის სულთან მსლინ-ს). და ყოველთა ამირათა სომხითისათა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი (1121 წელი).

— შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტყიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღუსა, რომლითა აღივსო ქვეყანა, და აგვისტოსა ათვრამეტსა (ვარიანტი: ათორმეტსა) მოვიდა თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თუთ ფერკთა ზედა ვერა ეტეოდეს ამით ადგილთა“.

თუთ ომის მიმდინარეობას ქართველი მემატიანე აგვიწერს ასე: „ხოლო მეფემან დავიით, უშიშმან და ყოველად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი და თუ ვითარ ყოველი საქმე შეუენიერად და ღონიერად ჰყო, რაბამ (როგორ) რამე წყნარად. უშფოთველად და გამოცდილებით და ყოველად ბრძნად განაგო. და თუ ვითარ თვსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამით ყოველთათვს ეგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მიუთხრობად ზედა მიწვეწვით ყოველსავე. რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაყი მათი და ივლტოდა... ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი და ანუ მეოტთა (გაქცეულთა) ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად (სიფრთხი-

ლით) სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, ქარნი და ლელენი მძორებითა.

„ხოლო სპანი ჩვენი და უფროსად ყოველი საქმევე უფროსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებთა, ცხენებისა, ლითა ქორებითა, კარვეებითა, სრა-ფარდავებითა, სხუთა უცხოთა ქურქულებითა, საბრძოლელთა თუთო სახეთათა, ქოსთა (საბას სიტყვით „ქართულად სპილენძ-ქური ჰქვან“) და ფილაკაევანთათა (საბას მიხედვით იარაღი, „დიდის ლოდის სასროლად ციხის შესამუსრაჲად“), საბანელთა და სამზარეულოთათა, — (რიცხვი) რაოდენმან ქარტამან (ქალაღმმა) და მელანმან დაიტოოს აღწერად. და რამეთუ გლეხთა, იხილემცა ოდეს არაბთა მეფენი მოჰყუანდეს ტყუედ და სხვათა გოლიათთათვის რადლა რამცა გვინდოდა თქმად“¹.

დავითის მეფობის ქართველი მემკვიდრე არის დავით მეფისვე მოძღვარი მისი სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, სახელით არსენი ბერი. მისი ნაწარმოები „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ დაწერილია 1130 წლის ახლოს და შეიცავს მრავალ ზუსტ და მეტად მნიშვნელოვან ცნობას დავით აღმაშენებლის ხანის შესახებ. დიდგორის ომის დროს თითქოს არსენი, მწიგნობართ-უხუცესთან ერთად, სამართებოში (ახლანდელი ტერმინოლოგიით შტაბში) უნდა მჭდარიყო. ამ გარემოებამ ვერ დააზღვევა ის ერთი შეცდომისაგან — მელიქ-თოდრული მას სულთანის შვილად ჰყავს მოხსენებელი, მაშინ, როდესაც ის სულთანის ძმის შვილი იყო. მაგრამ მაშინდელ პირობებში ასეთი შეცდომა ადვილად ვასაგებია.

მეტად მნიშვნელოვან ცნობებს დიდგორის ომის შესახებ და, საერთოდ, დავით აღმაშენებლის ხანაზე შეიცავს „აბდულმესიანი“, რომლის ავტორად მიჩნეულია შავთელი. „აბდულმესიანი“ დაწერილი უნდა იყოს 1123 წელს, როგორც დავით აღმაშენებლის შესხმა და მასში მოცემულია დიდგორის ომის

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 340—342.

ზოგიერთი დეტალიც¹. თვით შესხმის სახელიც „აბდულმესიანი“ პირდაპირ გულისხმობს დავით აღმაშენებელს, როგორც ქრისტეს მოყმეს, ქრისტეს მონას (აბდულ-მესია არაბულად ნიშნავს „მესიას“, ე. ი. „ქრისტეს მონას“; იხ. ქვემოთ).

გიგ. ლ. ი. თ. 33

3. ზოტიუს ცნობა დიდგორის ომის შესახებ. მთავარ წყაროს დიდგორის ომის შესახებ წარმოადგენს ვოტეის ცნობა, რომელიც დაწერილია ამ ომის მონაწილეთა მიერ ავტორისთვის მიწოდებული ცნობების საფუძველზე. ავტორი არის დიდგორის ომის თანამედროვე, ანტიოქიის ჯეაროსანთა მეთაურის როჯერის კანცლერი ანუ მთავარი მწიგნობარი.

თავის ლათინურად დაწერილ ქრონიკაში *Bella Antiochenia* („ანტიოქიის ომები“) ვოტეი ამბობს, რომ ელლას ამ ომისათვის ჰყავდა თურქმანებისა და არაბების დიდი ჯარი, რომელთაც ის გაემართა დავით მეფის წინააღმდეგ, რათა მისი მოსპობით უზრუნველყოთ თავისი მფლობელობა ანტიოქიისა და იერუსალიმში. მასთან იყო ხორასანის სულთანიც (*Soldanus Chorocensium*) და 600 ათასი მეომარი. დავითის

¹ შავთელის „აბდულმესიანი“, მოხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში, წარმოშობის დროის მხრივ იწვევდა და იწვევს აზრთა დიდ სხვადასხვაობას, ნ. შარა (1902 წელს) მას შიკოტუნებდა დავით აღმაშენებლის ხანას და თვით აბდულ-მესია, როგორც შესხმის სუბიექტი, მიაჩნდა დავით აღმაშენებლად. ადრე მე ვთვლიდი ამ შესხმას XIV ს-ისათ (1911 წელს) უფრო დავითის დროისად (1913 წელს), დავით აღმაშენებლის შვილიშვილის დავით V-ის დროისად (1927 წელს). ყოველივე ამის შესახებ იხ. „ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემა და შესხმის 1937 წლის ჩემი გამოცემის ტექსტი. კ. კვეციანი ასაბუთებდა, რომ შესხმა დაწერილია თამარ მეფისა და დავით სოსლანის მიმართ. ყველა მოსაზრება აქ არ მოგვეფხვ. უკანასკნელად ივ. ლოლაშვილი (ძველი ქართული მეზობტენი, II, თბილისი, 1946) ასაბუთებდა, რომ შავთელის „აბდულმესიანი“ შექმნილია თამარ მეფე, დავით სოსლანი და ჰე მათი — გიორგი ლამა შესხმა დაწერილია 1204—1206 წლებში. ამ ვერსიის ის იმით ასაბუთებს, რომ თითქმის შავთელი მას უწოდებს ქრისტეს საძმოს (დასახ. ნაშრ., გვ. 95). ასევე ესმოდა გამოთქმა „ქრისტეს საძმოს“ უფრო ადრე კ. კვეციანს, რომელსაც აგრეთვე ეს სიტყვები მიაჩნდა როგორც თამარ მეფის პატივსაცემად მოხსენებული. მაგრამ აქ ესაფი შეედომია. რადგან ქრისტეს საძმოდ ზეუღლებრივ იწოდებოდა ქრისტიანული ეკლესია, და მაშასადამე, ამ სიტყვებს არავითარი კავშირი არ აქვს თამარ მეფის სახელთან.

ტ. შარას სხვა სხვა წარმოდგენები

ჯარის შედგებოდა აფხაზთა და ქრისტიანთაგან, და უდრედა 80 ათას კაცს.

აი, გოტიეს ცნობა სიტყვა-სიტყვით:



ალაბით (ე. ი. ალეპოდან) წამოსულმა (ელლაშქრეშუქი) თურქმანების (თურქების) და არაბების ურიცხვი ჯარით დესაყ მან ნახა შეკრებილი (ჯარის) სიმრავლე, უაღრესად ამბატოვნობით თავწასულმა გადაწყვიტა მოეწყო ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად ლაშქრობა დავით მეფის წინააღმდეგ აფხაზეთში¹. (მიზანი მისი იყო), რათა მისი (დავითის) დაღუპვის ან განდევნის შემდეგ თავისუფლად და სრულიად დაუბრკოლებრივ) შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას. მაგრამ მის, (ასეთი) სიამაყით მოლაშქრეს, წინ ედგა ღვთის რისხვა. იმავე დღეს, როდესაც სულთანი და თვით ელლაზი ექვსასი ათასი მეომრით საომრად შევიდნენ დავით მეფის ქვეყანაში, წმიდა ჯვრის ნიშნით აღჭურვილი დავითი ოთხმოცი ათასი აფხაზთა (ე. ი. ქართველთა) და ქრისტიანე (ე. ი. ივულისხმება ფრანგ) მეომრით აწეობს (ცალკე) რაზმებს (agmina) და დგება ერთს ველზე, რომელიც მდებარეობს უხშირესი ქალაქაგნარით მოცულ ორ მთას შორის. (ამ ველის) მიმართულებით, როგორც ხმები იყო, მტრები ამირებდნენ შეტევას. (დავითი) დადგა და წარმოსთქვა ასეთი (სიტყვა): „აბა, ქრისტეს მოყმენო (milites)! თუ ჩვენ წესიერად ვიბრძოლებთ სარწმუნოების დასაცავად, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდე-

¹ ე. ი. საქართველოს სამეფოში. ლათინურად დაბეჭდილ ტექსტში აქ ნათქვამია: in Medicam — მედიაში, მაგრამ ზურ. ავალიშვილმა დაამტკიცა, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს სახელწოდება აფხაზეთი. ამ ტექსტის ლათინურ ხელნაწერებში ამ ადგილას უაზრო ტერმინია: in Evetiam, ფრანგულ გამოცემაში არის Mediam, გერმანულ გამოცემაში კი — Iberiam, მაგრამ ორივე ეს წაკითხვა მხოლოდ პირობითია.

ზ. ავალიშვილს (ჯეაოსანთა დროიდან. პარიზი, 1929, გვ. 70) აღნიშნული აქვს, რომ დავითი ერთს იმდროინდელ ნაწერში მოხსენებელია როგორც Averia rex. ამ სახელს ზემოთ მოხსენებულ Evetia-სთან შედარების შედეგად ზ. ავალიშვილი სამართლიანად დაასკნის, რომ გოტიეს ტექსტში ზემოთ ნახსენებ ადგილას თავდაპირველად უნდა ყოფილიყო in Averia ე. ი. აფხაზეთი (აფხაზეთის სამეფოდ მაშინ იწოდებოდა საქართველოს სამეფო).

ვართ, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დაეპარებოთ. ერთი რჩევა მაქვს, რომელიც კარგი იქნება ჩვენი პატივისცემისათვის და (აგრეთვე ჩვენი) სარგებლიანობის თვალსაზრისით (სახელდობრ ის, რომ) ჩვენ ყველამ ხელგებნი ვიქნეთ ამყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივსცეთ, ~~ამის შესახებ~~ სიყვარულის გამო ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს ვაქცევა, კიდევაც რომ მოვიწოდოთ, შეგვკრათ ამ ველ-მინდორის გადმოსასვლელები, რომლებითაც შემოვსულვართ, ზეების უხშირესი ხორგებით და როცა მტრები ჩვენზე იერიშის მოსატანად მოგვიახლოვდებიან, შევეუტიოთ მათ სასტიკად“. მეტი რა ითქვას? ასეთი ფასოვანი მეფის, ამ ქვეშაობის და სრულის ქრისტიანის ეს აზრი მოწონებულ, მიღებულ და კიდევ შესრულებულ იქნა.

„არც დააგვიანა. მეფემ თვითოველი სოლი (acies) ცალცალკე დააწყო, ხოლო ორასი ფრანგი ჩაინდი, რომელნიც მას პყავდა, დააყენა წინ პირველ დაკვრათა მისაცემად (ad primos ictus interendos ante posuit). უცბად ველ-მინდორის მეორე ნაწილში ანუ წინა მხარეზე (მტრები) გამოჩნდებიან ადამიანთა ძლიერი ყიფინით, ცხენების და აბჯრების უკიდურესი ხმაურობით, ბოროტ-საძაგელთა საომარი აღმებით და იმავე დროს მთები ველებითურთ ხმას აძლევენ სხვადასხვაგვარი საკრავების ხმაურობას. მაგრამ მეფე დავითი ასეთი (სიმრავლის) კადნიერებას ქრისტიანული თავმდაბლობით შეპყურებს, თავისიანებს აღატყინებს მამაცი სულით და ანუგეშებს (ამხნევებს) მათ. უმტკიცებს (თავისიანებს), რომ ურჯულოთა განლაღებული სიმრავლე, წმიდა ჯვრის ძალით და შეწევნით დაითრგუნება ნაკლების და მცირე ძალით. და არა დიდი ხნის შემდეგ ეს ურაცხვი სიმრავლე, ქრისტეს თავყანისმცემელთა დანახვისას ამპარტავენობის სულით აღტყინებული, საშინელი ყვირილით თავს დაესხა მათ. მაგრამ პირველ თავდასხმისთანავე ღვთის მოწყალებით დაბრმავებულნი ისინი ეცემიან ძირს ფრანგების ხელისაგან და უწესრიგოდ იფანტებიან. მოკლედ, ღვთის გადაწყვეტილებით ეს ურწმუნონი გახდნენ ქრისტეს თავყანისმცემელთა და აფხაზების (ე. ი. ქართველების) მახვილისაგან ამოწყვეტის მსხვერპლნი, როგორც ვგებულობთ, ომში გამორკვეულ

(ამბაეთაგან), ვითარცა სეროიზულს (სანდოს), გაქცევის (გამოდევნების) დროს, რომელიც სამს დღეს გაგრძელდა. მერის მახვილისაგან მოისპო ოთხასი ათასი კაცი. თვით ელდერიც თავში დაჭრილი, თითქმის ყველა თავისიანების უსრუტად თვითმბილველი, ღეთის ნებართვით გადაარჩება. შემკრეპნივენი თა თანხლებით და უიარაღო და დამშეული დაბრუნდა თავის ქვეყანაში არაბთა მეფის დახმარებით“.

გოტიეს ცნობის ზ. ავალიშვილისეულ თარგმანში (იქვე, გვ. 68—69) არის შემდეგი შეცდომები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ (წერილ უზუსტესობებს არ აღვნიშნავთ):

1) სიტყვა miles ზ. ავალიშვილი თარგმნის როგორც „მეომარს“, ნიშნავს კი რაინდს, მოყმეს (XII ს-ნეში miles სწორედ ამას ნიშნავდა).

2) acies გადათარგმნილია „რაზმად“ უნდა იყოს „სოლი“. ეს ლათინური სიტყვა ნიშნავს „მწვეტს“ და აქ ის იხმარება სოლისებურად მცირე ჭგუფებად რაინდების დაწყობის აღსანიშნავად.

3) გოტიე ხმარობს სიტყვებს christianus და christecolus სხვადასხვა მნიშვნელობით: ქრისტიანები ეს არიან ჯვაროსნები და ჯვაროსანი მეომრები, christecolus კი არის ქრისტეს მოსავი, და ამ სიტყვით ის იხსენიებს ქართველებს. ზ. ავალიშვილის თარგმანში ეს ორი ცნება არეულია.

4) vallis რამდენიმეჯერ გადათარგმნილია ხეობად, რაც ამახინჯებს აზრს. ნიშნავს „მინდორ-ვაკეს“, „მინდორ-ველს“.

5). nemus ნიშნავს ჭალა-ჯაგნარს და არა ტყეს. ბრძოლის ადგილის ახლოს მთები დაფარული ყოფილა უხშირესი ჭალა-ჯაგნარით და არა ტყეებით, ახლაც ასეა).

6) გოტიეს ნათქვამი აქვს statique in altera parte vel fronte vallis — „დიდის ყვირილით თურქების ჯარი გამოჩნდაო“. ზ. ავალიშვილს ეს ადგილი თარგმნილი აქვს: „მყისვე ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე“. უნდა კი ასე: „მაშინვე ველ-მინდორის მეორე ნაწილში ანუ წინა მხარეზე“ თურქების სიმრავლე გამოჩნდა და სხ. გოტიეს ზუსტად აქვს დიდგორწინის ველის ტოპოგრაფია მოცემული, თარგმანში კი ეს ადგილი გაუგებარია.

7) *Visis christicolis infinita multitudo, spirita super-
ae exagitata, cum immensis clamoribus in eos irrui-*

თარგმნილია ასე: „დაინახეს რა ურიცხვი ბრბო, ^{ქრისტიანული} ^{ეკლესია} ^{მსახურნი} მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი, უაღრესად ^{მსახურნი} ^{ანუ ქართველები} ^{დაესხნენ} მათ“ (ე. ი. ქრისტეს მსახურნი ანუ ქართველები დაესხნენ). სინამდვილეში აქ სულ სხვა წერია: „ქრისტეს მშოსაეთა დაინახესას (ურწმუნოთა) ეს ურიცხვი სიმრავლე, ამაყის სულით ალტაცებული, უდიდესი ყვირილით თავს დაესხა“ (კონტექსტით იგულისხმება, რომ დაესხნენ დრანგ რაინდებს, რომლებიც ყველაზე წინ იდგნენ). თავდაშეხმელები აქ იყვნენ თურქები და არა ქრისტეს მოსაყენი, ე. ი. ქართველები.

8) გოტიეს აქვს *pro serio exestentium in conflictu didi-*
cimus, რაც თარგმანში წარმოდგენილია ასე: „გავეიგე ამ ომის მნახველთაგან“. უნდა იყოს ასე: „როგორც ვგებულობთ ომის (შესახებ) გამორკვეულ (ამბავთაგან) ვითარცა სერიოზულს (სანდოს)“. გამოდის, რომ გოტიეს შეაქვს თავის თხრობაში ამ ომის ისეთი ამბები, რაც გარკვეულია ვითარცა სერიოზული ანუ სანდო. მაშასადამე, გოტიეს სპეციალური მუშაობა ჩაუტარებია, რომ დიდგორის ომის შესახებ სერიოზული და სანდო ცნობები მიეღო, თუმცა ის ანტიოქიაში ბინადრობდა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ გოტიეს ინფორმატორი უნდა ყოფილიყო ერთი ან ორი ქართველი, ომის მონაწილე. ჭერ ერთი, არაქართველს გაუჭირდებოდა დაეითქ ორი სიტყვის ასე დაწერილებით გადმოცემა და გარდა ამისა, ინფორმატორი ძლიერ კარგად იცნობს ბრძოლის ველის ტოპოგრაფიას. ის ზის ქართველების ლაშქრის სამართებთში, რადგან ის ინფორმირებულია თურქების მხრივ დიდგორის ველზე თავდასხმის გეგმის არსებობის შესახებ, რაც მაშინ მხოლოდ ხელმძღვანელ პირთ ეცოდინებათ.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თუ გოტიე თავისი თხრობის ბოლოში აღნიშნავს, რომ ილღაზი ამ ომში მიღებული ქრილობისაგან მხოლოდ შეიდი წლის შემდეგ გამოკეთდაო, იგულისხმება იმდენად გამოკეთება, რომ მას შეძლებოდა ომში მონაწილეობის მიღება. აქედან ჩანს, რომ

დიდგორის ომის შესახებ გოტიეს თავისი თბრობისათვის დაქცია გაკეთებული აქვს (1121+7=) 1128 წლის ვიქტორის



4. სხვა ცნობები დიდგორის ომის შესახებ. თანადროული სომეხი ისტორიკოსის მათე ედესიანის ცნობით, 570 წ. სომხური სათვალავით (ე. ი. 19 თებ. 1121 წ. — 18 თებ. 1122 წ.) „განძაკის ქვეყნის ამირამ ლაზიმ, რომელიც იყო კაცი სისხლის მსმელი, უსირცხვო, ბოროტი და კაცის მკვლელი, მონღომა ცუდი საქმე. ის იყო ქართველების (ქვეყნის) მესობელი, ქართველებთან ზელმწიფის მეგობარი და მომსმინო. მაგრამ მან შეკრიბა 30 ათასი თურქი, შეიჭრა ქართველების ქვეყანაში, დაატყვევა მცხოვრებთა ნაწილი და მოვლიჯა ისინი თავიანთ კერას. შემდეგ ის დაბანაკდა თავის ქვეყანაში.

„დავითმა ამ ცნობის მიღებისთანავე გაგზავნა თავისი ჯარი თურქების დასასჯელად. ეს ჯარი გაემართა ჩუმაღ, (მოულოდნელად) თავს დაესხა თურქებს და ამოსწყვიტა მათგან 30 ათასი კაცი. ქართველებმა შეიპყრეს მათი ცოლები, შვილები, ცხვრის ფარები და დაბრუნდნენ დიდძალი ნადავლით დატვირთულნი. თურქებმა, რომელთაც კი გადაარჩინეს თავი ქართველების ხმალს, დამწუხრებულთ გარემოების ასე შეტრიალებით, შემოიფლიჯეს თავისი ტანისამოსი და დაიყარეს თავს ნაკარი. ჩაცმულნი ძაძებში და თავ-შიშველა, ისინი წავიდნენ განძაკს საჩივრელად თავიანთ სულთან მელიქთან, ტაფარის ძესთან, და ტირილით თხოვდნენ მას შებრალებას მათს მდგომარეობაში. სხვები გაემართნენ არაბებთან კარმიანის მხარეს ამირა ლაზისთან, არდუხის ძესთან, და მწარე ტირილით მოუთხოვეს მას მომხდარი უბედურება.

„ელლაზმა, როგორც ძლიერმა და ამპარტავეანმაც, ბრძანება გასცა შეეკრიბათ დიდი ჯარი და მოეწვიათ ყველა თურქი დაწყებული საბერძნეთიდან (ბიზანტიიდან), ვიდრე აღმოსავლეთამდის, აგრეთვე კარმიანის ქვეყნიდანაც. მან აღრიცხა თავისი მეომრები, რომელნიც 150 ათასამდის აღმოჩნდნენ. მან გაგზავნა კაცები სამხრეთისაკენ არაბებში მათი მეფის სალას (სადაკას) ძის ტუპაის¹ მიწვევის მიზნით, რომელიც

¹ დედანშია: მეფის სალას (სადაკას) ტუპაის ძის მიწვევის მიზნით.

მართლაც მივიდა მასთან ათი ათასი კაცი. ეს ზელმწიფე
მაგი მეომარი იყო. მას დაერბია ქალაქი ბაღდადი და სამხრეთ
კარგი შედეგით შებრძოლებოდა სპარსელების სულთანს, ტა-
ფარს. ის იყო წარმოშობით რაეატელი (მაჰმადიანთა სექტის
სექტის მიმდევარი. ეს სექტა სპარსეთში გადაიქცა ე. წ. ში-
იზმად), მაჰმადისა და მისი სჯელის მკაცრბედი. მას თავისი
კარგები გაშლილი ჰქონდა ეთიოპიასა და ინდოეთს შუა (ე. ი.
არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ მხარეში). ეს საღა (სა-
დაცა) მოვიდა და შეირთო ცოლად ამირა ღაზის ქალი. ამ
წელს ამირა ღაზი მოვიდა განძაკს დიდძალი ჯარით და გამო-
ემართა საქართველოსაკენ.

„იმევე დროს განძაკის სულთანი მელიქიე 400 ათასი გა-
მოცდილი ცხენოსნით წამოვიდა (საქართველოსკენ). მას მოჰ-
ყავდა უზარმაზარი სიმრავლე და ისე შემოიჭრა ქართველე-
ბის ქვეყანაში, ქალაქ თბილისის მხარეში, მთაში, რომელსაც
ჰქვია დეკორ (ე. ი. დიდგორი). ამ ცნობის მიღებისთანავე
ზაგრატის ძის გიორგის ძე მეფე დავითი მოვიდა ბრძოლის
მოსაცემად თურქებისათვის 40 ათასი მამაცი, გამოცდილი და
გაწერთნილი მეომრით. მას ჰყავდა კიდევ 15 ათასი მამაცი,
გამოგზავნილი ყივჩაღთა მეფის მიერ, 500 ალანი და ასი
ფრანგი“.

„13 (ვარიანტი 15) აგვისტოს ღვთისმშობლის მარზვაში,
ხუთშაბათს, მოხდა სასტიკი ომი ორს მთას შორის, რომელ-
ნიც ხმას აძლევდნენ მებრძოლთა ხმაურს. ღმერთი შეეწია
ქართველებს, რომელთაც თავისი მამაცობით სრულებით მო-
შალეს თურქების ლაშქარი და საშინლად ამოსწყვიტეს ის.
მღინარეები, ხეები და მთების ქარაფები აივსო გვამებით.
ამოწვევტილ იქნა ორმოცი ბევრი (400 ათასი; რიცხვი გაზ-
ვიადებულია, ს. კაკაბაძე). 30 ათასი ტყვედ იქნა წაყვანილი.
ველ-მინდორთა ზედაპირი დაფარული იყო იარაღით და
ცხენების ლეშით. ქართველები განაგრძობდნენ დამარცხე-
ბულთა დევნას რვა დღის განმავლობაში ვიდრე ანისის ქა-
ლაქის საზღვრამდის. სპარსთა სულთანი მალიქი და ღაზი
შებლარცხვენილი სწრაფად გაიქცნენ მათ ქვეყანაში ისე,
რომ ათასიდან ძლივს მიჰყავდათ ასი კაცი (ვარ.: არ გადაარჩე-
ნილა სულ არც 20 ათასი)“.

მათე ედესელის ამ ცნობაში შეინიშნება ამჟამად წინა-
მდევობა. ჯერ ნათქვამია, რომ ალ-ილლახმა შეკრიბა 150
ათასი+10 ათასი ჯარი, შემდეგ კი მოცემულია ცნობა, რომ
გარდა ამისა განძიაც სულთანმა მეღიქმა წამოუგდებდა (წამო-
თველოზე 400 ათასი მხედარიო. ცხადია, რომ ეს მეორე რი-
ცხეი სხვა წყაროდანაა აღებული და შემდეგ ჩამატებული
მათეს ტექსტში.

არაბი ავტორი ალ-ფარიყი (1116—1176 წწ.) XII ს-ნის
შუა ხანებში გადმოგვცემს: „515 წ. ტფილისის მცხოვრებთ
გაუგზავნეს ნაჯიმ ად-დინ ილლახის მოწვევა, რომ მას ჩააბა-
რებენ ტფილისს... ნაჯიმ (ად-დინი) წამოვიდა. ნაჯიმ ად-
დინს წამოყვა მისი ქალიშვილის ქმარი სეიფ ადდაულა დუ-
ბეის იბნ-სადაყ ალ-მაზიადი, აგრეთვე ყაზი ელ-ად-დინ იბნ-
ალჯაბრ და მისი შვილი აბულ-ფათჰ, რომელიც ახლა მარდი-
ნის ყაზია და კიდევ ვაზირი ტამამ იბნ-აბდულნ. ყველანი ესე-
ნი ჩავიდნენ არზან არარუმში (არზრუმში). აქ ყაზი და ვაზი-
რი წაიჩხუბნენ. ხოლო თვით ნაჯიმ ად-დინი ჯარებით გაემარ-
თა ყარსისაკენ (ყოჯრისკენ?) და მივიდა იქ თრიალის-ის
(თრიალეთზე) გავლით. დაგროვდა დიდი ჯარები: სულთან
ტოღრული მივიდა ჯანზის (ჯანჯის) მხრიდან, ხოლო ფაჰრ
ად-დინ ტუგან არსლან კუზიანი დუეინის (დუეინის) მხრიდან.
ეს ჯარები წინ მიდიოდნენ, სანამ მათ და ტფილისს შორის
დარჩა მთები — ნახევარი დღის გზის მანძილზე. დავით მეფე
გამოვიდა დასავლეთის მხარეიდან, ხოლო შვილი მისი დი-
მიტრი დაეცა მოწინააღმდეგეს მთის სიმალიდან მაშინ, რო-
დესაც მოწინააღმდეგე იმყოფებოდა მთის ძირობაში. აქ მოხდა
დიდი ომი. დაიხოცა მაჰმადიანების ურიცხვი რაოდენობა.
დამარცხდა და ტყვედ წაყვანილ იქნა მაჰმადიანების და არა-
ბების უამრავი რიცხვი. ქართველებმა მოიპოვეს მდიდარი
ნადავლი და აქამდის მათთან არის მაშინ წაყვანილ ტყვეთა
ნაწილი...“

„როდესაც მაჰმადიანები განადგურებულ იქნენ, ნაჯიმ
ად-დინი დუბეისთან ერთად ოცი ცხენოსნით დაბრუნდა თა-
ვის ქვეყანაში. ვინც მასთან იყვნენ, წავიდ-წამოვიდნენ. თვი-
თონ კი დაბრუნდა მაიაფარიკინში მას შემდეგ, რაც მაჰმა-
დიანთა ჯარები დამარცხდნენ, აფხაზთა (ქართველთა) მეფე

ღაბრუნდა, შეჩერდა ტფილისთან და ალყა შემოარტყა მას¹. ალ-ფარიკის ცნობა წყვეტს საკითხს დიდგორის ომის და გილმდებარეობის შესახებ. სულთან თორღულის და ტეგან არსლან კუშიანის ჩარები, როგორც ეს ქართული წყაროებშიც სხვა წყაროების მიხედვითაც ჩანს, მონაწილეობდა ტფილისში დნენ დიდგორის ომში, ასე რომ მოღწეული ტეგსტი აქ მცირედ დამახინჯებულია. იგულისხმება, რომ ამათი ჩარები წინ მიდიოდნენ, სანამ მთებსა და თფილსს შორის დარჩა ნახევარი დღის გზა. დიდგორის წვერის ძირობასა და დიღმის გზით ვიდრე მაშინდელ თფილისს შორის არის 12—13 კმ, ე. ი. სწორედ ნახევარი დღის საგალი გზა.

მე უნახე ეს ბრძოლის ველი, გადმოგვეცემს ალ-ფარიკი, როდესაც შევედი ტფილისში 548 წ. (1153 წ. მარტი — 1154 წ. თებერვალი). მე აფხაზთა მეფის დიმიტრის სამსახურში ვიყავიო. „გავემართე ტფილისისკენ. — გადმოგვეცემს ის. აქედან ჩვენ (ე. ი. მეფემ და ალ-ფარიკმა) ვიმგზავრეთ ერთ ვილაიეთში, რომელიც დაახლოვებით 70 დღის საგალი იყო. მეფემ განვლო ალ-ბაღან-ისკენ და დერბენდის შტრისაკენ“.

ცხადია, რომ ალ-ფარიკი თბილისში მიდიოდა შიდა ქართლიდან. მას აინტერესებდა დიდგორის დიდი ბრძოლის ველის ნახვა და განგებ დიდგორის წვერის ახლოს გადასვლით ჩავიდა დიდგორწინის ველსა და დიღმის ველზე. აქედან ის ჩავიდა თბილისში, საიდანაც ის შემდეგ წაჰკევა დიმიტრა მეფეს დარუბანდისკენ.

შემს-ედ-დინ იუსუფი, იგივე სიბტ იბნ ალ-ჯოზი, VIII ს. ავტორი, რომელიც სარგებლობდა უფრო ძველი წყაროებით, გადმოგვეცემს შემდეგს: „ილლაზი და დობაისი გაემართნენ ლაშქრად. დობაისი იყო პირველის სიძე — მან შეირთო (მისი ასული) კეპარ-ხათუნი. ილლაზიმ მისწერა წერილები სხვადასხვა პროვინციებში, მავალითად, შემს ედადოვლა თოგანს, რომელიც იყო არზენის და ტფილისის მოკავარი, აგრეთვე სულთან თორღულს და სხვებს. ტფილისის კარი დანიშნული იყო ერთმანეთთან შესახვედრად. მავრამ ზოგი მოკავშირე არ

¹ Труды Института истории АН Азерб. ССР, XII, 1957, стр. 222—223.

გამოცხადდა. ილღაზი მივიდა ტფილისის ახლო მხარესთან და დაბანაკდა ასე ნახევარი დღის სავალზე ამ ქალაქთან. ერთი მაჰმადიანი ლაშქარი მეზობლობიდან არ იყო ჯერ მოსული. დავით მეფე ჩამოვიდა თავისი მთებიდან. თა მტრების წინააღმდეგ დიდი ლაშქრის სათავეში. მან დაამარცხა მოწინააღმდეგენი, გაძარცვა მათი სიმდიდრე და აიღო მნიშვნელოვანი ნადავლით. ილღაზი და დობაისი გაიქცნენ“.

იბნ ალ-კეთირის (მოკვდა 1372 წ.) სიტყვით, „514 წ. (შეცდომაა, უნდა იყოს პიჯრის 515 წ.) იყო ომი-ბრძოლა ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის ტფილისის ახლოს. ქართველებმა, გაძლიერებულებმა ყივჩაღების მიერ, დაბოცეს ბლომად, მაჰმადიანები, წაიღეს ნადავლი და შეიპყრეს 4 ათასამდის ტყვე, გაძარცვეს ქვეყნები და ჩაიდინეს სასტიკობანი; რამდენიმე ხანი მათ ალყა ჰქონდათ შემორტყმული ტფილისისათვის და აიღეს ის“.

ეს ცნობა, ცხადია, გულისხმობს დიდგორის პირველ ომს, რომლის შედეგად ტყვედ წაყვანილ მაჰმადიანთა რიცხვი 4 ათასი ყოფილა.

514 წელს, უფრო სწორად მეორე ცნობით 515 წ. პიჯრით (1121 წ. მარტი—1122 წ.), გადმოგვემდინნ არაბულად დამწერნი იბნ ალ-ასირი (1160—1232) და ამის მიხედვით ელ-აინიც (გარდ. 1460 წ.), „ქართველები გამოვიდნენ მაჰმადიანების წინააღმდეგ. ამ ქვეყანას ისინი წინათაც ძარცვადნენ. მაგრამ სულთან მელიქ-შაჰის (მელიქ-შაჰ II, 1104—1105 წწ.) და სულთან მაჰმუდის მეფობის (1105—1118 წწ.) განმავლობაში შორს ეჭირათ თავი. ამ წელს კი გამოვიდნენ, და მათთან ერთად ყივჩაღნიც და სხვა მეზობელი ხალხები, და გააქციეს სულთანის ჯარები და არე-მარეს მოსახლეობაც. მეზობელი ქვეყნების ამირები (ასეთი საჭრთხის წინაშე) შეერთდნენ ერთმანეთთან. ესენი იყვნენ: ამირა ილღაზი, მარდინისა და ალემოს მფლობელი, დობეის, ძე სადაკაჰისა, წინათ ჰილდუჰის (ქალაქი იყო ეფდრატზე) მფლობელი, რომლისთვის ეს ქალაქი (1120—1121 წლების მიჯნაზე) წაერთმია სელჯუკიან სულთანს მაჰმუდს, რის შემდეგ ის ილღაზს შეხიზნოდა, მელიქი თორღულ, ძე სულთან მაჰმუდისა, არარანის

და ნახჭევანის მხარის მფლობელი, ვიდრე მდ. არგხამირს, და მისი ათაბაგი კენ-ტოდლი. ხსენებული მთავრები გარდა თიანდნენ და გაემართნენ, ვიდრე ტფილისის სასახეხამდის ისინი იყვნენ ძლიერ მრავალრიცხოვანი. მალე მოკრძალებულნი გენი შეხვდნენ ერთმანეთს საბრძოლველად. ბრძოლის დროს 200 ყივჩაღი (ქართველების ჯარიდან) წინ გამოეყო და წამოვიდა მაჰმადიანებისაკენ, რომელთაც ისინი მიიჩნიეს თავისკენ გადმოსვლელებად და ამიტომ არ მოერიდნენ მათ. წინ წამოსულმა ამ ყივჩაღებმა დააყარეს ხელშუბები და ისრები მაჰმადიანებს და არიეს მათი წყობა. ამით გამოწვეული არეგდარევა მიჩნეულ იქნა გაქცევის დაწყებად. და მართლაც, მაჰმადიანები გაიქცნენ და ერთი მისდევდა მეორეს. არევა შეიქმნა საერთო, ასე რომ გამოკიდებისას ერთი აგდებდა მეორეს. მაჰმადიანთა დიდი რაოდენობა დაიღუბა. ურჯულონი (ქართველები) სდევდნენ მათ 10 ფარასანგის მანძილზე, ხოცავდნენ მაჰმადიანებს და ტყვედ იპყრობდნენ მათ. სულ მაჰმადიანთაგან დახოცილ იქნა უმეტესობა, 4 ათასი კაცი კი წაყვანილ იქნა ტყვედ. მელიქ თოდრილი, ილღაზი და დობებისა კი გადარჩნენ. ქართველებმა უკან დაბრუნებისას მოაოხრეს მაჰმადიანთა ქვეყანა და ალყა შემოარტყეს ტფილისს.

5. თურქ-სელჯუკები. XI ს-ის დასაწყისში არაბთა სახალიფოს უზარმაზარი იმპერია, რომელიც წინათ მოიცავდა დიდძალ ქვეყნებს, დაწყებული ინდოეთის ჩრდილოეთი ნაწილიდან, ვიდრე აფრიკის ჩრდილოეთი ქვეყნების ვავლით პირენეის ნახევარკუნძულამდის ჩათვლით, ფაქტიურად უკვე დაქსაქსული იყო ცალკე სახელმწიფოებად. ხალიფას, რომლის რეზიდენცია ბაღდადში იყო, პქონდა შემორჩენილი უმთავრესად მხოლოდ მაჰმადიანთა რელიგიური მეთაურის მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში იმპერიის მსხველად გამოჩნდნენ შუა აზიის მომთაბარე თურქი ტომები, რომელნიც ვაერთიანებული იყვნენ სელჯუკის დინასტიის ხელქვეით.

სელჯუკი იყო თურქმანთა წარმოშობის ერთ-ერთი მთავართაგანი, რომელმაც წამოიყვანა ყირგიზეთიდან მთელი თავისი ტომი და დაბინაჲდა ბუხარის ქვეყანაში. მისი შეილი-

შვილები ჩალრა-ბეკი და თოდრულ-ბეკი უკვე საქმალი ძეგლი
ერი ხელმწიფენი იყვნენ. თოდრულ-ბეკმა თურქ ტომების
დაყრდნობით თანდათან დაიპყრო აღმოსავლეთი საქართველო
(ზორასანი) და შემდეგ ირანის მეტი ნაწილიც, ექვთიმე მცხეთელის
ისპაანის და ჰამადანის ჩათვლით, ზოლო 1055 წ. მან დაიკა-
ვა ხალიფას სატახტო ქალაქი ბაღდადი, სადაც ის გამოცხა-
დებულ იქნა სულთანად. ამას მოყვა თურქთა ახალ-ახალი
მომთაბარე, მაგრამ ომის მოყვარული ტომების გადმოსვლა
შუა აზიიდან წინა აზიაში. ასე ჩამოყალიბდა თურქთა დიდი
სახელმწიფო, დაწყებული ავღანეთიდან, ვიდრე ბიზანტიის
იმპერიის საზღვრამდის მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში.

**6. თურქების მიერ საქართველოს აოხრება და და-
პარობა.** ახლად დაარსებული თურქების ე. წ. სელჯუკიანთ
სახელმწიფო ცდილობდა თავისი ჩრდილოეთი საზღვარი მი-
ეხებინა ბუნებრივი მიჯნისათვის, რომელსაც წარმოადგენდა
კავკასიონის ქედი. ამიტომ 1065 წელს თურქების სულთანი
დიდძალი ქარით (ზოგიერთი ცნობით თითქოს 500 ათასი კა-
ციით) გამოემართა საქართველოსკენ. კახეთ-შერეთის მეფე
აღსართანი მივიდა სულთანთან, გადავიდა მაჰმადიანობაში
და აღუთქვა მას ერთგული სამსახური. სულთანსვე მიეხმარ-
ნენ თბილისის ამირა და ამათი თანხლებით სულთანი შემო-
ვიდა ქართლში. სულთანმა ყველგან გაუშვა მარბიელი რაზ-
მები, რის გამო მთელი ქართლი და ნაწილობრივ იმერეთიც
საშინლად აოხრდა, რადგან შემოსევა იყო შუა ზამთარში,
დეკემბერში. და ამიტომაც იმათ გარდა, ვინც ადგილზევე და-
ბოცილ ან ტყვედ წაყვანილ იქნა, უმეტესობა დაიღუპა ზამ-
თრის სიცივეების გამო, განსაკუთრებით ისინი, ვინც გაიხიზნა
მთებში. თურქების ქარმა ქართლში დაყო 6 კვირა, და ეს
დრო სრულებით საკმარისი იყო მოსახლეობის საშინლად
დასაზარალებლად. ბაგრატმა გამოგზავნა ელჩები მოლაპარა-
კების გასამართლად, მაგრამ სულთანმა ზამთრის სისასტიკის
გამო არ დაიცადა და საქართველოდან წავიდა თავისი ქარით.

შემდეგ წლებში სულთანი თხოულობდა საქართველოსა-
გან ხარაფას (ხარტა), მაგრამ არც ბაგრატ IV და არც მისი
სიკვდილის შემდეგ, მისი შვილი გიორგი II არ თანხმდებოდ-

ნენ ამბზე და კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ სულთანს მთავრობას მდიდრული ძღვენის გავზავნით აზოშმენებდნენ ამას მოჰყვა შედეგად უკვე გიორგი II-ის დროს, 1080 წელს, თურქების მეორე დიდი შემოსევა. თურქები ამ შემოსევის დროს დაეცნენ თავს გიორგი მეფის ჩვეულებრივ ჯარით ე. ი. მეფეს თავისი ვაზირებით, დიდებულებით, ზელისუფლებით და სხვ. (მეფის ბანაკი საშუალო საუკუნეებში ზოგ სხვა ქვეყანაშიც ჩვეულებრივ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას). ბანაკი საესე იყო ყოველგვარი მუდმივ სახმარებელი მდიდრული ნივთებით. თუმცა ბანაკში ბლომად იყო შეიარაღებული ჯარი, მაგრამ თურქების მოულოდნელ თავდასხმას ვერ გაუძლეს და ამიტომ მთელი ეს სიმდიდრე დარჩა თავდაშხმელებს. ამას მოჰყვა სხვა თურქების ჯარის შემოსევა, რამაც ააოხრა მთელი საქართველო, ვიდრე ჰყონდიდის რაიონამდის (მაშასადამე, ცხენისწყალის დასაყვეთ მხარემდის). აღარებელი ხალხი ტყვედ იქნა წაყვანილი, ქუთაისი და არტანუჯი გადამწვარ იქნა ერთსა და იმავე დღეს.

თურქებმა დაჰყვეს საქართველოში იმ წლის ივნისის თვიდან ივლისის მოსელამდის. მაგრამ შემდეგ წლებშიც თურქების მარბიელი თარეშები განაგრძობდნენ საქართველოს ცალკე კუთხეების აოხრებას. ქვეყანა დაცარიელდა იმდენად, რომ ბევრი წინათ დამუშავებული ადგილი გადაიქცა ტყვედ-განსაყუთრებით დაცარიელდა ტაო-კლარჯეთ-არტაანი და ქართლ-კახეთი. თბილისი ახლა უკვე თურქების მიერ დაყენებული ამირას ხელში იყო (არაბ. „ამირი“ — მეთაური, წინამძღოლი). ასეთ მდგომარეობაში, საქართველო იძულებული იყო მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკება დაეწყო. გიორგი II თვითონ წავიდა თურქების სულთან მელიქ-შაჰთან, იყისრა ხარკის გადახდა და ამით გამოითხოვა მშვიდობა. მაგრამ თურქების წვრილ-წვრილი თარეშები ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ქვეყნის ასეთმა კატასტროფულმა მდგომარეობამ გაამწვავა შიგნით ურთიერთობა, რასაც შედეგად მოჰყვა გიორგი II-ის ტახტიდან გადადგომა და მის მაგივრად მისი 16 წლის შვილის დავითის მეფედ გამოცხადება (1089 წ.)

ამგვარად, 1081 წლიდან როგორც საქართველოს მეფე, ისე პერეთ-კახეთის მეფე გახდნენ თურქების სულთნის მოხარ-

ყენი. თურქებმა თბილისის საამიროს სათავეში დააყენეს ერთ-ერთი თურქული ტომის მეთაური ოჯახი. მომთავენი თურქული ტომები თავიანთი კარგებით და პირუტყვით გაძლიერი იყვნენ თბილისის მიდამოებში — კახეთშიც და ქვემო ქართლშიც.

გიგლიძის მიხედვით

საქართველოში ჩამოსახლებული თურქები განსაკუთრებით ფეხმოკიდებული იყვნენ კახეთის მეტ ნაწილში (მტკვრის მარცხენა ნაპირას) და, გარდა ამისა, მათ ხელში იყო ქართული სომხითიც, სამშვილდესთან ერთად, ე. ი. მდ. ქცია-ხრამის ხეობის მთელი ქვედა ნაწილი. ეს მხარეები ძლიერ მოსახერხებელი იყო მესაქონლე თურქული ტომებისათვის. ზამთრობით აქ პირუტყვისათვის ბლომად იყო ბალახი და უხვად წყალი და შენი. აქ იყვნენ მოკალათებულნი მომთაბარე თურქები თავიანთი ოჯახებით და თავიანთი პირუტყვით — ცხენებით, ჯორ-აქლემებით, ცხვრით. მისდევდნენ მესაქონლეობის გარდა ნადირობას და, ამასთანავე, ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს ქართულ ქვეყნებზე, საიდანაც მიჰქონდათ ნადავლი და მიჰყავდათ გასაყიდად ტყვეები. მათ ჰქონდათ თავიანთი სავაჭრო საბაზო ადგილებიც („ქალაქები“). ხოლო რადგანაც ეს მხარეები ზაფხულობით ცხელი იყო და ციებიანიც, ამიტომ გაზაფხულიდან თურქები თავიანთი პირუტყვით მიდიოდნენ საზაფხულოდ სამხრეთის და არარატის მთებისაკენ, ხოლო შენოდგომისათვის კვლავ ბრუნდებოდნენ. თურქები ვერ ახერხებდნენ ხსენებული მხარეებიდან შიდა ქართლში და კახეთ-ჭერეთში ფეხის მოკიდებას, რადგანაც იქ საზამთრო სამოკარი ადგილები არ იყო.

იორ-ქციას მხარეში ჩამოსახლებული თურქნი იმდენი იყვნენ, რომ ქართველებზე ეს სტოვებდა შთაბეჭდილებას, თითქოს მთელი ქვეყნის თურქობა აქ არისო. ასე სწერს ჩამოსახლებული თურქების შესახებ დავით აღმაშენებლის მემატიანე, მისი მოძღვარი არსენი („ქართ. ცხოვრება“, I, გვ. 332). ამიტომაც თანადროულ ქართველობას არც ჰქონდა ამ თურქების განდევნის იმედი. დიდგორის ომში კი ეს საკითხი გადაწყვეტა ქართველების სასარგებლოდ.

7. დავით აღმაშენებლის ცხოვრების ქრონოლოგია.

მემატიანის მიხედვით, დავითი 16 წლის იყო, როდესაც 309

ქრონიკონს ის დალოცეს მეფედ. გარდაიცვალა ის 345 წელს.
ნიკონს 24 იანვარს 53 წელსა. მეფობდა 36 წელიწადს.
თანადო გაანგარიშებით და ქრონიკონის დაწყების ჩათვლით
წინა წლის 1 სექტემბრიდან, მივიღებთ ასეთ თარიღს: 345 წელიწადი
დავითი დაიბადა 1071 წლის, დაახლოებით, სექტემბერში.

მეფედ დალოცეს 1088 წლის მაისში, როდესაც ის იყო სრული 16 წლისა და გადასული იყო 17-ე წელიწადში. გარდაიცვალა ის 1125 წლის 24 იანვარს, როდესაც ის იყო 53 წლის და გადასული იყო 54-ე წელში.

8. დავით აღმაშენებლის მეფობის პირველი ხანა.

დავითს თავისი მეფობის პირველ ხანებში სჭირდებოდა ხელმძღვანელი, რომელიც ფაქტიურად გაუძღვებოდა სახელმწიფო საქმეებს. ასეთი უნდა ყოფილიყო გიორგი ბერი, რომელიც შემდეგ ცნობილია მწიგნობართ-უხუცესის, ე. ი. პირველი ვახირის თანამდებობით. ეს გიორგი დავითს მიაჩნდა მამის მონაცვლედ. ამიტომ მისი სიკვდილი (1118 წ.) დავითმა თავისი ოჯახითურთ იგლოვია მამის სიკვდილის მსგავსად და მეტადაცო, წერს დავითის მემატეიანე არსენი ბერი („ქართ. ცხოვრება“, I, გვ. 337). შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ გიორგი უნდა ყოფილიყო თავიდანვე პატარა დავითის აღმზრდელი. როდესაც დავითი დაეაყვაცდა, ე. ი. მაშინდელი შეხედულების მიხედვით გახდა 22 წლის, ის თავითონვე შეუდგა სახელმწიფო საქმეების განმგებლობას (1095 წ.). მწიგნობართ უხუცესი გიორგი კი ამის შემდეგაც სახელმწიფო საქმიანობაში პირველ როლს ასრულებდა.

გამოვლილ ათხრებათა შედეგად საქართველო ამ დროს მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. სამეფოს ფაქტიური საზღვარი აღწევდა ლიხის მთამდის. ქართლი მოოხრებული იყო იმდენად, რომ ციხეებს გარდა არსად მოსახლე არ იყო. ქართლის ქალები სავსე იყო ირმებითა და ეშვებით. თრიალეთი და კლდეკარი ეჭირა ლიპარიტ ბაღვაშს, რომელსაც მეტად ორჭოფულად ეჭირა თავი. ასევე შეიძლება ითქვას სხვა დიდებულთა შესახებ. ერთ მათგანს სახელად ძაგანს, მაგალითად, ჭერ კიდევ დავითის მამის გიორგი II-ის დროს მიუღო ზედაზნის ციხე, მუხრანის ველი. ამის შემდეგ თვი-

თონ ძალით დაეკავებინა შიომღვიმის მონასტერი, წილანის და სხვა საეპისკოპოსოს მამულები და უკვე იმდენად ვარაუდობენ, რომ მეფეს სრულებით არ ეპყებოდნენ არც უღმა დრომ, მოსახლეობის დიდად შემცირებამ და მთელს ქვეყნის დასუსტებამ კიდევ უფრო დამოუკიდებელი და მიუღწეველი გომელი გახადა მაგარ ციხეებში გამაგრებული დიდებულები. სამხედრო ძალა სრულიად დაქსაქსული იყო. ჯარი იყო მცირერიცხოვანი, ცუდად შეიარაღებული („უცხენო-უსაჭურველო“, აღნიშნავს მემბტიანე) და თურქებთან ბრძოლებში მრავალჯერ დამარცხების გამო მთლად იმედგატეხილი.

ასეთ პირობებში დავითი და მისი მართებლობა ცდილობენ, უპირველეს ყოვლისა, მიწათმფლობელი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქამდის გლეხი, უმეტეს შემთხვევაში, არ იყო მტკიცედ მიმაგრებული მიწის მებატრონზე. გლეხი მიწათსარგებლობისათვის განსაზღვრულ ბეგარას იხდიდა მებატრონის სასარგებლოდ და მისი ვალდებულება უმთავრესად ამით ამოიწურებოდა.

გლეხი რომ რამდენიმედ მაინც ყოფილიყო დაკავშირებული მიწის მებატრონესთან, შემოღებულ იქნა ახალი გადასახადი. დიდ უქმეებზე გლეხს უნდა მიეტანა მებატრონისათვის ძღვენი. გლეხს თავისუფლად შეეძლო ერთი მებატრონისაგან მეორე მებატრონესთან გადასვლა, მაგრამ ძღვენი მას მაინც წინანდელ მებატრონისათვის უნდა მიეტანა. ეს უკვე იყო მებატრონესთან გლეხის იურიდიულად მიმაგრების დაწყება. გლეხი ხდებოდა განსაზღვრული მებატრონის ყმა, მაგრამ ეს კანონი თანასწორად სასარგებლო იყო ყველა დიდებულისათვის, როგორც დარბაზის (ე. ი. მსახურელ), ისე თემის დიდებულებისათვის. თემის დიდებულები კი ხშირად მეფის უფლების საწინააღმდეგო ძალას წარმოადგენდნენ. მართებულობამ ამიტომ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი. უპირველეს ყოვლისა, მტკიცედ დასაყრდნობი ძალის მოსაპოვებლად. ამ მიზნით შემოღებულ იქნა სამეფო მამულებიდან ნაკვეთების გაცემა ისეთ პიროვნებებზე, რომელთაც შეეძლოთ მოლაშქრის სამხედრო ვალდებულება ეყისრათ. ეს მოასწავებდა საკარგავების სისტემის რეორგანიზაციას.

მ. საჭარგავების სისტემის რეორგანიზაცია. ხსენებული დებულების შემოღება მოხდა თურქ-სელჯუქთა ხელმწიფოს მსგავსად. სელჯუქთა სახელმწიფოში სახელმწიფო წესების სისტემა გატარებულ იქნა სულთან მალგუბატუნ შაჰის ვაზირის ნაზიმ ულ-მულუკის მიერ დაახლოებით 1070 წელს.

ამ ეპოქის ძირითადი ისტორიული წყარო „ტარიღი ალ-სელჯუკ“ („სელჯუქთა ისტორია“), შედგენილი იმად უდ-დინ ისფაანელის (ისპაანელის) მიერ, რომელიც ჩვენამდის მოწვენილია ალ-ბუნდარის მიერ შემოკლებული ვერსიით, გამოცემის შემდეგ:

„ქალაქები დაღარიბდნენ და გაძლიერდა უსამართლობა და ცალკე ოლქები აღდგნენ სხვა ოლქების წინააღმდეგ. მაშინ სულთანმა ბრძანა სამართლიანობა აღედგინათ და გაეუზომესებინათ ოლქების ცხოვრება. ჩვეულებად იყო, რათა მხარეებიდან შეეკრიბათ ფული და შემდეგ ის მიეცათ მეომრებისათვის. მანამდის წესად არ იყო იქტაების (ლენების, გაცემა. მაგრამ ნიზამ ულ-მულუკმა დაინახა, რომ არეულობათა მიზეზით ფული (ალ-ამულ) მხარეებიდან არ იკრიბება და რომ შემოსავალი მხარეებიდან არაა უზრუნველყოფილი, ამ ქვეყნებში არსებული შიმშილ მდგომარეობის გამო. ამიტომ მან გააკეთა მხარეები მეომართა შორის იქტაებად და მისცა მათ მიწებისაგან აღებული შემოსავალი“.

საქართველოში მანამდისაც იყო, ნაწილობრივ მაინც, საკარგავებად საშემოსავლო რენტის გაცემა მიწებიდან, ანდა რაიმე საიჯარო საქმიდან. მაგრატ IV-ის დროის სიგელში 1058 წლის ახლოს იხსენიება „აზნაურნი მემამულენი და მოსაკარგავენი“, ე. ი. აზნაურნი, რომლებიც თავის მამულს ფლობდნენ სამკვიდროდ (99 წლის ვადით მაინც, რომლის გასვლის შემდეგ სათანადო ერთდროული თანხის შეტანით მფლობელობის ახალი 99 წლის ვადა კვლავ ახლდებოდა), და აზნაურნი, რომელთაც ჰქონდათ საკარგავეები გარკვეული შემოსავლის აღების უფლებებით. მუხრანის მხარედან გაქცეული დამარცხებული განჯის ამირა ფადლონი ეუბნება ერწოში ერთ იქაურ მსოფლიონს, რომელმაც იცნო ის: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვეცხლი დიდძალი და საკარგავენი მრავალ-“

3. ს. კაკაბაძე

ნი, და ნუ შემოიწამებ (ნუ გამამხელო)“. საკარგავად ამ ცხადია, იგულისხმება საშემოსავლო ობიექტებზე დაღიწერი რენტა. შემატიაწე არსენი დიდ დამსახურებად უთვლიდა ვითს, რომ მან „განათავისუფლა არა მონასტერნი, არც არა ლაერანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან, არც არა ნიცა სამეფოთა შინა მისსა ყოელისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუბყრან ღმერთსა“ (გვ. 353).

ამ ლაბარაკია უფრო ეკლესიის მსახურთა შეუვალობაზე. რაც შეეხება მონასტრებს და ლაერათ, ამჟამად ჩანს, რომ მათ მამულებს და ცლებებს ედევით გარკვეული სავადსახადო ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე და მოსაკარგავებზე ისინი გაცემული ყოფილა რენტის მსგავსად. ამასთანავე მოსაკარგავენი ამ რენტის აღების დროს ყოფილან „მაჭირვებელნი“, ე. ი. ბუნებრივია, ისინი ცდილობდნენ თავიანთი რენტის სრულად მიღებას და თუ ეს რენტა ნატურით იყო, ეცდებოდნენ მიეღოთ საუკეთესო ხარისხისა. ეს უკვე შემოწმებული იყო მონასტრებისათვის.

ამგვარად, ექვს გარეშეა, რომ საკარგავი XI ს. წარმოადგენდა ფეოდალურ რენტას, გაცემულს გარკვეულ პირობებზე სათანადო სახელმწიფო ვალდებულებათა და, ხშირად კიდევ, სამხედრო სამსახურის შესრულების პირობით. რასაკვირველია, რენტის გაცემის პარალელურად წარმოებდა მამულების გაცემაც ასევე გარკვეული (უფრო სამხედრო) სამსახურის შესრულების პირობით. „ახნაურნი შემამულენი“; მოხსენებულნი ბაგრატ IV-ის დროს, სწორედ ასეთ პირობებში უნდა ყოფილიყვნენ. მოღწეულია დავითის ბრძანება, მიცემული 1110 წლის ახლოს ვეძისხეველ (პერეთში, კახეთის მიჯნისაკენ) ნიანის შესახებ. შემდეგი შინაარსისა: „სახელითა ღმრთისათა დავითისაგან, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა. აწლა მოვიდა ჩუენ წინაშე არიშიანი და გუეაჟა, რათამცა ვაუშვით და გავათავისუფლეთ ნიანია გრიგოლ მოოკრებულის შვილი მისითა მამულითა ვეძისკევეითა, ეინადგან ადგილიცა ზითვად ჰქონებოდა და ჩუენიცა დიდად ნამსახური და ბეგრი ვალი იყო, ლაშქრობა აღარ შეეძლო. აწ ვაუშვი ნიანია მისითა მამულითა, ზითვად

ნაქონებითა ვეძისქვევითა და გაგვითავისუფლებია ყოველსა
გამოსავლისა და შესავლისა საველმწიფოისა და სოფლისა
გან ყოველისა“.



ამ დროს, როგორც ეტყობა, მოსაქარგავენიც¹ იყვნენ რენტის მაგიერად მამულის მიღებაზე. როდესაც შემვიდრე შემამულენი მიწისა და სამფლობელოს ღებულობდნენ 99 წლის ვადით, მოსაქარგავეთ მამულები და გლეხები ეძლეოდათ მხოლოდ სიცოცხლის მანძილზე, ანდა სანამდის მათ საქარგავით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულება შეეძლოთ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ვისრამიანის“ ქართულ ვერსიაში, რომელიც სპარსულიდან გადმოღებულია 1090—1100 წლების ახლოს, საქარგავი იხმარია ერთგან სპარსულ ტექსტთან შეუსაბამოდ, მაგრამ სპარსული „თიმარის“ შესატყვისად. „თიმარი“ კი (სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა) უფრო გვიან ოსმალეთში დადს-ტურებულა როგორც სამხედრო ლენის აღმნიშვნელი. ქართულ „ვისრამიანში“ ნაგულისხმევ ადგილას ტერმინი „საქარგავი“ იხმარება მამულის, სამფლობელოს მნიშვნელობით. იქვე უფრო ქვემოთ ნათქვამია, რომ რამინმა (იგულისხმება საქარგავებად) „თვითო ქვეყანა თვითოსა აზნაურსა მისცა და თვითო ქალაქი — თვითოსა ყმისა“ (ყმა აქ ნიშნავს აზნაურზე ოდნავ დაბლა მდგომ ვასალს, ჩვეულებრივ გლეხზე ბევრად მაღლა მდგომს).

ამგვარად, დავითის დროს გატარებული ყოფილა საქარგავეების რეფორმა, რენტის მაგიერად მოსაქარგავეებზე მამულების გაცემით. ვფიქრობ, რომ ეს რეფორმა 1100—1105 წლისათვის უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო¹.

¹ ტერმინს „საქარგავს“ სამხედრო ლენის მნიშვნელობით მე ვხმარობდი 1928 წლიდან საშუალო სკოლისათვის საშუალო სიუჟეტების (ვერობის) ისტორიის მოსამზადებელ თათბირებზე, და ესევე დებულება შეტანილია თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ზემს მიერ შედგენილ პროგრამაში 1930 წლიდან და შემდეგ ყველგან უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მე ვკითხვლობდი ლექციებს. დებულება (დავით აღმაშენებლის დროს ნიზამ-ალ-მულუკის მიხედვით) სამხედრო ლენების (მამულების) შემოღების შესახებ საქართველოში პირველად დაიბეჭდა ზემს Из социально-экономических вопросов средневековой Грузии, 1928, 1928, და აგრეთვე ზემს Краткий очерк истории

სამხედრო ნაქვეთების (ქართულად საქარგავეების) გაქვე
გამოიხატება იმაში, რომ ცალკე მეომარს ეძლეოდა ვაჟი
ზღვრული დასახლებული, ანდა დამუშავებულ მამული,
რომლის სამაგვიროდ ის მუდამ მზად უნდა ყოფილიყო
ლაშქროდ ცხენითა და იარაღით და ჯაჭვ-ჯავახით გასაყე-
ლულად.

საგადასახადო ერთეულად მანამდის საქართველოში ითვ-
ლებოდა გლეხის ფუძე. თამარ მეფის დროსაც ფუძით ანგა-
რიში კვლავ არსებობს, მაგრამ იმავე დროს თან უმატებენ,
რომ მოცემულ შემთხვევაში ეს ფუძე შედგება 2—3 კომ-
ლისაგან. ზოგადი გაანგარიშებით ცხადი ხდება, რომ საგადა-
სახადო ვალდებულება თითო კომლის ანგარიშზე გადასვლით
უნდა მომხდარიყო დავითის მართებლობის დროს გატარე-
ბულ სამხედრო რეფორმასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება თვით სამხედრო რეფორმას, მისი არსი ირკ-
ვევა შემდეგნაირად.

Грузия, Сухухи, 1941, გვ. 22—23 (აქ ნახვარია ქართული ტერმინი
„მოსაქარგავენი“ (სამხედრო ლენების მფლობელთა აღსანიშნავად). 1926
წლიდან ეს დებულება, ზემოთ თქმულის თანახმად, შეტანილია საქარ-
თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ შედ-
გნილ „საქართველოს ისტორიის“ მაკეტში (თბილისი, 1956) და საბელ-
მბლენელ წიგნებში (1958—1962 წწ.).

შემდეგში, 1950 წლიდან, დებულება საქარგავეების შესახებ ჩემს მიერ
შესწორდა და „საქარგავე“ მიხედვლ იქნა ფეოდალურ რენტად, რომე-
ლიც პირობით იცემოდა ამა თუ იმ პირზე (იხ. ამის შესახებ: სარგის კა-
კაბაძის „ვახტანგ გორგასალი“). თბილისი, 1959, (გვ. 42—48).

მე სწორად მქონდა (1911 წელს) აღნიშნული, რომ მამულიანი ბენე-
ფიციუმები ჩვენში შემოვიდა XII ს-ნიდან. ამ წელს თბილისის ქალთა
ემბლეს კერსებზე ჩემს მიერ წაკითხულ საქართველოს ისტორიის კერ-
სის დასაყვებლად სასიყ ლექციაში სხვათა შორის ნათქვამი იყო.

«В XII столетии в Грузии мы впервые встречаем явление, ана-
логичное западно-европейскому beneficitum. Царь отдавал в пожиз-
ненное владение деревни, крестьян и даже крепость. Обыкновенно
это пожизненное владение было связано с какою-нибудь придвор-
ную или административную обязанностью. Если должностное лицо
перемещалось на другое место, бенефиций переходил по преемст-
ву к новому должностному лицу» (Черты феодального строя и
крестьянские повинности в Грузии в конце средних веков, Тиф-
лис, 1912, стр. 8.

როგორც არსებული საბუთების შედარებიდან ჩანს, ამერიკიდანაც დიდებულნი და მემამულე აზნაურები კლასიკატორებულ კლასს შეადგენდნენ. მაგრამ ამათ ქვემოთ დიდობდნენ, წინააღმდეგ მოსაკარგავეთა შესატყვისად დღური, იგივე დარბაზის ერნი, იგივე მონასპა, ბეჭედი და მოყმენი. აქ იგულისხმება მეომართა ის კონტიგენტი, რომელიც ჩამოყალიბდა დავით აღმაშენებლის დროს. ტერმინის „მოსაკარგავის“ შენარჩუნება ამტკიცებს, რომ ახალ ლაშქარსაც საფუძვლად ედვა საკარგავების გაცემის წესი. ტერმინი „ოთხშიზდური“, რომელიც იხსენიება სოციალური მნიშვნელობით თამარ მეფის დროს, ნიშნავს ოთხი „შიზდის“ (სპარსული ჰიტყვია სარგოს, ხელფასის მნიშვნელობით) მქონეს. ვფიქრობ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ოთხი კომლის გადასახადის სარგოდ მიცემა აზნაურ მეომრისათვის.

1260-იანი წლების საბუთში, რომლითაც საეკლესიო კრება ემუქრებოდა მეფის კარს სამღვდელოების გაფიცვით, აზნაურების შემდეგ მოხსენიებული არის „დარბაზისერი“ (მხოლოდით რიცხვში). ეს ტერმინი „ვეფხისტყაოსანშიც“ არის მოხსენიებული: ფატიმანი ეუბნება თავის ქმარს უსუნს — მეფის „დარბაზს დავხედების დარბაზის ერი მთვრალეები“-ო. შედარებიდან ჩანს, რომ ეს დარბაზის ერი არის უმთავრესად იგივე ოთხშიზდური. თამარის პირველი მემკვიდრე გიორგი III-ის სიკვდილის შესახებ თბრობაში იხსენიებს სპებს და მონასპებს (სპა, სპარსული „სიპა“ — უმთავრესად ცხენოსანი ჯარი). იყო, მაშასადამე, ჩვეულებრივი სპა და კიდევ მონა სპა.

მონა სპა შედგებოდა სამეფო მსახურთაგან, რომელნიც მონებადაც იწოდებოდნენ, თუმცა მონები არ იყვნენ. დავითის მეფობის ბოლოში ისინი (დიდგორის ომის წინ) შეადგენდნენ ზუთი ათას მეომარს. მონასპა იყო უშუალოდ და პირადად მეფის განკარგულებაში. მონასპის მსახურ-მეომარი (იგივე მონა) იმავე მდგომარეობისა იყო, როგორც წინა აზი-აში ამ დროს სპარსული ტერმინით ცნობილი ღულამები (სპარსულად ნიშნავს მსახურს, მონას).

ამგვარად, დავითის მიერ ჩატარებული რეფორმა მიზნად ისახავდა საკარგავების სისტემის გაღრმავებით და ფარ-

თოდ გაშლით კარგი ხარისხის შრავალრიცხოვანი ლამაზი შექმნას. დიდებულთა და აზნაურთა გარდა, რომელნიც კარში მთავარ წამყვან და ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენდნენ, იყვნენ კიდევ ბლომად ოთხმიზღურნი, მოსაქმნენ და

თამარის დროინდელი ცნობის მიხედვით, მათგან გლეხზე მოსავლის $\frac{1}{4}$ -ს შეადგენდა, უფრო ადრე კი, ადარნასეს დროინდელი კანონით, დაწესებული იყო მოსავლის $\frac{1}{5}$. როგორც ჩანს, ეს ცვლილებაც დავითის დროს მოხდა.

ოთხმიზღურობის დაწესებისას, საფიქრებელია, ანგარიშობდნენ, რომ მეომარს უნდა უზრუნველყოფილი ჰქონოდა გლეხის ჩვეულებრივი კომლის ის გამოსავალი, რომელიც დაწესებული იყო მისი მეპატრონის სასარგებლოდ (სახელმწიფო, საერისთავო, სახელისუფლო, საეკლესიო გადასახადების გარდა). ოთხი კომლის გამოსავალი მოსავლის მეოთხედობის ანგარიშზე უდრის ერთი კომლის სრულ გამოსავალს. ოთხ კომლ გლეხზე მოდის ამგვარად ერთი მოლაშქრე, რომელიც, გლეხის პირობაზე საკმაოდ უზრუნველყოფილი, მთლიანად სამხედრო საქმით უნდა ყოფილიყო დაკავებული (ხშირი ვარჯიში, მუდამ მზად ყოფნა, საყარაულოდ გასვლა და სხვ.).

თავისთავად იგულისხმება, რომ მართებლობას შეეძლო საყარგავეები გაეცა მხოლოდ სამეფო გლეხებიდან. დიდებულთა და აზნაურთა გლეხებს ის ვერ შეეხებოდა, რადგანაც მაშინ თვით ეს დიდებულ-აზნაურნი არ იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი და თავის მოვალეობას ვერ შეასრულებდნენ.

თითო კომლზე ამ ხანაშიც, საშუალოდ, საანგარიშებელია, 10 სული ორივე სქესისა (XIII ს-ნეშიც 25 სულიან ფუძეზე ჩვეულებრივ 2—3 კომლი ისხდა): საფიქრებელია, რომ მოსაკარგავენი ზემოხსენებულად უზრუნველყოფილნი, იარაღის ტარების უნარის მქონენი (ე. ი. 18—50 წლის ასაკის) ყველა ლაშქრობაგაღებულ იქნებოდა. ამიტომ ერთ კომლ (10 სულ) მოსაკარგავეზე საფიქრებელია 1,9 მეომარი (თითქმის ორი მეომარი). აქედან გამომდის, რომ მოსაკარგავე მოლაშქრენი თავიანთი ხელქვეითი გლეხების მიმართ კომლურად შეადგენდნენ $\frac{1}{5}$ -ს. ეს ვარაუდი ადასტურებს ზემომოყვანილ მოსაზრებას ოთხმიზღურთა შესახებ, რომ ოთხი კომლის გადასახადი სარგოდ ეძლეოდა ერთ კომლ მოსაკარგავეს.

საფიქრებელია, რომ დიდებულნი და აზნაურნი მათ მიერ გამოსაყვან მემომართა მიხედვით და აგრეთვე გათვალისწინებით იმისა, რომ მათ სხვა ვალდებულებანიც ედებათ, უკეთესად უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი. ესაა ის, რომ რადგანაც დიდებულნი და აზნაურნი, აგრეთვე უღლებრივ ომში იარაღის ტარების უნარის მქონენი, დაახლოებით 18—50 წლის ასაკისა, ყველანი გადიოდნენ (მაშასადამე, თავიანთი კლასის დაახლოებით 19%), თითო კომლ (10 სულ) დიდებულ-აზნაურზე მოდიოდა აგრეთვე 1,9 მემომართი, რომლებსაც თავის ზელქვეით უნდა ყოლოდათ (მოსაყარგავეთა დაგვარად, ზემომოყვანილი ვარაუდის გათვალისწინებით, რომ ოთხი კომლი გლეხი უზრუნველყოფდა ერთ მოლაშქრეს), სულ კოტა 7,6 კომლი ანუ 76 სული გლეხი. ეს არის მაშინდელ დიდებულთა და აზნაურთა გლეხთმფლობელობის მინიმუმი. ხოლო, რადგანაც დიდებულთა და აზნაურთა ქარი ჩვეულებრივ მოსაყარგავეთა უკეთესი უნდა ყოფილიყო, ამიტომ მათი უზრუნველყოფა და, მაშასადამე, გლეხთმფლობელობა ამაზე მეტიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ საშუალოდ ბევრად მეტი არ იქნებოდა.

ამგვარად ცხადი ზდება, რომ ახალი რეფორმის შედეგად ლაშქარში შეყვანილ იქნა ბლომად დაწინაურებული გლეხები, მოსაყარგავეთა სახით. რადგანაც მეფის კარზე ყოველთვის იყვნენ ტაძრეულნი და მონასპანი, ამიტომ ამით გლეხობა უკვე აქტიურად ებმებოდა კარის საქმიანობაში. უშუალო შწარმოებელი გლეხების ინტერესებისათვის ინგარიშის გაწევა ახლა პირდაპირ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგანაც უამისოდ დაზარალდებოდა ლაშქრის მხედრული სული და შინაგანი მთლიანობა.

როგორც ჩანს, დავითისავე დროს, მოსაყარგავეთ ხშირად სამემკვიდრეოდ უმტყიცდებათ მათზე გაცემული მამულებით სხვა შემოსავალი. მემატრიანე ამბობს, რომ დავითმა გაათავისუფლა მონასტრები მათი შემაწუხებელი მოსაყარგავეებისაგან, რომელნიც, საფიქრებელია, სარგებლობდნენ მონასტრების მიწა-მამულებით. მაგრამ სამაგიეროდ მმართველობას ამ მოსაყარგავეთათვის უნდა მიეცა რაიმე კომპენსაცია. საყარგავეების სამკვიდროდ განმტყიცება კი ნიშნავდა მათ და-

კარგვას სახელმწიფოსათვის. ამიტომაც ამ დროიდან იწყებს ტერმინი „დაკარგვა“ თავისი მნიშვნელობის შეცვლას. სახელობრ, მან შეცვალა მანამდის არსებული ტერმინი „წარკლამა“. თამარის დროს შოთა უკვე ჩვეულებრივად იხმარობს ტერმინს „დაკარგვა“, დაკარგულის ამ ახალ მნიშვნელობას მიღებული მნიშვნელობით, თუმცა მან იცის ამ სიტყვის წინანდელი მნიშვნელობაც.

10. ჯვაროსნული ომების დასაწყისი და საპართავლო.

ამ დროს, ერთი მხრივ, ცენტრალური და დასავლეთი ევროპა და, მეორე მხრივ, წინა აზია მოქცეული იყო ერთმანეთთან დიდ წინააღმდეგობაში. რასაც საფუძვლად ედვა ეკონომიკური მიზეზები. ცენტრალური და დასავლეთი ევროპა ეძიებდა ახალ შესაძლებლობებს თავისი ახალ საქმოდ განვითარებული სახელოსნო ნაწარმთა გასასაღებლად და თავისთვის საჭირო ნედლეულის მოსაპოვებლად, რაც მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობათა გაძლიერებას წინა აზიის ქვეყნებთან. ამიტომ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში იწყება მისწრაფება წინა აზიის ქვეყნების მიმართულებით. ხოლო, რადგანაც ფეოდალურ ხანაში იდეოლოგიის სფეროში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა სარწმუნოებებს, ამიტომ ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული მოძრაობანი ხშირად ლებულობდნენ სარწმუნოებრივი კონფლიქტებისა და თვით ომების ხასიათს. მართლაც, ევროპაში ამ დროს გაახსენდათ, რომ იერუსალიმი, ქრისტიანებისათვის წმიდა ქალაქად მიჩნეული (ასევე წმიდა ქალაქად ის მიიჩნედათ თავისთვის ებრაელებსაც), უკავიათ მაჰმადიანებს. აქედან წარმოიშვა ეგრეთ წოდებული ჯვაროსანთა მოძრაობა და ჯვაროსანთა ომები. მაჰმადიანთაგან ქრისტეს საფლავისა და იერუსალიმის გასანთავისუფლებლად რომის პაპი და სამღვდელოება იყენებდა ქრისტიანობის ემბლემას — ჯვარს, რომლის სახელის გარშემო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ხალხით რაზმადნენ თავიანთ ძალებს მეფე-მთავრები და ფეოდალები. ვერძოდ, რაინდები მიისწრაფოდნენ ახალ ქვეყნებში თავისი ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. საქალაქო პირებიც, საერთაშორისო ვაჭრობის გაძლიერების იმედით,

ამ მოძრაობის მომხრენი იყვნენ. თანაუგრძნობდა მას ხალხი, რომელიც ამით თავისი ეკონომიკური მდგომარეობის შეცოცხლებას მიაჩნდა გაუმჯობესებას იმედოვნებდა.

ვეროპელთა პირველი ჯვაროსნული ომი წინაპროვინციის მამულიანების წინააღმდეგ, სპეციალურად იერუსალიმისა და მისი მიმდებარე მხარეების დასაპყრობად, შედგა 1096 წელს. იერუსალიმი ჯვაროსნებმა წაართვეს თურქ-სელჯუკებს და პალესტინასა და სირიაში მოეწყო ვეროპელთა ფეოდალური მცირე სახელმწიფო-სამფლობელოები. ვეროპისა და წინააღმდეგ ურთიერთობაში იწყებოდა ახალი ხანა.

ჯვაროსნები შედგებოდნენ დასავლეთ ვეროპის ქვეყნების ხედასხვა ხალხთაგან, ფეოდალური წრეებისაგან, უმთავრესად რაინდთაგან. დასავლეთ ვეროპის ფეოდალურ წრეებში კი იმ ხანაში და შემდეგშიც ინტერნაციონალურ ენად მიღებული იყო ეგრეთ წოდებული ძველი ფრანგული ენა. ამ ენაზე ლაბარაკობდნენ შემდეგშიც ინგლისის მეფის კარზე, აგრეთვე იტალიის წამყვან ფენებში. ასევე, შემდეგში ფრანგული ენა იცოდნენ ეგვიპტის სულთანის კარზედაც. ბუნებრივია, რომ ძველი ფრანგული ენის მკოდნენი XII—XV ს. უნდა ყოფილიყვნენ ქართველთა შორისაც.

ძველი ფრანგული ენის ასეთი მნიშვნელობის გამო, ქართველებისათვის, საერთოდ, ვეროპელები (უფრო დასავლეთ ვეროპელები, საკუთრივ ფრანგები, გერმანელები, იტალიელები, ესპანელები, ინგლისელები) იწოდებოდნენ ფრანგებად. ასე უწოდებდნენ მათ სომხებიცა და სპარსელებიც.

ჯვაროსნული ომების დასაწყისიდანვე ურთიერთობა დასავლეთ ვეროპასთან, შედარებით წინანდელ დროსთან, თვალსაჩინოდ გაძლიერდა. მთელი რიგი ფაქტები ამას მოწმობს.

თითქოს ამ დროიდან უნდა იყოს ქართულში შემოსული და ფოლკლორში დადასტურებული გამოთქმა „ფრანგული ხმალი“, რომელიც დასავლეთ ვეროპიდან შემოსულ ხმალს ეწოდებოდა. თურქების შემოსევათა და მათთან ბრძოლების ხანაში უკეთესი ზარისხის იარაღის საკითხი, რამაფუორველია, მწვავედ იდგა და ამიტომ ვეროპული იარაღიც შეიძლებოდა ყოფილიყო, კერძოდ, საქართველოში იმპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი.

შავთელისეულად მიჩნეულ დაეთ მეფის შესახებში მოხსენებულთა პონორის დუქსი (პერცოვი ან მთავარი პონორი), რომელსაც პოეტი პირშავად იხსენიებს. პონორი უცხოელად დასაყვლეთ ევროპელი მაღალხარისხოვანი რაინდი, რომელიც თითქოს წინამძღოლობდა ფრანგების ჯარს დიდგორის მთაზე და შესაძლებელია შემდეგაც იმყოფებოდა საქართველოს სამსახურში. მისი „პირშავობა“ გამოჩნდა, ალბათ, ომის შემდგომ დროში (იხ. § 40).

დასაყვლეთ ევროპაში რაინდების განმასხვავებელ ნიშანს, სხვათა შორის, შეადგენდა დეზები. მოსკოვის მეფის ელჩი ნიკ. ტოლოჩანოვი 1651 წელს გადმოგვცემს, რომ იმერეთში ყველანი (იგულისხმებიან თავადები და აზნაურები) დადიან (ცხენით თუ ქვეითად) დეზებით (а на лошадях сядят и пеши ходят все с острогами).

დასაყვლეთ საქართველოში XIX ს. შეახანებშიც თავდაზნაურობა ხმარობდა დეზებს, რაც ძლიერ უკვირდა განათლებულ ა. ნ. მურავიოვს, რომელიც საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობდა 1846 წელს. ის წერდა: „Странно, откуда этот рыцарский обычай мог проникнуть на Черное море, когда в соседней (Восточной) Грузии и Армении никто не носит шпор!“.

საყურადღებო ცნობა აქვს ამ მხრით კ. ბოროზდინს. ის გადმოგვცემს, რომ ოდიშში 1850-იან წლებშიც სამთავრო აზნაურები სხდებოდნენ თავადებთან ერთად, რომელნიც მათ მიმართავენ სიტყვით „ძმაო“. ისინი ატარებდნენ ორ დეზს და, არაიშვითად, ერთადნენ თავადიშვილის ქალებსაც. საეკლესიო აზნაურები უკვე ვერ სხდებოდნენ თავადებთან ერთად, ნებათვის ვარგულე. მათ ჰქონდათ დეზი მხოლოდ ერთ ფეხზე. სათავადო აზნაური კი ყოველთვის ფეხზე იდგა და, ეტყობა, მას არც დეზის ტარების უფლება ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ კ. ბოროზდინი არას ამბობს².

ვახტანგის კანონებში (§ 31) მესამე ხარისხის აზნაური იწოდება ცალ-მოგვ (ე. ი. ცალ ჩექმიანი) აზნაურად, იგულის-

¹ Грузия и Армения, III, СПб., 1848, стр. 242.

² К. А. Бороздин. Закавказские воспитания, Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 год, СПб., 1885, стр. 315.

ხმება ვისაც ჩექმაზე მხოლოდ ცალი დეზის ტარების უფლება ჰქონდა. ცხადია, დანარჩენი აზნაურები, და შიშვენიერ თაყაიდები, დეზს ატარებდნენ ორივე ფეხზე. მაგრამ XIX ს-
ნეში დეზის ხმარება აღმოსავლეთ საქართველოში უკვე გავრცელებული
დნო იყო, დასავლეთ საქართველოში კი ის ამ დროს ჯერ
კიდევ შემორჩენილია.

რადგანაც დეზების ხმარება დასავლეთ ევროპაში (ფეოდალურ ხანაში) განკუთვნილი იყო მხოლოდ კეთილშობილთათვის და ასე ყოფილა, ხსენებული რემინისცენციის მიხედვით, საქართველოშიც, ამიტომ ეს გარემოებაც უნდა ჩაითვალოს დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით ფრანგების ზეგავლენის შედეგად, ფეოდალიზმის აღმავლობის ხანაში, კიდევ უფრო დავით აღმაშენებლის დროიდან.

„ამირან-დარეჯანიანში“ (X—XI ს-ის მიჯნის ახლოს), სადაც ქაბუჯთა საქმენი საგმირონია ასახული, დეზი სრულებით არ იხსენიება. არ იხსენიებს დეზს სტეფანოს ორბელიანიც, როდესაც აგვიწერს 1040-იანი წლებისათვის ერისთავთ ერისთავის ლიპარიტის აკაზმულობას. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მოყმე ავთანდილი უკვე დეზს ატარებს. როდესაც ტარიელის მამებარი ავთანდილი გაექცა სანადიროდ გამოსულ სამ ძმას, მან „ცხენი გაქუსლა დეზითა“.

„დეზი“ ძველისძველი ქართული სიტყვაა ს.-ს. ორბელიანი მას იხსენიებს დაბადების ტექსტში (საქმე, 9,5), თუმცა მის მიერ მინიშნებულ ადგილას ეს სიტყვა არაა ებრაულ ტექსტში. თავისთავად ქართული სიტყვა „დეზი“ წარმომდგარი უნდა იყოს ბერძნული „დექსის“-ისაგან („კბენა“), ყოველ შემთხვევაში, ერთი ძირისაა მასთან. როგორც ზემოთ მოტანილ, თუმცა მეტად მცირე მასალიდან ჩანს, დეზი როგორც ცხენის საჩხვლეტი საშუალება XII ს-ნეში იხმარებოდა მოყმეთა წრეში. იყო თუ არა საქართველოშიც დეზის ხმარების მხრივ ისეთივე განსხვავება, როგორც დასავლეთ ევროპაში, სადაც რაინდები ხმარობდნენ ოქროს დეზებს, ხოლო მებაჟრეები და სხვანი მათნი კეთილშობილნი თანმხლებნი — ვერცხლის დეზებს, ეს არ ჩანს.

ჯვაროსნული ომები გავლენას ახდენდა საქართველოს ვითარებაზედაც, თუმცა საქართველოს ცალკეული ნაწილები

(ქართლი, მესხეთის სამხრეთი მხარეები) საეკლესიო ურთიერ-
ბული იყო. თურქ-სელჯუკიანთა სახელმწიფო განიცდიდა
არეუ-დარეუას. სულთანობის პრეტენდენტთა შორის მხარედ
იყო შინაური ომები. ქართველები ემზადებოდნენ მათ
მადიანებთან, ადგილობრივ, თავისებური ქვაროსნული რიგის
დასაწყებად. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო უპირველეს
ყოვლისა, შინაგანი ძალების გაერთიანება. ნიადაგი ამისთვის
უკვე საკმაოდ მომზადებული იყო.

საქართველოში XI ს. საკმაოდ განვითარდა საქალაქო
კხოვრება. მაგ., ქუთაისი ბაგრატ III-ის დროიდან ვრცელ
ქალაქს წარმოადგენდა, თავისი დიდი ციხით. ქუთაისის მოქა-
ლაქენი შეადგენდნენ მეტად მნიშვნელოვან ძალას. მათ
ემორჩილებოდა მდ. რიონისა და ცხენისწყალს შუა ქუთა-
ისის ქვემო მხარე, რომელსაც სამოქალაქო ეწოდებოდა.
ცხადია, რომ ქუთაისის მოქალაქეები მისდევდნენ სახელოსნო
წარმოებას, რომლის საჭიროებისათვის, კერძოდ, ნედლე-
ულისათვის, მათ თავის ხელში ჰქონდათ ხსენებული საკმაოდ
ვრცელი ტერიტორია. შემდეგდროინდელი ფაქტების მოშვე-
ლიებით თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ
ქუთაისის მოქალაქეთა ეკონომიკაში მთავარ როლს ასრუ-
ლებდა მეაბრეშუშეობა (ქართული აბრეშუმის ნაწარმი
XII ს. გაჰქონდათ კონსტანტინოპოლში და, ალბათ, უფრო
შორსაც).

მნიშვნელოვან საგზაო პუნქტს XI ს. წარმოადგენდა ხუ-
ფათი, ახლანდელი ბათუმის ადგილას. ეჭვს გარეშეა, რომ მას
ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა თავისი ბუნებრივი ნავთსადგუ-
რის გამო.

XI ს. მართებლობა დებულობდა სპეციალურ ზომებს
მცირე ქალაქების გასაშენებლად. ბაგრატ IV-მ ატენში (შიდა
ქართლი) გააშენებინა თავის ზეარში ქალაქი. ააშენეს დარ-
ბაში, საბლები და ქელბაგები (უკანასკნელნი ხელოსანთა და
ვაჭართათვის).

ყოველივე ამის მიხედვით, საქართველოშიც გარკვეული
საქალაქო სავაჭრო-სახელოსნო წრეები და მათთან დაკავში-
რებული ხალხის ფართო მასა და აგრეთვე გაბატონებული
მმართველი ფენები დაინტერესებული იყვნენ, რათა ამიერ-

კავკასიაში, ქართველების მეთაურობით, შექმნილიყო მოსახ-
დილი სახელმწიფო, რომელიც შედებდა შინაური მშვიდო-
ბიანობის უზრუნველყოფას და სავაჭრო ურთიერთობის გა-
ფართოებას. საქართველოს მართებლობა დაეით ~~ქვემოქმედობა~~
მძლევანელობით ამ მოთხოვნილებას ენერგიული ~~ტერიტორიული~~
პოლიტიკით უპასუხებდა. მიზნად იყო დასახული საქართველოს გაერ-
თიანება, თბილისის საამიროს დაპყრობა და საქართველო-
თბილისთან ასე თუ ისე დაკავშირებული მხარეების შემო-
ერთება. გადაწყდა პირველ რიგში კახეთ-პერეთის სამეფოს
გაუქმება.

11. კახეთ-პერეთის სამეფოს შემოერთება. კახეთის
უკანასკნელი მეფე აღსართანი შეიპყრეს (როგორც ჩანს, და-
ვითის მმართველობისავე წაქეზებით), პერეთის დიდებუ-
ლებმა — არიშიანმა, ბარამმა და ქავთარ ბარამისძემ და ჩა-
აბარეს დავითს. კახეთის სამეფლად, კახეთის დიდებულები-
სავე თხოვნით, გაემართნენ ვანძის (ვანჯის) ათაბაგი და სულ-
თანის სხვა ქარები, რომლებთანაც დავითს მოუხდა დიდი
ომი ერწუხს. აქ გამოირკვა დავითის როგორც დიდი სამხედ-
რო ნიჭი, ისე აგრეთვე პირადი მამაცობაც. მეფე, შიშა რო-
გორც ჩვეულებრივ ხდება, ამბობს მემატთანე, ზურგიით უდგა
თავის ლაშქარს ანდა შორიდან უძახებდა (ბრძანებებს),
არამედ თვითონ პირველი მიდიოდა ქარის სათავეში, ლომი-
ვით მაღალი ხნით შესძახებდა და გოლიათსავეით მიემართე-
ბოდა მტრისაკენო („ქართლის ცხოვრება“, I, 329).

ვანძის ათაბაგისა და კახელ დიდაზნაურობის შეერთებუ-
ლი ქარი დამარცხდა, და ამან გადაწყვიტა კახ-პერეთის სამე-
ფოს ბედი მისი დაკავების მხრივ (1105 წ.).

არსენ ბერის მიერ დაწერილი მატთანე „ცხოვრება მე-
ფეთ მეფისა დავითისი“ მოგვითხრობს ჯერ კახ-პერეთის მე-
ფის კვირიკეს გარდაცვალებას 321 ქრონიკონს (1 სექტემბე-
რი 1101 წ. — 31 აგვისტო 1102 წ.) და მის შავივრად მისი
ძმისწულის გამეფებას. შემდეგ მას მოთხრობილი აქვს რუს-
ურბნისის საველესიო კრების ამბავი (1103 წ.). შემდეგ, ჩვე-
ნამდებ მოღწეული ტექსტი ამკარად არეულად გადმოგვცემს:
„რამეთუ ესე აღსართან კახთ მეფედ კსენებულ იყო, შეიპყ-

რეს პერთა დიდებულთა არიშიანშან და ბარამ და სხვ. მღვდელგ მოთხრობილია ერწუხის ომის ამბავიც, ხოლო მღვდელგ ლაპარაკია გელათის მონასტრის აშენების დაწყების შესახებ, რაც 1106 წ. მოხდა, რუის-ურბნისის კრებბაში კი დავითი მოხსენებულია, როგორც „ქართველთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვითმპყრობელი“.

ცხადი ხდება, რომ დავითის მატეიანის მოღწეული ტექსტი მოდის ერთი ისეთი ხელნაწერიდან, რომელშიც, ამ ადგილას, ერთი ამოვარდნილი ფურცელი გადაუწერიათ მეორას მაგივრად და ტექსტი არეულა. ამიტომ მატეიანის ტექსტი აქ უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: თხრობა კახეთ-პერეთის მეფის კვირიკეს სიკვდილის შესახებ; ამას უშუალოდ უნდა მიყვებს თხრობა კახთა მეფის აღსართანის შეპყრობისა და ერწუხის ომის შესახებ. შემდეგ მიჰყვება თხრობა რუის-ურბნისის კრებბის შესახებ, რასაც უნდა მიჰყვებოდეს ცნობა გელათის მონასტრის აშენების შესახებ.

კახეთ-პერეთის შემოერთებით საქართველოს სამეფო თვალსაჩინოდ გაძლიერდა. პერეთის აღმოსავლეთი საზღვარი VIII—XI ს-ბში აღწევდა საკმაოდ შორს, შამახის მიმართულებით, ვიდრე მდ. თეთრწყლამდის, ისე რომ კახეთ-პერეთი ერთად მოიცავდნენ საკმაოდ დიდ ტერიტორიას.

ამ თეთრი წყლის მდებარეობა ირკვევა შემდეგნაირად. მონღოლთა ბატონობის დროინდელი მემატეიანე (ყამთა აღმწერელი) გადმოგვცემს, რომ ილხანი ულო (პულაგუ) ყაენი (1256—1265 წწ.) ოქროს ურდოს ყაენის ბერქას (1256—1266 წწ.) წინააღმდეგ ლაშქრით წარვიდა ქვეყნად შირვან-შასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდებდნენ ჩაღან-უსენი, ესე იგი არს თეთრი წყალი“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 251).

ველია ჩელები 1647 წ. ერეწიდან, განჯაზე გავლით, ბაქოსკენ მიმავალში გაიარა ძველი ნუხბატისა და შაქის მხარეები (შაქის სახელი ამაზე წინ ქალაქ ნუხას ჰქონდა შერქმეული) შემდეგნაირად: მან განელო მდ. მტყვარი და მივიდა ქალაქ არეშში, შემდეგ მივიდა შექის (შაქის), ე. ი. ნუხის ციხე-ქალაქს. შაქის ციხეს ჰქონდა ორი კარი — განჯისა და შირვანის. ციხე საქართველოში მდებარეობსო. ციხის აღმო-

საეღვთიოთ ევლია ჩელებიმ გაელო მდ. კანოტ, რომელიც
ერთვოდა მდ. ზანგს (ახლანდელ აგრისს, თურქულად ავი-
ჩაის). შემდეგ მან გაიარა მდ. კაბორზე მდებარე ხიდი და ამის
შემდეგ მივიდა მდ. აკუსთან, ე. ი. თურქულად თურქმენი
თან. ირანელები ამ მდინარეს უწოდებენ გილან-ჩაისო.

მდ. კაბორი არის ახლანდელი ავიგან, ხოლო აკუს (იგივე
გილანე) არის ახლანდელი ტურიანი. ევლია ჩელები იხსენი-
ებს გილანების ცალკე ტომს. აქედან ევლია მივიდა ქალაქ
ნაიზ-აბადში, ხოლო შემდეგ სოფელ ტილ-ჩაიში, რომლის
მდინარეს ვიოკ-სუ ერქვაო. ქალაქი ვიოკ-ჩაი (ჩაი და სუ
წყალს, მდინარეს ნიშნავს) ახლაც არის იმავე სახელწოდების
მდინარეზე, ტურიან-ჩაის ახლოს, აღმოსავლეთით და შამა-
ხიდან დასავლეთით 75 კილომეტრზე.

აქედან, ცხადია, რომ საქართველოს საზღვარი დაეით
აღმაშენებლის დროიდან და შემდეგში — XII—XV ს. — შირ-
ვანის მიმართულებით გადიოდა მდ. თეთრ წყალზე, რომე-
ლიც იწოდებოდა სპარსულად გილანად, ხოლო თურქულად
აკ-სუდ და მონღოლურად ჩილან-უსუნად. სახელები აკ-სუ და
ჩილან-უსუნ დასახელებულ ენებზე ნიშნავს აგრეთვე თეთრ
წყალს.

თეთრი წყლის მონღოლური სახელის — ჩილან-უსუნის
მოხსენიება ეამთაღმწერლის მიერ ამტკიცებს, რომ ულუ-
ყენის დროს საქართველო — შირვანის საზღვარზე უკვე მო-
თავსებული იყო მონღოლთა საოკუპაციო ულუსი; ცალკე
ტომის სახით. ეს მტკიცდება იმითაც, რომ აქედან ოთხი სა-
უკუნის შემდეგაც ევლია ჩელები იხსენიებს მდ. გილან-ჩაიზე
(ე. ი. თეთრ წყალზე) თურქმანებით და ოგიუზებით (ესენიც
თურქ-თურქმანები იყვნენ) დასახლებულ სოფელს და აგრეთ-
ვე ჩამორჩენილი და უცნაური ჩევეების მქონე იტტილებს,
რომელნიც არ ჰგავდნენ მეზობელ ტომებს და თითქოს მონ-
ღოლებიდან წარმოშობილად იგულისხმებოდნენ. ევლია
ამავე მხარეში (კავკასიონის მთებისავე) იხსენიებს სხვა
ადგილობრივ ტომებთან შედარებით უცნაურ და ტლანქი გა-
რეგნობის მქონე ყაიტაკებს, რომელთაც მონღოლური წარმო-
შობისად თვლიდა.

საქართველოში გადმოსულ ყივჩაღთა მეტი ნაწილი დაეი-

თის დროს და მის შემდეგაც, როგორც ეტყობა, განლაგებული იქნენ პერეთის საერისთავოს აღმოსავლეთ ნაწილში რამაც გამოიწვია ამ მხარის თანდათან გათურქება.

ეროვნული

12. სავაზირო და მწიგნობართუხუცესის მწიგნობართუხუცესი

ჩუკების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ფეოდალური მაღალი საზოგადოებისა და ხალხის ფართო მასების ძალების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სახელმწიფოს სჭირდებოდა ეკლესიის ავტორიტეტის აწევა. ამით აიხსნება, რომ დავითმა მწიგნობართუხუცესად დანიშნა თავისი აღმზრდელი ბერი გიორგი. გადმოცემით კი დავითი იზრდებოდა რუისში აზნაურ მამაცაშვილის სახლში. ამიტომ შესაძლებელია, რომ გიორგი მამაცაშვილი ყოფილიყო. მემბტიანე არსენ ბერის სიტყვით, ეს გიორგი იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და კორცთასა, საესე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი (ე. ი. მრჩეველი), სვიანი (ე. ი. კარგი ბედის მქონე) და ფრთხილი. თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა (ე. ი. დავით აღმაშენებლისა) და თანაგანაკაფული ყოველთა ვზათა საქმეთა და ღუაწლთა მისთა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 336).

მწიგნობართუხუცესად მანამდის (მაგალითად, გიორგი II-ის დროს) იყვნენ ერისკაცები. მწიგნობართუხუცესის თანამდებობა კვლავ წამყვანი მნიშვნელობისა იყო. მაგრამ მისი ახალი თავისებურება გამოიხატებოდა იმაში, რომ გიორგი, როგორც სასულიერო პირი, ვალდებული იყო თავისი მდგომარეობა გამოეყენებინა ეკლესიის ძალისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამასთან ერთად, ამით მეფის ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლეოდა ჩართულიყო ეკლესიის საქმეებში. ასეთივე ვითარება იყო საქართველოს ცხოვრებაში უფრო გვიანაც, რაც ჩანს შემდეგიდან.

თამარ მეფე თავისი გამეფების პირველსავე წელს იწვევს საეკლესიო კრებას, რომელსაც მიმართავს ასეთი სიტყვებით: „წმინდანო მამანო, თქვენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართველად წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყვს მიცემა სულთათჳს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განკადეთ გუ-

ლარძინლი (ე. ი. შვაკეარი). იწყეთ ჩემ ზედა... თქვენ სიტყუე, ხოლო მე საქმით; თქვენ სწავლით, ხოლო მე განსაჯებთ. თქვენ წერთით, ხოლო მე განწერთით, ზოგად კელი მიესალმეთ. დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათაჲ არა მხოლოდ ვიზღვენეთ: თქვენ ვითარცა მღდენი, ხოლო მე ვითარცა მღდენი (ე. ი. ღარაჯი)“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 118).

მწიგნობართუხუცესის მოვალეობას შეადგენდა მწიგნობრების შემვეობით ცალკე უწყებათა განმგებლობაზე თვალყურის დაჭერა და, გარდა ამისა, სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა. ის, როგორც ბერი, ბრძოლებში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა. მაგრამ მას ეკითხებოდა სამხედრო საქმის „მართებანი და განსაგებლნი“. ფაქტიურად ის იყო, ახლანდელი ტერმინოლოგიით, სამხედრო შტაბის უფროსი, როგორც მწიგნობარობის, ისე ომის დროს. მაგალითად, ლიპარიტის მთავარ ციხეს, კლდე კარს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იცაედა მისი მწიგნობართუხუცესი ანომარი. ასევე, დავით აღმაშენებლის დროს — ახალი მწიგნობართუხუცესი გიორგი, თუმცა ის ჭყონდიდელი მთავარებისკომოსი იყო, ხშირად ხელმძღვანელობდა სამხედრო საქმეებს და ციხეების აღებას, ასე, მისი ხელმძღვანელობით 1110 წელს ქართველებმა აიღეს სამშვილდის ციხე და სხვ.

დიმიტრი I-ის დროს იოანე მწიგნობართუხუცესი მიდიასა და ეკატანაზე ლაშქრობის დროს მეფესთან ერთად იხსენიება, როგორც მისი უახლოესი მრჩეველი და არსებითად ლაშქრობის ფაქტიური ხელმძღვანელიც.

ასეთივე მდგომარეობა არის გიორგი III-ის დროსაც. ხსენებული მწიგნობართუხუცესი-იოანე, თან ახლავს გიორგი III-ს ქალაქ ანისის შესანარჩუნებლად წარმოებული ომის დროს და იძლევა სამხედრო რჩევებს.

როგორც შემატიანე გადმოგვცემს, მწიგნობართუხუცეს ანტონის აღდგენის შესახებ, რომ თამარი, გიორგი რუსის სასარგებლოდ მოწყობილი დიდი აქანყების შემდეგ, „იგონებდა, თუ ვის მიანდოს დავით (თავისი ქმარი) და სპა თვისი, და განსაგებელი სახლისა თვისისა... და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თვისისა მთავართა და განიცადა თუალითა გონე-

ბისათა... მოიყუანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით... დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, ულის... და მწიგნობართ-უხუცესობა“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 122 — 123).

მხოლოდ ათაბაგობის შემოღებით, 1212 წელს, მწიგნობართ-უხუცესმა თითქოს დაკარგა თავისი ფუნქციები სამხედრო საქმეში.

ფეოდალურ ხანაში ეპისკოპოსები აქტიურ მონაწილეობას ლებულობდნენ ომებში. დასავლეთ ვეროპის მიმართ ეს ცნობილია, დაწყებული კარლოს დიდის დროიდან. ბრძოლა 955 წელს ქალაქ აუგსბურგთან ითვლება გერმანელების პირველ ნაციონალურ ბრძოლად გარეშე მტრის, ამ შემთხვევაში უნგრელების, წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს ეპისკოპოსი ულრიხი ამხნევებდა თავის მებრძოლთ ქადაგებით დავითის ფსალმუნის თემაზე და ქალაქის გალავნიდან რაზმის ერთ-ერთი გამოსტომის დროს მიჰყვებოდა შეომრებს საეპისკოპოსო შესამოსელში, უჩაფხუტოდ და უჯავშნოდ.

1214 წელს მოხდა დიდი ბრძოლა საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სა და გერმანიის იმპერატორ ოტტონ IV-ს შორის (გერმანელების ჯარში იყვნენ ინგლისელებიც). ორივე მხრიდან ომობდა 150 — 210 ათას კაცამდე (რაინდები, მსუბუქი ცხენოსანი და ქვეითი ჯარი). ფილიპე II-ის შტაბის უფროსი იყო ეპისკოპოსი გარენი. მან შეიმუშავა ფრანგების ჯარის დისპოზიცია და ხელმძღვანელობდა ამ ჯარს ბრძოლის დროს, თუმცა ფილიპე II თვითონაც იმყოფებოდა ბრძოლის ველზე. ფრანგების მხრივ დიდ აქტიურობას იჩენდა ეპისკოპოსი ბოვე, თავისი მილიციით. ეს ეპისკოპოსი შეიარაღებული იყო ლახტით, რათა, კანონიკური წესდების მიხედვით, ადამიანის სისხლი ხმლით არ დაეღვარა. მან შეუტია ინგლისელების რაზმს, რომელთაც აყენებდა საშინელ დარტყმებს ლახტით — მარჯვნივ და მარცხნივ. ვერაინ შეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. თავისი დარტყმით მან მოკლა ინგლისელი რაინდების მემშვილდებისა და ცხენოსნების უფროსი — სალისბერი და ტყვედ შეიპყრო ვრაფი ბულონი. ფრანგებმა გაიმარჯვეს, მაგრამ დაკარგეს თავისი ლაშქრის 25 — 28%, ანუ

15 ათასი კაცი, მათ შორის ათასი რაინდი. მათი მოწინააღმდეგის ზარალი იყო 25 — 35% ანუ 35 ათასი კაცი

1262 წ. ქალაქ სტრასბურგის რაინდები და მოქალაქენი, მაშინდელ გერმანიაში თავს იცავდნენ ეპისკოპოსის ბისაგან. ეპისკოპოსი, რომელიც თვითონაც წარმოადგენდა რაინდებისაგან იყო, როგორც „ვეთილმორწმუნე რაინდი“ მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლაში. მას მოუკლეს ჯერ ერთი ცხენი, გადააჭდა მეორე ცხენზე. ესეც მოუკლეს, და მაშინ უკვე საბოლოოდ დამარცხებულმა ეპისკოპოსმა ძლივს გადაირჩინა თავი მესამე ცხენზე².

სახელდერო პირთა, სახელდობრ ეპისკოპოსების, მონაწილეობა სამხედრო საქმიანობაში საქართველოში დადასტურებულია XI ს. ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში ბიზანტიელების მიერ საქართველოზე მოწყობილი ლაშქრობის დროს, სუმბატის სიტყვით, „აღაშენა სიმაგრე საბა მტბვეარ ეპისკოპოსმან მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელსდგა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი (ე. ი. ჯარი) თუსი და შევიდეს მას შინა თუთ საბა მტბვეარ ეპისკოპოსი და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის ახნაურნი. და განძლიერდა მას შინა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 386). საბა მტბვეარმა გაუძლო ბიზანტიელების იერიშებს და გადაარჩინა შავშეთი ბერძნების მიერ დაპყრობისაგან. ამის შედეგად ტბეთის ეპისკოპოსი გახდა შავშეთის ერისთავად.

ხელმწიფის კარის გარიგებაში ვკითხულობთ: „მტბვეარსა ზედა (სამეფო) დარბაზს, მისსა საჯდომსა უკანით მისსა მონარეთ-უხუცესსა ფარი და ვმალი აქუს უკანით, ამად რომე ერისთავიკ არის შავშეთისა“³. ბუნებრივია, რომ როგორც

¹ Махливиц, История военного искусства, СПб., 1896, стр. 127—131.

² Г. Дельбрюк, История военного искусства, III, стр. 264.

³ იხ. ქართულ სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პრაფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 91.

ჩემი აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგება“ ძირითადად შედგენილია დავით აღმაშენებლის დროს, 1106—1109 წლების ახლოს, და, არსებობდა, ამ დროის ვითარებას ასახავს. ამ განაწესის ჩვენამდე მოღწეული

შავშეთის ერისთავი, ტბეთის ეპისკოპოსი შავშეთის მხედრობა-ქარსაც წინამძღოლობდა.

კახეთში XVI — XVIII ს. პირველ ნახევარში სამხედრო სადროშოების სათავეში, მეფის სადროშოს გარდა, რუსეთის სადროშოები იყვნენ (ბოდბის, რუსთავის და ნეკრესის), მაგრამ ასეთი ვითარება მოდის უფრო ძველი დროიდან. ეს ჩანს შემდეგიდან. ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოსი კახეთისა პატრიარქატის წმიდის ნინოსი“. მაგრამ, ამისთანავე, ნათქვამი აქვს, რომ ალავერდს 1466 წელს „ყვეს ეპისკოპოსი... და უპირველეს კახთა ეპისკოპოსად“. მართლაც, 1466 წლიდან, ვიდრე XIX ს-ნის დასაწყისამდე, ალავერდელი ითვლებოდა კახეთის პირველ ეპისკოპოსად, თუმცა სადროშო მას არ ჰქონდა. ბოდბელის პირველობა და მისთვის სადროშოს მიკუთვნება უნდა მიეწეროს 1466 წელზე ადრინდელ დროს, XIII — XV ს. მაინც, თუ არ უფრო ადრინდელ ხანას. უფრო სწორი იქნება, თუ ორგანიზაციულად კახეთის ეპისკოპოსების სამხედრო საქმეში ფაქტიურ სპასპეტებად ჩაბმას მივაწერთ დავით აღმაშენებლის დროს მაინც, თუ, მტბვეარი ეპისკოპოსის მსგავსად, უფრო ადრეულ ხანას არა.

ეპისკოპოსები მონაწილეობას ლეგულობდნენ ჯიქების წინააღმდეგ ომში, რომელიც ოდიშისა და გურიის მთავრებმა წამოიწყეს 1533 წელს.

ცნობილია, რომ ქართლის მეფის ლუარსაბის მიერ 1557 წელს სპარსელების წინააღმდეგ ომში, რომელშიც დაიღუპა თვით ლუარსაბი, ქართველი ეპისკოპოსები იბრძოდნენ ლაბტებით.

ბანძის ომში, 1658 წელს, იმერლების ქარიდან აზნაურმა მოსელიანმა ტყვედ შეიპყრო ოდიშარ-გურუღთა ქარში შემოსილად მყოფი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ილარიონი.

ტიმბტი ვადაცოებულთა და ახლად რედაქტირებულთა საქართველოს მეფე ვახტანგ დავით ნარინის ძის დროს 1280—1292 წლებს შუა, უფრო 1290 წლის ახლოს.

მიღებული აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგება“ შედგენილია XIV ს-ნის პირველ ნახევარში, ვიორგი ბრწყინვალის დროს.

კახეთის ეპისკოპოსები, თავიანთი რაზმებით, მონაწილეობას ღებულობდნენ ლაშქრობებში, ვიდრე 1754 წლამდის, როდესაც შემდეგ კიდევ ცოტაბანს, მაგრამ უკვე იშვიათად (ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა).

ხელმწიფის კარის გარიგებაში (§ 9) ვკითხულობთ: „ლათისაგან კიდევ საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და, რაც საეკლესიონი დასნი არიან, — ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საგელოსა“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 82). ეპისკოპოსნი, მონასტრები და ეკლესიები ხომ კათალიკოსს ემორჩილებოდნენ. ჭყონდიდელის მიმართ რა მორჩილება უნდა იგულისხმებოდეს აქ? ხსენებული გამოთქმა უნდა გულისხმობდეს, რომ განათლების საქმის მხრივ საეპისკოპოსო საყდრები და მონასტრები ჭყონდიდლის ხელქვეით იმყოფებოდნენ. გელათის საყდარი ცალკეა გამოყოფილი, რადგანაც ის უშუალოდ მოძღვართ-მოძღვარს ემორჩილებოდა. მოძღვართ-მოძღვარი იყო გელათის მონასტერში, ვიდრე იმერეთის მეფის ბაგრატ III-მდის (1510 — 1565 წწ.), რომლის დროს მოძღვართ-მოძღვრის მაგივრად გელათში დასმულ იქნა ეპისკოპოსი.

ამგვარად, მწიგნობართუხუცესის ხელთ იყო საეკლესიო განათლების მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა თითქმის მთელ საქართველოში. მხოლოდ მოძღვართ-მოძღვარი არ ემორჩილებოდა მას.

18. რაინდობა დასავლეთ ევროპაში. X ს-ის დასაწყისში გერმანიის მეფე ჰენრიხ I-მა, ზედმეტ სახელად ფრინველების დამპყრმა (919 — 936 წწ.), მოახდინა სამხედრო საქმის რეორგანიზაცია მანამდის ყოველი ჰერცოგი და გრაფი, თავთავის ვასალებით, ბრძოლის ველზე გამოდიოდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, რაიმე საერთო სამოქმედო მიზნის გარეშე. სამხედრო დისციპლინის გაგება არ არსებობდა. ამის ნაცვლად ჰენრიხ I-ის დროს დაწესდა სამხედრო თემის ან ძმობისდაგვარი ორგანიზაცია, რომლის წევრები ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ გარკვეულ კანონებს, ეომათ სარწმუნოებისათვის, განრიდებოდ-

ნენ უპატიოსნო ქცევას და მთელი თავისი სიცოცხლე შეეწე-
რათ ღირსებისა და სიმართლის მიზნებისათვის. ყოველ შემთხვევაში
თავისუფალს დაბადებით, შეეძლო ყოფილიყო ამ ქვეყნის
წევრი და თავისი საქმიანობით დაწინაურებულიყო, რეწუდნი
ასეთი ორგანიზაციის წყალობით შესაძლებელი შეიქნა *ფრანკმაკონი*
დაღურე, არისტოკრატიული წარმოშობის მიმხედ შეიარაღე-
ბული მეომრებისა და მათ ხელქვეით პირთა გარკვეული კონ-
ტროლის ქვეშ დაყენება და მათ შორის ურთიერთსაბრძოლო
კავშირისა და დისციპლინის დამყარება.

არისტოკრატიული მეომრებისა და მათ მიმყოფთა შესა-
კავშირებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავარჯიშო ტურ-
ნირების შემოღებას, რასაც პირადად ჰენრიხ I-ის ინიციატი-
ვას მიაწერენ. ტურნირებზე ხდებოდა მიმხედ შეიარაღებული
რაინდების, როგორც ცალკეულ პირთა, ისე ჯგუფების, საჯა-
რო შებრძოლება, რჩეული საზოგადოების დასწრებით, ქა-
ლების ჩათვლით. ქალების დასწრება განსაკუთრებით ძლი-
ერებდა მეომრების პატივმოყვარეობის გრძნობას.

სამხედრო საქმეში ჩატარებულ ღონისძიებათა წყალობით,
რამაც ასწია მიმხედ შეიარაღებული მეომრების პასუხისმგებ-
ლობა ომის საქმეში, ჰენრიხ I-მა შეძლო გერმანიისათვის და-
მოუქიდებლობის მოპოვება. ჰენრიხ I-ის შემდეგ, X ს-ის
შუა ხანებში ჩამოყალიბდა რაინდობის წოდება, რასაც უდი-
დესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ისტორიისათვის ფეოდა-
ლიზმის ხანაში.

„რაინდების მთავარ ძირითად პრინციპებს, წერდა ამერი-
კელი მეცნიერი დენისონი, შეადგენდა: მაღალი პატიოსნება,
ზრდილობა ყველას მიმართ, შეურაცხყოფილთათვის თავგა-
მოდება და სრული სამართლიანობისადმი მისწრაფება. თუ ამ
მოთხოვნათა წარმოშობას მივიჩნევთ რაინდობის დასაწყისად,
მაშინ ის უნდა მიეკუთვნოს X ს. შუა პერიოდს. ამ საკითხის
ერთ-ერთ საუკეთესო ავტორიტეტს წარმოადგენს La Curne
de Ste Palaye. ამის ერთ-ერთი გვიანდელი გამოცემის Mé-
moires sur l'Ancienne Chevalerie-ს წინასიტყვაობაში რაინ-
დობის წარმოშობის შესახებ ნათქვამია: „X ს. რამდენიმე ლა-
რიბმა აზნაურმა, რომელნიც შეწუხებულნი იყვნენ სიუზერე-
ნების ძლიერების სულ უფრო მეტი ზრდით, გულთან მიიღო
შევიწროების განმცდელი ხალხის ტანჯვა და ცრემლები. მათ

ლეთის და წმ. გიორგის სახელით ფიცი დასდეს, რომ ყოველი
თვის დაიკავდნენ ჩაგრულთ და თავისი ხმლის საფარველ
ქვეშ აიყვანდნენ ყველა სუსტებს. ისინი იკავდნენ უბრალო
ემას ტანისამოსის მხრივ. ზნეობაში იყვნენ მკაცრნი და მართლ
ვის დროს თავმდაბალნი, იყვნენ სულით მტკიცენი უბედუ
რების დროს და ყველაფერი ამით მათ მალე დაიმსახურეს
არაჩვეულებრივი სახელი. ხალხის მადლიერებამ მიაწერა მათ
სასწაულიანი საქმეები და არაჩვეულებრივი მამაცობის გმი
რობანი, ხოლო ლოცვებში მათ იხსენიებდნენ წმინდანების
სახელებთან ერთად¹.

ციტირებულ ცნობაში მოხსენებულია, რომ X ს-ნის სა
რაინდო ორგანიზაციაში მთავარ წმინდანად მიღებული იყო
წმ. გიორგი. დასავლეთ ევროპაში რაინდად დალოცვა ჩვე
ულებრივ ხდებოდა ღეთის, წმ. მიქელ მთავარ ანგელოზის და
წმ. გიორგის სახელით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკ
ლესიაში ძლიერ მიღებული იყო მიქელ და გაბრიელ მთავარ
ანგელოზთა და წმ. გიორგის კულტი. განსაკუთრებით ეს უკა
ნასკნელი. შემთხვევითი არაა, მაშასადამე, რომ დავით აღმა
შენებელს ჰქონდა წმ. გიორგის გამოსახულების დროშა და
ეს დროშა უძღვებოდა წინ რაინდების წყობას დიდგორის
ომში (არსენის ცნობა, „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 341).

14. ფრანგი რაინდები ჯვაროსანთა პირველ ხანაში.

გოტიეს სიტყვით, დავითს ჰყავდა დიდგორის ომში ducentos
milites Fzancigenas — ორასი ფრანგი რაინდი (miles ამ
დროს უფრო რაინდს ეწოდებოდა). დავითს ამ ხანაში უფრო
ფრანგებთან ჰქონდა საქმე. ზ. ავალიშვილის მიერ დამოწმე
ბული ლიტერატურისა და წყაროებიდან ჩანს (ზ. ავალიშვი
ლი, ჯვაროსანთა დროიდან. პარიზი 1929, გვ. 70), რომ დავით
აღმაშენებელი ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა იერუსალიმის
ჯვაროსანთა მეორე მეფეს — ფრანგ ბოლდუენ II-ს (ერუ
სალიმის პირველი ქრისტიანი მეფე იყო ფრანგი ბოლდუენ I,
1100 — 1118 წწ., ხოლო ამის შემდეგ იყო მისი ბიძაშვილი
ბოლდუენ II, 1118 — 1131 წწ.). გამოდის, რომ დიდგორის

¹ Демисов. История конницы. СПб., 1897, I, стр. 112.

ომის წინ, 1118 — 1119 წლებში, დაეთოს განსაკუთრებით ხშირი ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის სამეფოსთან, რომელმაც დაახმარა კიდევ მას ორასი რაინდი. მგერქვეცდღე ურთიერთობა იერუსალიმის ქრისტიანულ სამეფოსთან ვითოს თავიდანვე ექნებოდა, ე. ი. ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის 1099 წელს აღების დროიდან, რის მაჩვენებელია ამ სამეფოს არსებობის პირველ წლებშივე მიზგითად გადაქცეული ქართული მონასტრის (ჯვარის მონასტრის) დაეთოს მიერ კვლავ აღდგენა და განახლება.

რადგანაც ჯვაროსან ფრანგებთან საქართველოს სამეფოს დაეთოს დროს ჰქონდა საკმაოდ ახლო ურთიერთობა, ამიტომ საქიროა მოკლედ გავეცნოთ თუ რა წესზე იყო აგებული ჯვაროსანთა ფრანგული ლაშქარი.

ჯვაროსანთა ბრძოლების აღწერისას, გოტიე ვადმოგვცემს ატარიბთან 1119 წელს მომხდარი ომის შესახებ, რომ „წმინდა პეტრეს სოლი (acies) გამოდიოდა ყველაზე წინ მარჯვნივ. ეს იყო სოლი (acies), რომელსაც მიკუთვნებული ჰქონდა უფლება ყველაზე წინ მიმავლებულიყო და პირველი თავს დასხმოდა მტერს“. მათ მიყვებოდა უკან ვოტფრიდის და გვიდოს სოლები (acies), მაგრამ ისინი არ ეხმარებოდნენ პირველი სოლის შეტევებს, არამედ დარწმუნდნენ რა მის წარმატებაში, უტევენ სხვა მოწინააღმდეგეთ, და იმარჯვებენ მათზე. გერმანელი მკვლევარები ჰეერმანი, კელერი და დულბრიუკი ფიქრობდნენ, რომ ხსენებული სამი რაზმი-სოლი ერთი მეორის უკან ეშელონებოდ იყვნენ განლაგებულნი.

ამ აზრის სისწორე დასტურდება იმით, რომ ჯვაროსანთა რაინდების ერთ-ერთი მძლავრი, სახელდობრ ტამპლიერების (ტაძროსანთა ანუ ტაძრეულთა) ორდენის (დაარსდა 1119 წელს) სტატუტის 161-ე მუხლით, ტამპლიერები ეწყობოდნენ ეშელონებად en echielle, ე. ი., რადგანაც ეს სიტყვა არსებითად კიბეს ნიშნავს, მაშასადამე, კიბის მსგავსად, სოლისებურად. ამ ორდენის რაინდს ჰყავდა ორი მეაბჭრე, რომელთაგან ერთი ყოველთვის უნდა ყოფილიყო რაინდის ახლოს, მეორე კი დადიოდა სურსათის და ფურაჯის მოსაპოვებლად (§ 149). ლაშქრობის დროს მეაბჭრენი საჭურველით მიდიან რაინდის

წინ, ხოლო ვისაც ცხენები მიჰყავს (ყოველ რაინდს ჰყავდა თან 3 — 4 ცხენი), ის უკან მიყვება (§ 162)¹.

ჯვაროსანთა ომების დაწყებისას ფრანგების ჯარის მთლიანად ბირთვის შეადგენდნენ მძიმედ (ჯავშნიანი, თავნახველი ბამდე) შეიარაღებული რაინდები. ასეთ მძიმედ შეიარაღებულ რაინდს ესაჭიროებოდა დამხმარე პირები, რომელნიც ბრძოლის დროს ასევე შეჯავშნულ საომარ ცხენზე სხდებოდნენ, რადგანაც ჯავშან-საჭურველის სიმძიმის გამო რაინდი ცხენზე თვითონ ვერ შეჭდებოდა, ის უნდა შეესვათ ცხენზე და მიეცათ მისთვის ხელში შუბი, რომელიც მისი მთავარი საბრძოლო იარაღი იყო. წელზე მას ერტყა ფართო და ორპირღესული მძიმე ხმალი, ჰქონდა მძიმე ლახტიც, ხოლო შეილდისარი მისთვის საჭირო არ იყო, რადგან მას, სულერთია, ვერ მოიხმარდა.

რაინდს თან ჰყავდა ორი კარგად და მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი შეაბჯრე (ჟანდარმები, gens d'armes, hommes d'armes, ე. ი. იარაღის მქონე კაცი), რომელნიც მას იცავდნენ ორივე მხრიდან. ჟანდარმები კარგი ჯავშნით იყვნენ აღჭურვილნი და ისხდნენ კარგ, მაგრამ არა შეჯავშნულ ცხენზე. შეიარაღებულნი იყვნენ ისინი შუბით, ორპირღესული მძიმე მახვილითა და ლახტით. ჟანდარმებს მიყვებოდნენ ეგრეთ მოდებული ტრაბანტები ანუ სატელლიტები (traban, პირადი მცველი), რომელნიც წარმოადგენდნენ მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსნებს. ისინი იწყებდნენ და ამთავრებდნენ კიდევ ბრძოლას. ტრაბანტები იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის პირნი:

1) მემშვილდეები, რომელთაც შეეძლოთ დაწინაურება ჟანდარმად და თვით რაინდებდაც; 2) écuyers — მეჭინიბენი, იგულისხმებიან უფროსი მეჭინიბეები; 3) guisarmiers — ჩვეულებრივი მეომრები; 4) coutilliers — მეხანჯლეები, უმთავრესად ხანჯლებით შეიარაღებულნი; 5) pages, valets — პირადი მოსამსახურენი; ეს უკანასკნელნი იყვნენ ქვეითები, მაგრამ ასე თუ ისე მაინც შეიარაღებულნი. მეაბჯრენი და მემშვილდეები ოცნებობდნენ გამხდარიყვნენ რაინდები, სხვე-

¹ Дельбрюк, *დასახ. ნაშრ.*, 111, გვ. 200, 205, 207, 213.

ბი კიდევ ცდილობდნენ მიეღწიათ თუნდაც მემშვილდეკთა მღვდლობარობამდის.



სრულად შეიარაღებული რაინდი, თავისი მეაბჯრე-სახურებით, შეადგენდა ერთ სრულ შუბს (lance formé) ერთეულში (შუბში) იყო 3 — 14 მხედარი, ქვეშევრდები ხურეების გარდა. ბრძოლის დროს რაინდი იბრძოდა პირველ რიგში, მეაბჯრე-ყანდარშები მას იცავდნენ გვერდებიდან, ხოლო სხვა ცხენოსანი მსახურნი შეადგენდნენ მსუბუქ რაზმს ბრძოლის გახსნისათვის და მის დასამთავრებლად. მკაცრე შეძლების „დაბალ“ რაინდს pas chevalier ანდა bachelier-ს თან ახლდა სულ ცოტა სამი ცხენოსანი. დაბალი რაინდები, რომელთაც ქჷონდათ დროშისდაგვარად სამკუთხიანი ნიშანი, უფროსობდნენ რამდენიმე შუბს. სრულყოფილ, ეგრეთ წოდებულ დროშიან რაინდებს ეწოდებოდათ ბანნერეტები banneret — „დროშიანი“ bannière — „დროშა“) მათ ქჷონდათ ოთხკუთხიანი ნიშანი დროშაზე. ისინი უფროსობდნენ 25 — 50 „შუბს“ 150 — 160 ცხენოსანის შემადგენლობით.

15. ჯვაროსან რაინდების წუობის წესი. როგორც უემოთ აღნიშნული იყო, ფრანგ ჯვაროსნებს შორის (და, მასაღამე, სხვა ჯვაროსნებს შორისაც) იმ ხანაში გავრცელებული იყო ბრძოლისათვის რაინდების დაწყობა სოლებად. ნ. მიხნევიჩი წერდა: В крестовых походах окончательно выработался тип средневекового рыцаря-воина с его понятиями, вооружением, снаряжением и образом действия в бою. Тяжелое предохранительное вооружение покрывало как рыцаря, так и главные части его лошади. Наступательным оружием служили длинное копьё, и тяжёлый обоюдоострый меч. Метательное оружие рыцари не употребляли, так как поражать противника издали считалось трусостью. Атака производилась в карьер — на коротко.

«В бою рыцари в первое время строились в несколько масс клином, располагая их обмкнновенно в три линии для последовательного повторения удара. Случаи же употребления третьей линии в виде резерва, для охвата или для фланговой атаки были очень редки

(ე. ი. მესამე ხაზის სოლებსაც, ჩვეულებრივ, ხმარობდნენ ბრძოლისათვის და არა გვერდიდან დასაცვრელად).



«С дальнейшим развитием рыцарских понятий пространилось построение «en hage» (ფრანგულუკრძაველი ნიშნავს ღობეს და ადამიანების, მეომრების ორმხრივად მოწყობას) где все рыцари располагались в одной разомкнутой шеренге, имея позади себя оруженосцев и конных слуг во второй и третьей шеренгах, причем бой обращался в ряд единоборства между рыцарями. Построение для боя совершалось по указанию маршала, но управления боем не было совсем. Преследование после победы производилось редко.

«Лагерем становились в шатрах без особых правил: большей частью каждый ленный владетель располагался вместе со своими вассалами; иногда лагерь окружали плетнем или рогатками. Правильного продовольствия армий не было»¹.

16. ქართული ფეოდალური ლაშქარი. თუ როგორ იყო ქართული ფეოდალური ჯარი მოწყობილი, ეს ჩანს შემდეგი ფაქტებიდან.

სტეფანოს ორბელიანი აგვიწერს, თუ როგორ იყო შეიარაღებული ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი თურქ-სელჩუკების ჯარის პირისპირ (1048 წ.). ის იჭდა არაბულ ცხენზე, მხარს უკან მას გადაადგებული ჰქონდა ოქრო-შემკული ფარი, მარცხენა ხელში ეკავა მოკლე ხელშუბი, მარჯვენაში კი — ორღესული ფართო ხმალი, ხოლო უნაგირზე მიბმული ჰქონდა უზარმაზარი ლაბტი, რომელიც მკედლის უროს, ანდა ქვისმთლელის მოღუნულ ხუგლუვს მიაგავდა. ამ აღწერილობაში იგულისხმება, რომ ლიპარიტს ჯავშანიც ეცვა. მის ცხენს კი ჯავშნიანი საფარი თითქოს არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მოხსენებული არაა.

უკვე ვახტანგ გორგასალის დროისათვის ქუანშიური იხსენიებს თოროსანი ცხენების მეოღ ქართველ მოლაშქრეთ (ბერძნული „თორაქს“ ნიშნავს ჯავშანს; „ქართლის ცხოვრება,

¹ Михневич. История военного искусства, СПб., 1896, стр. 126—127.

I, გვ. 155). ამიტომ საომარი ცხენების ჯავშნით დაეკა XI ს-ნეში ქართველებისათვის საცხენოთ ცნობილი საშუალებით, მაგრამ შეიძლება ამ წესს ყოველთვის არ მისდევდნენ, რადგანაც ზოგ ომში, სადაც სწრაფი მანევრირება მოხერხებულა, თორღოსანი ცხენი დაბრკოლებასაც წარმოადგენდა.

იმავ სტეფანოს ორბელეანის სიტყვით, ხსენებული ლაშქრისათვის 1048 წელს ლიპარიტს მიჰყავდა 700 დიდაზნაური („დიდი-დიდი აზატები“), რომელნიც მის საკუთარ ყმებს შეადგენდნენ, და 16 ათასი მხედარი, სულ, მაშასადამე, 16700 კაცი. ვარდა ამისა, მეფეს მან გამოართვაო 10 ათასი კაცი სამეფო ლაშქრიდან. იქვე სტეფანოსი აღნიშნავს, რომ ლიპარიტს სამეფოს ნახევარი ემორჩილებოდაო. მაშასადამე, სამეფო ლაშქარს ამ დროს თითქოს შეადგენდენ $(700 \times 2 =)$ 1400 დიდ-აზნაური და 32 ათასი მხედარი.

მაგრამ იგივე სტეფანოსი აღნიშნავს, რომ ორბელეანის ბელქვეით ჰქონდათ 12 დროშა, თითო დროშის ქვეშ ათასი მეომრით. სულ მათ ჰყავდათ, მაშასადამე, 12 ათასი მეომარი და არა 16700 მხედარი, როგორც ეს სხვა ადგილას აღნიშნული აქვს სტეფანოსს. შესაძლებელია, ეს იყოს სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობა განსხვავებული დროის შესახებ. მართლაც, სტეფანოსი მოგვითხრობს თურქების მიერ სხვა ლიპარიტის მოკვლის შესახებ დავით მეფის დროს. ორბელთა გვარის შესახებ ის ამბობს, რომ მათ ემორჩილებოდათ 12 დროშის ჯარები, რასაც მისდევს თხრობა მანდატურთ-უხუცესის კვერთხის შესახებ, ხოლო შემდეგ მოთხრობილია, იმავე დავით გიორგის ძის დროს (1121 წლის თარიღით); რომ დიდმა მხედართ-მთავარმა ივანე ორბელმა აიღო ტფილისი და მთელი რიგი სხვა ციხეებით. ამიტომ ცნობა, რომ ამირსპასალარს საქართველოში ემორჩილებოდა 12 სადროშო, დავით აღმაშენებლის ხანას უნდა ახასიათებდეს.

1110 წელს დავითს უკვე ჰყავდა 1500 ტაძრული (იხ. § 12), რომლებითაც მან დაამარცხა დიდძალი შემოსული თურქობა. შემატანე ამბობს: „მას (1110) წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯვთა. ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგვეს (გორთან) ტაძრეულითა. ცნა რა მიმწუხრი მოსლვა მათი თარი-

აღეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასსა
თა, რამეთუ ესე ოდენნი დაუხდეს მას წინაშე. ცისკლის მო-
ვიდეს თურქნი და იქნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა, და
შეწეწინითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი. და მსტრანჯი
დღისასა მიდრკეს სიღტოლად ესეოდენ ზარგანდღილი და
მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურ-
ქელთა მიხედის ყოვლად, არამედ მისწრაფებასა პატრივისცეს
ფერკთა მათთა უფროს საქონლისა მათისა. და ესრეთ განიბ-
ნიენეს თვსთა ქვეყანათა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ.
332 — 333).

ეს იყო ასიათასიან თურქთა ჯარის მხოლოდ ნაწილი. ქარ-
თველები არ გამოკიდებიან გაქცეულთ, „რამეთუ ხვალისა
ომი ეგონა“ (იქვე, გვ. 333), ე. ი. მეორე დღეს ისევ მოელოდ-
ნენ ომს. მაგრამ ნუთუ შეიძლებოდა ასე ადვილად თუნდაც
10 და 15 ათასი თურქის დამარცხება ათასხუთასი კაცით. ეს
აიხსნება იმით, რომ ეს ათასხუთასი კაცი წარმოადგენდნენ
ტაძრეულთ, ე. ი. მოყმეებს თავიანთი კაცებითურთ. ნამდვი-
ლი მძიმედ შეიარაღებული მოყმე (წარჩინებული თუ მცირე
რაინდი) იქნებოდა დაახლოებით სამასი კაცი. იმ ღამეს ეს
რაზმი, თავიანთი შეაბჯრე-მსახურებით, ჯავშნითა და სხვ. გა-
დასროლილ იქნა საჩქაროდ „სატალახე ცხენებით“. მეორე
დღეს კი ტაძრეული მოყმენი თავიანთ დასვენებულ ცხენებ-
ზე, შეაბჯრეებისა და სხვა მსახურების მზარის დაჭერით, შე-
ეზნენ თურქებს, რომელთა შორის ბევრი ყოფილა ფეხოსანიც
(გაქცევებისას მათ „პატივ სცეს ფერკთა მათთა უფროს საქონ-
ლისა მათისა“). რასაკვირველია, სამას მძიმედ შეიარაღებულ
მოყმეს თავიანთი შეაბჯრე-მსახურების მზარის დაჭერით შე-
ეძლო მოწინააღმდეგის 10 და 15 ათასი კაცი დაემარცხებინა,
თუ ესენი ნაწილობრივ ფეხოსნები იყვნენ და ნაწილი მხო-
ლოდ მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები.

ამით დასტურდება, რომ დავიტოვოთ 1110 წლისათვის უკვე
ჰყავდა მძიმედ შეიარაღებული რაინდების საკმაოდ საგრძ-
ნობი ძალა.

**17. ქართველი რაინდები ორგანიზაციის თვალსაზ-
რისით.** როგორც ვნახეთ, სტეფანოს ორბელეანის ცნობის

მიხედვით, დავით აღმაშენებლის დროს ქართველი რაინდების
ლაშქარი 12 სადროშიდ იყო დაყოფილი. ამ შთავაზონაში
რი იგულისხმება, რომელიც ემორჩილებოდა ამირსპასალარ
იოანე ორბელს. ვარაუდით კი ქართველი რაინდების
ნობა ამ დროს უნდა ყოფილიყო დაახლოებით 22000 კაცი.
ერთი მესამედით მეტი, ვიდრე ვარაუდითვე და მრგვალი რი-
ცებითაც აღნიშნულია 1048 წლისათვის.

დავით აღმაშენებლის დროს ამირსპასალარად და თითქოს
მანდატურთუხუცესად იყო იოანე ორბელი, ბაღვაშთა გვარის
ახალი შტოს დამწყები.

დასავლეთ ევროპაში, რაინდობის ხანაში, ბევრგან მიღე-
ბული იყო რაზმების დაყოფა ათეულებად და ასეულებად.
ქართულ სინამდვილეშიც, კერძოდ, ასისტავი დადასტურებუ-
ლია XII — XIII ს-ნის წარწერაში ზემო კრიხში (რაჭაში).
რასაკვირველია, სახელწოდება ასისტავი და ათასისტავი არ-
სად არ გულისხმობდა, რომ სათანადო რაზმში ზუსტად ამდენ-
ნი მხედარი იყო, მაგრამ მიახლოებით ეს სახელწოდებანი მა-
ინც ასახავდნენ სინამდვილეს. სტეფანოს ორბელეანის ხსენე-
ბული ცნობა ნიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის დროს ამირ-
სპასალარის ხელქვეით იყო რაინდების შუბები (ერთეულები)
თორმეტი ათასი კაცის შემადგენლობით და თორმეტი ათა-
სიტავით სათავეში.

ხსენებული თორმეტი ათასეულიდან დაახლოებით ნახე-
ვარი იქნებოდა 8 — 12 ცხენოსანი და ქვეითი ყმა-მსახურით,
მეორე ნახევარი კი, საგულისხმებელია, მცირე (ლარიბ) რაინდ-
თავან 3—6 ყმა-მოსამსახურით (საფრანგეთში პირველხარის-
ხოვანი რაინდებისათვის განკუთვნილი იყო 12 — 14 მხედარი
და ქვეითი მსახური); ამ ვარაუდით პირველ ექვს ათასეულ-
ში, საფიქრებელია, 600 რაინდი-მოყმე, დაახლოებით 6 ათა-
სი მეაბჯრე-მსახური, ზოლო მეორე ექვს ათასეულში ორნა-
ხევარჯერ მეტი, 1400 — 1500 რაინდი-მოყმე, ასევე დაახლო-
ებით 6000 მეაბჯრე-მსახური. სულ ამ ვარაუდით, ამირსპა-
სალარის ხელქვეით მყოფ ქართველ რაინდ-მოყმეთა რაოდე-
ნობას მივიღებთ 2000 — 2100 კაცამდის. მაგრამ საქართვე-
ლოს მეფე დავითს რაინდები პირად განკარგულებაშიც
ჰყავდა.

„ხელმწიფის ქარის გარიგებიდან“ ირკვევა, რომ პირადად მეფის განკარგულებაში იყო „მესაწოლე“, ე. ი. მეფის წოლთან (იგივე კაბინეტთან, როგორც ახლა ვიტყვი) მიმავრებული 700 შუბოსანი, რომელთაგან მხოლოდ 300-ს (მეფის გლეხი (იგულისხმება შეძლებულ გლეხთაგან გამოსული ხური), დანარჩენები კი აზნაურნი იყვნენ. იმავე დროს, მატიაწეანედან ცნობილია, რომ დავითს 1119—1120 წლების ახლოს ხუთი ათასი მონა-სპა ჰყავდა („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 337). თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შვიდასი შუბოსანი და 5 ათასი შინა მსახურ-მეომარი ერთმანეთს ფარავდნენ: შვიდასი შუბოსანი აზნაურ-მოყმენი არიან, ხოლო 5 ათასი კაცი — ამ შუბოსან აზნაურ-მოყმე მეომართა და მათ მეაბჯრე-მსახურთა მთელი რაოდენობის მაჩვენებელია.

ეს მონა-სპის ჯარი მთელი თავისი შემადგენლობით (უფროსი ანუ დიდი მოყმეები, მცირე ანუ უმცროსი მოყმეები, ყველანი მათი მეაბჯრე-მსახურებით) იმყოფებოდა პირადად მეფის განკარგულებაში.

როგორც ეტყობა, ამ შვიდასი შუბოსანი რაინდის ჩათვლით მოყმეთა საერთო რაოდენობა საქართველოში დავითის დროს (უფრო დიდგორის ომის წინ, ე. ი. ქართველი ჯარის მაქსიმალური რაოდენობის დროს) აღწევდა, ვარაუდით, $(2000 - 2100 + 700 =) 23 - 24$ ათას კაცს.

შავთელს „აბდულმესიანში“ (1123 წელს) აქვს ასეთი ცნობა:

„გუნდ-მწყობრი დასი მას (ე. ი. დავითს) ბევრ-ათასი ჰყავს დიდებულთა, დიდგვარ თავადთა“ (სტროფი 46).

ამის მიხედვით ქართველებს ჰყავდათ (იგულისხმება რაინდების ანუ მოყმეთა) გუნდების მწყობრნი, რომელნიც შეადგენდნენ დასებს.

თამარ მეფის მატიაწეებიდანადც ჩანს, რომ ქართველების ჯარი (იგულისხმება პირველ რიგში მოყმეები) შედგებოდა დასთაგან („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 7). დასის შემადგენელ ნაწილად კი იგულისხმება გუნდი. გამოდის, რომ რაინდული ჯარის ყველაზე დაბალ ერთეულად საქართველოში იყო „შუბოსანი“, თავისი თანმხლე მეაბჯრე-მსახურებით. ასე-

ვე იყო, როგორც მოხსენებელი იყო, მაგალითად, საქარან-
გეთშიც, სადაც ასეთ ერთეულს ერქვა „შუბი“.

საქართველოში ამ შუბოსან რაინდებს შორის მეტად მცირედ ყოფილან გლეხები, იგულისხმება დაწინააღმართებულ კარგად შეძლებული მსახურნი. „ხელმწიფის უსამართლოების“ მოყვანილი ცნობის მიხედვით (700 შუბოსანზე მოდიოდა 8 გლეხი) გლეხ-მსახურნი შუბოსნები შეადგენდნენ ყველა რაინდის 1,1% -ს.

შუბოსნებისაგან, ე. ი. ცალკეული რაინდებისაგან შედგებოდნენ გუნდები, რომელთა სათავეში საგულისხმებელნი არიან ასისტავეები. გუნდები, მამასადამე, თეორიულად შეადგენდნენ ასეულებს, რომლებშიც (თითოეულში) საგულისხმებელია დაახლოებით 10—25 შუბოსანი, დიდი და პატარა, ე. ი. მდიდარი და ღარიბი. გუნდის (ასეულის) უფროსს, როგორც ეს იყო დასავლეთ ევროპაში, ექნებოდა თავისი გამახვავებელი ნიშანი.

გუნდის შემდგომი და უფრო მაღალი ერთეული იყო (თეორიულად სავარაუდებელი) ათი ასეულის შემცველი დასი. დასად უნდა იგულისხმებოდეს სტეფანოს ორბელეანის მიერ მოხსენებული ათასეული, 100—250 რაინდის (მოყმის) შემცველი. ათასეულის, ე. ი. დასის უფროსს ჰქონდა დროშა (იმავე სტეფანოსის ცნობა), როგორც ეს იყო საფრანგეთში, სადაც დროშის მქონე უფროსს ეწოდებოდა ბანერეტი.

საქართველოს ლაშქრის დაახლოებით ნახევარი შედგებოდა სამეფო სახლის ხელქვეით მოსაკარგავე (ე. წ. სასახლის) დიდებულთაგან და სამეფო ფუძეებიდან გამოყვანილი მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსანთაგან. ხოლო მეორე ნახევარი, დაახლოებით, შედგებოდა მემკვიდრე დიდებულთაგან გამოსული მოყმებისაგან და მათივე ხელქვეითი ფუძეებიდან გამოყვანილი მსუბუქი ცხენოსანი ჯარისაგან.

მძიმედ შეიარაღებული მოყმის, ბრძოლის დროს მისი თანმხლე დაახლოებით 10 მხედარი მეომრისა და კიდევ ჰქვითი მოსამსახურეების ჩათვლით, სურსათით უზრუნველსაყოფად საჭირო იყო სულ ცოტა 19 ფუძის გლეხის (დაახლოებით 50-მდე კომლის ანუ 500-მდე სულის ორივე სქესისა) გამოსავალი — რენტა. თითო სამთავრო-სადიდებულო გვარ-

ში საგულისხმებელი არის სულ ცოტა ორი-სამი და მეტი ასეთი მოყმე. მაშასადამე, ასეთი გვარის მარტო სამხედრო პროვინულ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად საქმით დაახლოებით 60 ფუძე (150 კომლი ანუ 1500 სულჯი) უნდა იქნას გამოსავალი — რენტა. მაგრამ პირველხარისხის მთა მომცემ გვარეულობებს ხომ სხვა ვალდებულებანიც ედევით (ციხისა და საგვარეულო მონასტრის შენახვა და სხვანიც), რაც აგრეთვე გულისხმობდა დამატებით რენტა-გამოსავლის საჭიროებას.

ამასთანავე, დიდებულთა გვარს გამოჰყავდა კიდევ მეორე და მესამე ხარისხის (რიცხვით 10 — 15) მოყმენი, რომელთაც ნაკლები უზრუნველყოფა ჰქონდათ. გარდა ამისა, ფუძეებიდან გამოდიოდნენ კიდევ მსუბუქად შეიარაღებული მხედრები — ფუძეზე ერთი მხედარი (შეად. § 26).

18. ტერმინი „მოყმე“ და „თამაღი“. ჯვაროსანთა ხანაში წამოყენებული იდეების გავლენით სამხედრო საქმიანობა დაეით აღმაშენებლის დროს მკვეთრად დაემორჩილა ქრისტიანულ-რელიგიურ პოსტულატებს. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ქართველებსაც, ჯვაროსნებთან ერთად, ჰყავდათ საერთო შტერი, რომელიც მაჰმადიანობის ლოზუნგებით ცდილობდა ქრისტიანობის განადგურებას. ქრისტეს სახელი ახლა შეიქნა ქართველებისათვის უფრო დაახლოვებული და ინტიმური. ყველაფერი კეთდებოდა ახლა ქრისტეს სახელით. თვით დაეითი აცხადებს თავის თავს ქრისტეს მხედრად (ქრისტეს მონად). მისი ჭარის კვალიფიციური ნაწილი, რომელიც რაინდთაგან, ანუ მაშინდელი ტერმინოლოგიით, ჰმბუკთაგან შედგებოდა, იცელის სახელს: იგი ახლა შედგება მოყმეთაგან.

ტერმინი „მოყმე“ ნიშნავს ყმების მყოლს. ყმებად კი ამ ხანაში იწოდებოდნენ რაინდების თანმხლები მხედრები, არა გლეხები. „ვის-რამიანში“, რომელიც 1090 — 1100 წლების ახლოს უნდა იყოს ქართულად გადმოთარგმნილი, მოყმე, საერთოდ, ვაყვაცს ნიშნავს, ის იქ ჭერჭერობით არ ცელის „ქაბუქს“.

„მოყმე“, როგორც ჩვეულებრივი ტერმინი, ცნობილია შვეთელისათვისაც (1123 წ.). მაშასადამე, მის მიერ შესხმის

დაწერის დროს ეს ტერმინი უკვე განმტკიცებული და საყოველთაოდ მიღებული ყოფილა. გოტიეს გადმოცემით, დანიითი დიდგორის ბრძოლის დაწყების წინ მიმართავს ქართველ რაინდებს სიტყვით, რომელიც იწყება ასე: „ქრისტეს მთხვეწი ნო (Eia, Christi milites)“. შავთელის შესხმის შემდეგ „ქრისტეს მთხვეწი ნო“ დულმესია“, რაც არაბულად ნიშნავს „მესიის ანუ ქრისტეს მონას“, ამ შემთხვევაში მოყმეს (ქართულში მაშინ ადამიანის დამორჩილებული მდგომარეობის აღსანიშნავად არ არჩევენ სიტყვას „მონას“ „ყმისა“ და „მოყმისაგან“).

მთაში ზოგან ეს ტერმინი შემორჩენილი იყო ბოლო დრომდის, და ამიტომ ფშავლები თავის თავს ლაშარის ჯვარის მოყმეებად (ე. ი. სახატო მონებად) მიიჩნევდნენ (დოკუმენტურად XVIII ს. ვიდრე ბოლო დრომდე).

თამარის მატეიანეებში, ჩახრუხაძის პოეზიაში და „ვეფხისტყაოსანში“ „მოყმე“ ჩვეულებრივი ტერმინია რაინდის აღსანიშნავად. მონღოლების დროიდან ტერმინი „მოყმე“ ქართულ ფეოდალურ მაღალ წრეებში ქრება და მის ადგილს იკავებს ტერმინი „თავადი“.

როგორც ვნახეთ, ტერმინი „თავადი“ ახალი მნიშვნელობით იხმარება შავთელის მიერაც. შავთელი მას, როგორც ეტყობა, ხმარობს რაინდის ქვეყნუფების ეგრეთ წოდებული გუნდების უფროსების აღსანიშნავად. გუნდში შემავალ რაინდებს და მათ თანმზღებ პირებს (მხედრებს და მოსამსახურე ქვეითებს) ესაჭიროებათ თავიანთი გუნდების უფროსები — თავადები, რაც არსებითად მეთაურს, უფროსს ნიშნავს, მაგალითად, გამოთქმა მატეიანეში, რომ ლიპარიტის შვილი ივანე ბაგრატი IV-ის დროს იყო „თავადთა (ე. ი. მეთაურთა) თანა ამის სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა თესითა“-ო (ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 305).

გუნდის უფროსი ან თავადი, ზემოთ თქმულის მიხედვით, იყო ასეულის მეთაური, მაგრამ იმის მიხედვით, თუ ასეული შედგებოდა პირველხარისხოვან ან მეორე და მესამეხარისხოვან აზნაურთაგან, შეიცავდა დაახლოვებით 8-10 თუ 25 მოყმეს (შუბოსანს), და მათი სათანადო რაოდენობა შეაბჯრე — შემშვილდე — მოსამსახურეთ, სულ მიახლოვებით ასეოდე კაცს.

ამგვარად, თავადი გადაიქცა მხედრების უფროსად, ^{შეშ}
დღე კი, ნაწილობრივ უკვე XIV ს. პირველი ნახევრიდან,
ტერმინს „თავადს“ მიეცა წოდებრივი მნიშვნელობა, რომელ-
ლიც შერჩა მას შემდგომ საუკუნეებშიც. ^{ეროვნული} ^{გინჯლიძე}

**19. იყო თუ არა საქართველოში სარაინდო ორბა-
ნიზაცია — ორდენები?** რადგანაც ქართველების სარაინ-
დო ინსტიტუტი, ზოგადად, ჰგავდა დასავლეთ ევროპის ანა-
ლოგიურ ინსტიტუტებს, ამიტომ სარაინდო ორდენების ან
ამისდაგვარი ორგანიზაციის არსებობა ჩვენს ქვეყანაშიც
არის სავარაუდებელი. ამას თითქოს უჩვენებს შემდეგი გარე-
მობა.

საისტორიო ტექსტებში არის ასეთი გამოთქმანი: არჩილ
მეფემ (660-იანი წლების ახლოს), როგორც ამას გადმოგე-
ცემს ჯუანშერის გამგზავლებელი (IX ს. პირველი ნახევრის
ახლოს), „ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი და
აზნაურ ყუნა იგინი“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 243).

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებით, გიორგი ჩორჩანელი
VI ს. „მრავალთა ტაძართა და კარავთა შინა იქცეოდა (ცხოვ-
რობდა)“. ტაძარი, მამასადაამე, VI — VII ს. სასახლეს ნიშ-
ნავდა. ტაძრული ამიტომ არჩილის „ცხოვრებაში“ ნიშნავს
სასახლის მსახურს, არა აზნაურს. შემდეგ კი ამ ტერმინის
მნიშვნელობა თითქოს შეიცვალა. X — XII ს. და შემდეგაც
ტაძარი უკვე ნიშნავდა არა სასახლეს, არამედ საყდარს და
მნიშვნელოვან ეკლესიას (მონასტრისას). სამეფო სასახლეს
უკვე დარბაზი და პალატი ეწოდებოდა. სიტყვა „ტაძრის“
მნიშვნელობის ასეთი შეცვლა მოხდა VIII — IX ს. მანძილზე.

ბაგრატ კურაპალატის კანონებში (§ 150) იხსენიებიან აზ-
ნაურნი „ტაძრობილნი თუ უტაძრო“. ტაძრობილი უნდა ნიშ-
ნავდეს ტაძრობა გავლილს ან ტაძრობის წევრს. რადგანაც
XII ს. და უფრო ადრე ტაძრად იწოდებოდა კარგი საეკლეს-
იო შენობა-საყდარი და მონასტერი, ამიტომ ტაძრობილი
უნდა ყოფილიყო ისეთი აზნაური, რომელსაც ტაძარში გავ-
ლილი ჰქონდა რაღაც საზღვიმო ცერემონიალი. დასავლეთ ევ-
როპის წამყვან ქვეყნებში რაინდი ლებულობდა სარაინდო
კურთხევას და დალოცვას ეკლესიაში, სათანადო წესით. ამის

მიხედვით, ტაძრობილი აზნაურნი უნდა იყვნენ გლეხური წესით რაინდად ნაყურთ-დალოცვილნი, უტაძრო კი, ვინც ეკლესიის მიერ არ იყო ნაყურთხი.

ბუქას კანონებში ნათქვამია: „თუ დიდებულნი მოკლას ასეთი, რომე საპატიო პატრონს კარგად ჰყვას და კარგი იყოს, და ანუ ტაძრული აზნაური იყოს, ციხოსან-მონასტროსანი და მამული დიდი, მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს და იგი დაუურვოს“ (§ 2). „თუ მას ქვეშეთი მოკლას ასეთი, რომე ანუ ყამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს ამავე ზემოთ წესითა“ (§ 3).

უკეთუ აქაც ტაძრულ აზნაურად დალოცვილ-ნაყურთხი რაინდი იგულისხმება, მაშინ გამოდის, რომ დიდებული, თავისთავად, რაინდიც ყოფილა, და, მაშასადამე, უამისოდ ის დიდებული ვერ გახდებოდა. ხოლო აზნაურთაგან მოყმე რაინდად იყვნენ მხოლოდ ციხოსან-მონასტროსანი და დიდი მამულის მქონენი. მცირე აზნაურები კი მოყმეებად არ შეიძლება ყოფილიყვნენ.

მაგრამ ამ ერთი ახსნის გარდა, შეიძლება ძირითადი ტერმინის „ტაძრობილის“ სხვაგვარი ახსნაც. „ტაძრობა“ შეიძლება ნიშნავდეს იმ ერთეულს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცალკე ტაძრობილები, მაგალითად ისე, როგორც აზნაურობას შეადგენდნენ ცალკე აზნაურები, გლეხობას — ცალკე გლეხები და სხვ. ტერმინი „ტაძრეული“ კი ამ ტაძრის ცალკე ინდივიდუალთაგან უნდა იყოს წარმომდგარი ანდა ძველი ტერმინის „ტაძრეულის“ რემინისცენციით.

აღნიშნულის მიხედვით, შესაძლებელია, რომ ქართველი ქაბუკები და, შემდეგ, მოყმეები გაერთიანებულნი ყოფილიყვნენ ტაძრობებად.

დიდგორის ომში, ქართველი სამეფო მოყმეების რიგებში ფრიალებდა დროშა წმ. გიორგის გამოსახულებით. იმასთან დაკავშირებით, რომ დავით აღმაშენებლის დროშა წმ. გიორგის გამოსახულებით შემდეგში შერჩა იმერეთს და, ალბათ, თავიდან გელათის მონასტერში ინახებოდა, შეიძლება გახსენებულ იქნეს ასეთი ფაქტი. ქვემო იმერეთის მთიან მხარეში XVIII ს. შემორჩენილი იყო ცალკე სამხედრო-რელიგიური

ორგანიზაცია სახელწოდებით „ფიცის კაცნი“, რომელნიც მო-
იცავდნენ მთელ რიგ სოფლებს და რომელთა სათავეში იდგა
თავადი ლორთქიფანიძე. ფიცის კაცნი განსაკუთრებულ ფიცს
სდებდნენ ქრისტიანობისა და მეფის ერთგულებას. მათგან
რომ ფიცის კაცთა ორგანიზაციას გენეტურად შირი უნდა
შირი უნდა პქონოდა დავით აღმაშენებლის ზსენებულ წმ. გი-
ორგის დროშასთან და, მაშასადამე, ძველ ტაძრობასთანაც.

როგორც მოხსენებული იყო, დავითის დროს უნდა იყოს
ქართველი რაინდებისათვის შემოსული ტერმინი „მოყმე“. რას ნიშნავს მოყმე, ვის ყმად, უპირველეს ყოვლისა, უნდა იგულისხმებოდეს ამ წოდების მქონე? როგორც აღვნიშნეთ, ისინი იყვნენ ქრისტეს მოყმენი. ქაბუკი ამ მხრივ განუპიროვნებული იყო. ქრისტეს მოყმე (შემდეგ, უბრალოდ, მოყმე) წარმოადგენდა გარკვეული შინაარსის ტერმინს. ამით ხაზგასმული გამოდიოდა რაინდობის რელიგიურ-პოლიტიკური ზსაი-ათი. რაინდები, როგორც ქრისტეს მოყმენი, იბრძოდნენ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, „ურჯულო“ მამაღიანობის წინააღმდეგ.

ყურადღებას იქცევს კიდევ შემდეგი გარემოება. დავითის მემკვიდრის აღნიშნული აქვს, რომ დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქრისტეს საფლავის ტაძარს იერუსალიმში და დიდ შეწირულებას აგზავნიდა იქ: „ლაერანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თესთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კპრისა, შავისა მთისა, ბალესტინისანი, აღაესნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ზუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი თუთო ფერთა მიერ შესაწირაეთა განამდიდრნა“ და სინას მთაზე მონასტერი აღაშენაო („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 352 — 353).

ამიტომ ვფიქრობ, რომ თვით ტერმინი „ტაძრობილი“, „ტაძრეული“ დავითის დროს ქრისტეს საფლავის იერუსალიმურ ტაძრის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

1119 წელს იერუსალიმში დაარსდა ეგრეთ წოდებული ტემპლიერთა ანუ, ფრანგული გამოთქმით, ტანპლიერთა ორდენი (ლათინურად milites templi), რომელიც იყო რელიგიურ-სამხედრო ორგანიზაცია. მისი დამაარსებელი იყო

ფრანგი რაინდი ჰუგო დე-პენი (Payns) თავისი შვიდი ამბავით. იერუსალიმის ჭვაროსანთა მეფემ ბოლდუინ II-მ მის ცამ ორგანიზაციას ციხე-კოშკი იმ ადგილის ახლოს, სადაც ოდესღაც გადმოცემის მიხედვით, აშენებული იყო ბრძოლის მეფის სოლომონ ბრძენის ტაძარი. ტამპლიერთა ორდენი, თავისი რაინდებითა და ბერებით, გადაიქცა შემდეგ მეტად მძლავრ ორგანიზაციად, რომელსაც დიდძალი მამულები და განყოფილებები ჰქონდა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. XII ს-ნეში, სანამ იერუსალიმი ჭვაროსანთა ხელში იყო, ეს ორდენი გვრგვინავდა, შემდეგ კი დაეცა და 1307 წელს საფრანგეთში ის გაუქმებულ იქნა მის მეთაურთა ცეცხლში დაწვით (ორდენს ბრალდებოდა რელიგიური მწვალებლობა, ე. ი. კათოლიკური ეკლესიისაგან მკაცრად განდგომა).

ტამპლიერების (ტაძრეულების) ორდენის წევრების შესახებ ამ ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი ბერნარ კლერვოსელი წერდა 1125 წელს: „ისინი არიან თავმდაბალნი როგორც შინ, ისე ბრძოლის ველზე. მორჩილებას მათში დიდი დაფასება აქვს. ისინი მიდი-მოდიან დამრიგებლის ნებართვით. ისინი იცვამენ იმ ტანისამოსს, რომელსაც ეს დამრიგებელი აძლევს მათ და არაეისგან სხვისგან არ ღებულობენ არც ტანისამოსს და არც საკმელს. ისინი გაურბიან ზედმეტს რამეს როგორც ტანისამოსის, ისე საკმელის მხრივ და ზრუნავენ მხოლოდ მკირე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ცხოვრობენ ისინი ერთმანეთთან შეხმატებილებულად და თავშეკავებულად, უცოლოდ და უბავშვებოდ და, სახარისებური სრულყოფობის მიბაძვით, უქონებოდ, ერთ საბლად, ერთ სულად, მშვიდობისა და თანხმობისაგან მისწრაფებით, ასე რომ თითქოს ყველა მათ უცემდეს ერთი გული და ჰქონდეს მათ ერთი სული. ისინი არასოდეს არ სხედან უსაქმოდ და არც დადიან ირგვლივ ცნობის მოყვარეობის მიზეზით. როდესაც ისინი ურჩულოებთან ბრძოლებისაგან თავისუფალნი არიან, რაც იშვიათად ხდება, მაშინ ისინი, რომ პური მუქთად არ ჰქონ, თავის დაზიანებული ან გაცვეთილი ტანისამოსისა და იარაღის შეკეთებას აწარმოებენ. ჭადრაკის და ნარდის თამაშს უყურებენ ზიზლით. ნადირობას მხეცებზე და აგრეთვე სხვებისთვის ასე სანუკვარ ნადირობას ფრინველებ-

ზე გულგრილად ეპყრობიან. მათ საქულთ ჯამბაზები, ქუჩის მომღერლები, აღვზნების გამომწვევი ყოველგვარი სიმღერა და ყოველგვარი მსახიობები, აგრეთვე საერთო ცხვარებს განაშაფია და სისულელე. ბრძოლას ისინი იწყებენ ცხვარებს რებით და მოუფიქრებლად, არამედ სიფრთხილით და წინდახედულად, როგორც ისრაელის ნამდვილი შვილები. მაგრამ როგორც კი იწყება ბრძოლა, ისინი უშიშრად და აგდებით თავს ესხმიან მოწინააღმდეგეს როგორც ცხვარებს. რაც უნდა ცოტანი იყვნენ, მათ არ იციან არავითარი შიში და იმედს ამყარებენ ღმერთ საბაოთზე. ამიტომ ხშირად ერთი რაინდი გააქცევდა მთლიანად ათას კაცს და ორი რაინდი კიდევ ათი ათასს. ამგვარად ისინი ერთსა და იმავე დროს არიან თოყნებზე უფრო წყნარნი და ლომებზე უფრო მრისხანენი, ასე რომ ვყოყმანობ — დაეარქვა მათ ბერები თუ რაინდები. მაგრამ ისინი იმსახურებენ ორსავე სახელს, რადგანაც აღჭურვილნი არიან ბერების თავმდაბლობით და რაინდთა მამაცობით”¹.

ტამბლიერების ორდენის ასეთ ხასიათს ერთგვარად ეხმარება ქართველი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ დავითის დროს „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და ვინება ღმერთისა საქულელი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 352).

დავითის ეს განკარგულება გამოსულა მაშინ, როდესაც საქართველოს ლაშქარში „ენათა ურიცხვი სიმრავლე“ იყო, ე. ი. ყივჩილთა ჯარის მოწვევის შემდეგ. მაშასადამე, 1118 წლის შემდეგ, ე. ი. ქრონოლოგიურად ეს ამბავი ხვდება ტამბლიერების ორდენის დაარსებას იერუსალიმში.

უფრადღებას იქცევს ისიც, რომ ტამბლიერებმა თავისი სახელი მიიღეს სოლომონის უკვე არარსებული ტაძრის მიხედვით, ქრისტეს საფლავის ტაძრისათვის გვერდის ავლით, ხომ არ იყო ეს გამოწვეული იმით, რომ ქრისტეს საფლავის ტაძრის სახელი ქართველების მიერ უკვე იყო გამოყენებული იმავე რელიგიურ-სამხედრო მიზნით და ამიტომ ახალი ორ-

¹ Дельбрюк, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 162.

დენის დამაარსებელთ აჩივის სოლომონის არარსებულ ტომ-
რის სახელის გამოყენება.

რასაკვირველია, მთელი ამ საკითხის საბოლოო დასა-
წყვეტა ახალი მასალებისა და ახალ დაკვირვებათა გამოყენებით
უძლებელია. ყველა ზემოთ თქმულს აქვს, მაშასადამე, ჯერ-
ჯერობით მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის ხასიათი.

20. შიშობარღება. შევთვლს თავის შესხმაში დავითის მი-
მართ ჩამოთვლილი აქვს ქართველი ლაშქრის შეიარაღების
შემდეგი დარგები: ჩაფხუტ-ჩაქვ-ქური (სტრ. 27), ჩაქვ-სა-
ქურველი (სტრ. 36), ჭური (სტრ. 29), აბჯარ-ყრმალი (სტრ. 34),
მახვილი (სტრ. 30), ჯაღა (სტრ. 35), კრმალი (სტრ. 36), ჰო-
როლი (სტრ. 27, 80). არის შეიარაღების სპეციფიკური სა-
წყობიც.

მე-19 სტროფში ვკითხულობთ: „მშვილდთა მარჯა
უქნა (დავითმა) მტერთ რაჟა გულსა უწყალოდ ანაგებითა“.

სიტყვები: არაბულ-სპარსულად. „მარჯა“ — ხელშუბი,
საბასთან: „მუზარაჟი ბერძნულია, შუბს ჰქვია“. „არაბ.
„რაჟ“ — დარტყმა, შეწყვეტა.

თარგმანი: „მშვილდების მოკლე ხელშუბებით მიიყენა
მტერს შეწყვეტა უწყალოდ გულში ჩაცემით“.

აქ იგულისხმება სპეციალური მშვილდი, რომელიც ისრო-
და ხელშუბებს. ეს შეესატყვისება დასავლეთ ევროპის საშუ-
ალო საუფუნეების ეგრეთ წოდებულ არბალეტს, ფრანგულ-
ად arbalète (ლათინური arcus — „მშვილდი“ balista —
„სასროლი მანქანა“). ამის ფარდია ქართული „ლიბარდა“,
რომელსაც საბა განმარტავს: „რომელად შუბს ეწოდება“. ამ
სიტყვის მეორე ქართული ფორმაა „ლიბარდაჟი“, საბათი
„მოკლე შუბი სასროლი“, რომელიც იხსენიება უკვე ბერძნუ-
ლიდან გადმოთარგმნილ 2 მეფ. წიგნში, 18, 14 (IV — V ს-ზე-
თა მიჯნის ახლოს). ებრაულიდან გადმოთარგმნილ უფრო
ძველ ქართულ ტექსტში ამ აღგილას იხმარება მარტივად —
„ისარი“.

დასავლეთ ევროპაში არბალეტის ხმარება განსაკუთრებით
გავრცელდა XII ს. უფრო ამ საუკუნის მეორე ნახევარში,
ჯეროსნები XI ს. დასასრულს, პირველი ჯეროსნული ლაშქ-

რობისას, უკვე ხმარობდნენ არბალეტებს. ხოლო რადგანაც არბალეტი წარმოადგენდა მშვილდის დიდად გაუმჯობესებულ ძლიერ იარაღს და თავისი წვეტიანი ხელშუბებით დიდ სიწვედილიანობას იწვევდა, ამიტომ რომის პაპმა ინოკენტიუს III 1137 წელს ლატერიანის საეკლესიო კრებაზე აკრძალა რომში ხმარება ქრისტიანების წინააღმდეგ და ნება დართო გამოეყენებინათ ის მხოლოდ ურწმუნოების მიმართ. საფრანგეთში ამის შემდეგ არბალეტს არ ხმარობდნენ. მაგრამ როდესაც ინგლისის მეფემ რიჩარდ ლომკულმა (1189 — 1199 წწ.) საფრანგეთში გალაშქრების დროს კვლავ იხმარა არბალეტი, ამის შემდეგ ის შემოდებულ იქნა ევროპის ყველა ლაშქარში და იხმარებოდა XVI ს. სანამ თოფის შემოღებამ არ განდევნა ის.

დავითს, როგორც ეტყობა, თავის ქარში, ჯვაროსანთა მსგავსად, შეუქმნია ლიბარდებით შეიარაღებული სპეციალური რაზმები, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ დიდვორის ომში.

„აბდულმესიანის“ 35-ე სტროფი იკითხება ასე:

„ქარ კეისარის ხარკე ისარი,
სინდიდრით ლალი, ჯიშედ(რ) მფლობელი,
მოსამახოსა მოსი მახოსა
მახელი თქვენი მტერთა მწეობელი.

ჟალაც ისე ფქვე, მოსრეთ ასე ფქვე,
ბრკალი ჰქმენ მათხედ მეოტ მწერობელი.
პეირ მამენდ მეხი ავად რა მეხი
ორგულთა ექმენ დასამეობელი“.

სიტყვები: მოსიმახო — განთქმული, მოსრე აღექსანდრე მაკედონელის დროს (მოხსენებული გიორგი ამარტოლის „ბრონოვრაფიაში“ და კარგად ცნობილია XII — XIII ს-ნეთა ქართული მატრიანების ავტორებისათვის).

მოსი, სპარს. მუსი — უსამართლო, ბოროტი.

მახო, ბერძნ. μαχος — საალყო მანქანა, ლათინ. — machina.

ჟალა, სპარს. „ქელე“ — ჩაფხუტი.

სეფქა-საბათი — ისარია „ფრთემალალი, გრძელი, რყალ-შემობმული არს“.

პეირ მამენდ, ბერძნ. პუროს $\nu\upsilon\rho\acute{o}\varsigma$ — ცეცხლი და ბერძნ.
წელიწად „მემოს“ $\dagger \text{Μεμωσ}$, Gen. $\mu\epsilon\mu\omega\tau\omicron\varsigma$ — მძლავრი მშენებელი,
ძლიერად თავდასხმელი.

თარგმანი: „ხარ (შენ, დავით), კეისარი, შეაგროვე ხერხეული
ისრები, ჩიმშედსავით სიმდიდრის ლაღად მფლობელი (ჩიმშე-
დი ძველი სპარსეთის ძლიერი მეფე, მოხსენებულია „შაჰნა-
მეში“). ბორბტების მომაყენებელი მანქანის მახვილი მოსი-
მახოსი დააწვეს თქვენს მტრებს. სეფქით (გრძელი და შორს-
მსროლელი ისრით) მოსრავ და გაქცეულს ბრძალს დააქერ
შესაპურობად. შემტევი ცეცხლი, თქვენი ორგულთა დასამხო-
ბელი, მეხივით მათ აეად დაარტყი“.

მანქანად აქ ანდა იგულისხმებოდეს უფრო განვითარებუ-
ლი მუზრაკი — არბალეტი, რომელიც შორს და უფრო ძლი-
ერად ისერის გრძელ ისარს. ეს ისარი ხერხეს ჯალა-ჩაფხუტს,
რაც აბნევედა მოწინააღმდეგეთა მეომრებს და ისინი გარბოდ-
ნენ და ტყვედ ვარდებოდნენ.

უკანასკნელ ტაქში იგულისხმება ცეცხლის მსროლელი
მანქანა. ეს მანქანა ნავთის მეშვეობით ისროდა ცეცხლოვან
სითხეს. შემოღებულ იქნა ის IV ან უფრო VII ს-წებში. ბი-
ზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენის (1081 — 1118 წწ.)
დროს ქალაქ პიზას წინააღმდეგ ბრძოლისას ბიზანტიის
ფლოტის ზოგიერთ ფემს, 1110 წლის ახლოს, შეეძლო ბერძ-
ნული ცეცხლის მეშვეობით ლითონის ფართო მილებიდან
დიდი ქვების სროლა. საქართველოს მეფეს, კახეთ-ჰერეთის
სამეფოს შემოერთების შემდეგ, ჰქონდა ნავთის საკუთარი
საბადო ახლანდელი შირაქის ველზე. უფრო ამ საბადოს უნდა
გულისხმობდეს მარკო პოლო, როდესაც ამბობს, რომ საქარ-
თველოში არის თავისთავადი ზეთი, რომელიც საკმელად არ
ვარგა და მას ასანთებად ხმარობენო.

ამგვარად, კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, ქართ-
ველებს ნავთის საკუთარი საბადოს გამოყენებით შეეძლოთ
„მეხი“ ესროლათ ველზე თავისი მტრებისათვის. ამიტომ შე-
საძლებელია, რომ შავთელის ხსენებული გამოთქმა გულის-
ხმობდეს ბიზანტიელებისაგან გადმოტანილი ქვის სასროლი
მანქანის არსებობას, რომელიც მეხივით „ორგულთა ექმნა
დასამხოებლად“. ყოველ შემთხვევაში, ცეცხლის სასროლი

მანქანა აქ უეჭველად უნდა იგულისხმებოდეს, და ქართველებს ასეთი რამ იმ დროს მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ამგვარად, დიდგორის ომში ქართველებს ჰქონდათ რვა ტექნიკური გაუმჯობესებაანი. 1) მშვილდ-მანრაკა, მრგვალი უდრიდა ფრანგების არბალეტს; 2) მშვილდ-მანო, მსგავსი არბალეტის თავისებური სახე, ისროდა ფრთე-მალღ ცრძელ ისრებს მჭრელი წვეტებით, რომლებიც ატანდა შიგნით ჩაფხუტს და ალბათ ნაწილობრივ ჯავშანსაც; 3) მანქანა, რომელიც ცეცხლით ისროდა დიდ ქვებს.

ქართველებს ექნებოდათ აგრეთვე ფილაკაევანები (სპარს. ბელეენ — ქვის სასროლი მანქანა), ციხის კედლების დამსგრევი მანქანა. ასეთები ქართველებს ჰქონდათ ბაგრატ IV-ის დროსაც. ბაგრატ IV 1070 წლის ახლოს „მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკაევანი და მცირედითა დღეთა დაღეწნა ზღუდენი შანქორისნი“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 280). ამიტომ ფილაკაევანები ქართველებს დიდგორის ომშიც შეიძლებოდა ჰქონოდათ, მაგრამ ისინი არ მოუტანიათ, ან თუ მოუტანიათ, არ გამოუყენებიათ (ყოველ შემთხვევაში შავთელი მას არ იხსენიებს), რადგანაც ბრძოლა წარმოებდა გაშლილ ველზე, რომელზედაც არავითარი ციხე არ იყო.

თურქებს კი თან ჰქონდათ ფილაკაევანები, რომელნიც აგრეთვე გამოუყენებელი დარჩა და დავლად ერგო ქართველებს (ნადავლ ფილაკაევანებს იხსენიებს არსენი ბერი; იქვე, გვ. 341).

თურქების (და არაბებისაც) ჯარები შეიარაღებული იყვნენ წესისამებრ, როგორც მძიმედ შეიარაღებული რაინდები, ისე მსუბუქი ცხენოსნებიც. ჰქონდათ თუ არა თურქებს ფილაკაევანების გარდა სხვა რამე საბრძოლო მანქანა, არ ჩანს. ალბათ, ასეთები არც ჰქონდათ, თორემ შავთელი ამას მოიხსენებდა.

21. ფინანსური ღონისძიებანი.

დავითის მართებლობა არ ერიდებოდა მკაცრ ღონისძიებებს სახელმწიფოს ფინანსების გასაუმჯობესებლად და ხანდახან მიმართავდა ისეთ ზომებსაც, რომლებიც მაშინდელი თვალსაზრისით დიდ ცოდვად ითვლებოდა. მაგალითად, დავითმა, მატრიანის სიტყვით, „გაამწარა“ ბევრი მონასტერი („ქართ. ცხოვრება“, I, გვ. 351), იგუ-

ლისხმება სამონასტრო მამულებისა და გლეხების საქართველო
გაცემით ან სხვა სახით. თავისი მმართველობის ბოლო წა-
ნებში, სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გამოსწორე-
ბის შემდეგ, დაეთმა, მართალია, „გაათაეისუფლეს მონასტრის
ნი მოსაყარგავეთა მაქირეებელთაგან“ (იქვე, გვ. 333), მაგ-
რამ ეკლესია, როგორც ჩანს, მისტიროდა წინანდელ ხარაღს
და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ დაეთი თავის ანდერძში
განკარგულებას ტოვებს, რათა ატენის საკურტლის (ხაზინის)
ფულადი მარაგი მთლიანად ან სანახევროდ მაინც დაურიგ-
დეს იმ მონასტრებს, რომელნიც კიდევ გულნაკლული
იყვნენ.

წინა აზიაში და, მასთან ერთად, საქართველოშიც XI ს.
მეორე ნახევრიდან შემოდის, შედარებით წინანდელ ხანას-
თან, დიდძალი საქონელი, რომლის ეკვივალენტად წინა აზი-
იდან და საქართველოდან გადიოდა მაშინ ვალიუტის საფუძ-
ველად მიჩნეული ვერცხლის საფასე. წინა აზიის ქვეყნებში
მყოფი ვერცხლის საბადოები (რომელნიც ისედაც მცირედ
იყო) ვერ აკმაყოფილებდნენ ვერცხლის ზოდებზე თუ ვერცხ-
ლის ლითონზე საერთაშორისო ვაჭრობის მიერ წაყენებულ
მოთხოვნებს, რის გამო ვერცხლის მარაგი შინაგან ბაზრებზე
კატასტროფულად მცირდებოდა. საქართველოში ვერცხლის
მდიდარი საბადოები იყო ჩათახში, თურქული სახელწოდების
ახლანდელ გუმშიშ-ხანეში (ტრაპიზონის მხარედან სამხრეთით),
მაგრამ ის იმ დროს ბიზანტიას ეკუთვნოდა. ეს იყო ე. წ.
ვერცხლის კრიზისის ხანა, რომელიც წინა აზიაში და საქარ-
თველოშიც გრძელდებოდა XII ს. მანძილზე და XIII ს.
პირველ მეოთხედშიც მონღოლების ხანის დაწყებამდე. იმ ხა-
ნაში ვერცხლის ფული წინა აზიაში და საქართველოში არ
იჭრებოდა.

ამგვარად, დაეთი აღმაშენებლის დროს სავაჭრო ბალანსი
დასავლეთ ევროპასთან საქართველოსთვისაც თავიდანვე ძალ-
ზე პასიური იყო: შემოდის იქიდან ბევრად მეტი საქონე-
ლი, ვიდრე გაქონდათ. მართებლობა სიძნელიდან გამოსე-
ლის მიზნით ერთ ხანს მიმართავდა თავისებურ დევილუაცი-
ას — ამცირებდა ვერცხლის საფასის (თეთრის) წონას. ამ მოვ-
ლენას ჩვენ ვხედავთ დაეთიზე ადრეც, მთელი XI ს. მანძილზე.

დავით კურაპალატის ვერცხლის სრულწონიანი დრამა X ს. ბოლოში იწონიდა 3,05 — 3,1 გრამს, ბაგრატ IV-ის დრამა 1,73 გრამს, გიორგი II-ისა — 1,04 გრამს და დავით აღმაშენებლისა — ჯერ 0,87 გრამს და შემდეგ 0,51 გრამს. მართლაც დავითის მართებლობის ბოლოს ვერცხლის საფასურს იჭრებოდა.

აღ-ფარიკი (XII ს.) გვაცნობებს, რომ დავითმა მოაჭრევინა ფული, რომლის ერთ მხარეზე ეწერა ხალიფასა და სულთანის სახელები, ხოლო მეორეზე — ალლამისა და მოციქულის, კიდევ კი თვით მისი, დავითის სახელი იყო. მართლაც, მოღწეულია დავითის დროინდელი სპილენძის ფული არაბული წარწერით და გვირგვინიანი ცხენოსნის გამოსახულებით. საფასე, კიდევ დავითის სახელით, ჯერ არაა აღმოჩენილი, თუმცა დიმიტრი დავითის ძის სპილენძის ფულები არაბული წარწერით და ქართული ასომთავრული „დ“-თი (დემეტრე) არსებობს. დაახლოებით ასეთივე იქნებოდა დავითის საფასე არაბულად, თანადროული ხალიფასა და სულთანის სახელებით; ასეთი ფული დავითს შეეძლო მოეჭრა დიდგორის ომისა და თბილისის აღების შემდეგაც, რადგანაც უამწარწეროდ მისი საფასე გასავალს მუზობელ ქვეყნებში ვერ ნახავდა.

ამგვარად, დავითის დროს ვერცხლის თეთრი შედარებით ნორმალურ ძველ წონასთან უკვე ექვსჯერ იყო შემცირებული. სპილენძის საფასეზე გადასვლის შემდეგ თეთრის ერთეული კიდევ უფრო შემცირდებოდა. (სახელი „თეთრი“ რჩებოდა სპილენძის ფულისთვისაც, როგორც ეს ჩანს თამარ მეფის დროინდელ სპილენძის მონეტებიდან, რომელთაც წარწერა აქვთ — ეს ვერცხლიაო, ე. ი. ვერცხლი).

საფასის ერთეულის ასეთი დეფლაცია საერთაშორისო ბაზარს ვერ მოატყუებდა. საერთაშორისო და შინაგანი ვაჭრობის დროს ასეთ მონეტებს ლებულობდნენ ლითონის რაობისა და წონის მიხედვით. მაგრამ შიგნით ნაკლები წონის მონეტების ყოველი გამოშვებისას, მართებლობას თავის ვალდებულებათა ასეთი წონაშემცირებული საფასით განაღდება ად-

¹ Д. Капавалдзе. Грузинская нумизматика, Тбилиси, 1955, стр. 55—56. Е. П. Хомов. Монеты Грузии. СПб, 1910, стр. 19.

ლევდა თვალსაჩინო მოგებას, რასაც ირველია, მოსახლეობის ხარჯზე, რომელიც ამ შემთხვევაში ერთდროულად ყოველთვის წაგებული რჩებოდა, რადგანაც ფასების შესწორებას მონეტის წონის შემცირებასთან მაინც სჭირდებოდა. პიკ-ლიონისა
თუნდაც ძლიერ მცირე, ურო.

საფასის ასეთი ხშირი შემცირება ბუნებრივად იწვევდა ანგარიშსწორებისათვის მყარი სამონეტო ერთეულის საჭიროებას. ასეთ ერთეულად საქართველოში XII ს-ნეში მიღებული იყო მონეტა ბოტინატი, რომლის სახელი წარმომდგარია ბიზანტიის იმპერატორის ნიკიფორე III ბოტინატის (1071 — 1078 წწ.) სახელიდან. ვფიქრობ, რომ სახელი „ბოტინატი“ ქართველებში შემორჩა ნიკიფორე III-ის დროინდელ სამმაგ დრამას. ეს იყო ძველი სრულწონიანი დრამა, რომელიც XII ს-ნეში ანგარიშსწორებისათვის დამკვიდრდა, როგორც მუდმივი ერთეული.

ასეთ ღონისძიებას დაეითის მართებლობა მიმართავდა თურქ-სელჯუქიანთაგან თავდაცვისათვის სათანადო სახსრების მოსაპოვებლად. როგორც ეტყობა, დაეითს ადრევე (არა უგვიანეს 1110 წლისა) უკვე ჰყავდა თავის სამსახურში ევროპელი ჯვაროსანი რაინდები, უმთავრესად ფრანგები, რომელთაც დაეალებული ჰქონდათ ქართველ მოყმე-რაინდთა ჯარის შექმნა დასავლეთ ევროპულ წესთან მიხლოვებით (შეად. ნ 16). დიდგორის ომში ეს აშკარად გამოჩნდა.

რა პირობით უნდა ყოფილიყვნენ საქართველოში ჩამოსული ფრანგი რაინდები და რამდენი ჯდებოდა მათი შენახვა? პოლწეულია ხელშეკრულება, დადებული 1113 წელს ინგლისის მეფე ჰენრიხ I-სა და ფლანდრიის გრაფ რობერტს შორის. გრაფი ვალდებულებას კისრულობდა მიეცა ინგლისის მეფისათვის ყოველ წელს ათასი რაინდი, თითო ორ-ორი ცხენით, 400 მარკად წელიწადში. ინგლისის მეფე ვალდებული იყო უზრუნველყო ეს დაქირავებული რაინდები სურსათით და აენახლურებინა მათთვის შესაძლებელი ზარალი თავისი საკუთარი ამალის (familia) მსგავსად. 1163 წელს ეს ხელშეკრულება განახლებულ იქნა იმ პირობით, რომ ინგლისის მეფეს უნდა გადაეხადა ფლანდრიის გრაფისათვის წელიწადში ყოველ ათ რაინდზე 30 მარკა.

საფრანგეთის მეფე ფილიპე ავგუსტი (1180 — 1223 წწ.)
ყოველ დაქირავებულ რაინდს უხდიდა თვეში 3 ოქროს,
ლიწადში 36 ოქროს. ამის მიხედვით დაქირავებული რაინდი
თავისი მეაბჯრეებით და მოსამსახურეებითა და
დაჭლებოდა სულ ცოტა 81 (თითო მისხლიანი) ოქროს
წადში.

ამიტომ საქართველოში მყოფი ორასი ფრანგი რაინდის
დაქირავება წელიწადში ეღირებოდა დაახლოებით 16 ათასი
ერთმისხლიანი ოქროს, სურსათ-სანოვავის გარდა. ამასთანავე,
დავით მეფეს უნდა გადაეხადა იერუსალიმის მეფისათვის ამ
რაინდების გამოსაშვებად რაღაც თანხა (არა დიდი).

რა რესურსები ჰქონდა ამ დროს საქართველოს, არაა
ცნობილი. მემატიაწე არსენი გადმოგვცემს, რომ დავითმა
ერთხელ მისცა „თუსსა მოძღვარსა იოვანეს ღრაჰქანი ვითარ
ოცდართხი ათასი, რათა განუყოს ჳლაბაკთა“ („ქართ. ცხოვრ.,
I, გვ. 353). არსენი, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ეს თანხა და-
ვითს გაუღია არა „გელოსანთაგან მორთმეულისგან ან საჭურჭ-
ლით“ (ე. ი. მოხელეთაგან შემოსულიდან ანდა ხაზინიდან),
არამედ ველთა თუსთა ნადირებულთა“. მაგრამ ეს უნდა იყოს
მხოლოდ არამნიშვნელოვანი დეტალი. ისე კი დავითს ამ შემ-
თხვევაში უნდა გაეღო სახელმწიფოს მიერ საქველმოქმედო
მიზნებისათვის განკუთვნილი მთელი შემოსავლის ათისთავი
(მეათედი).

ამის მიხედვით, ფულადი შემოსავალი სახელმწიფოს უნდა
ჰქონოდა (24 ათასი $\times 10 =$) 240 ათასი ოქროს. დავითის მო-
ძღვრად იოანე იყო არსენზე ადრე, ე. ი. 1114 წლის წინ. ხე-
ნებული ცნობა ამიტომ უნდა ეკუთვნოდეს 1110 — 1113
წლების ახლო დროს. შემდეგში სახელმწიფოს ფულადი შე-
მოსავალი მეტიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ამასთან ერთად,
ხარჯებიც მატულობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სა-
ქართველოში გადმოყვანილ იქნა ყივჩაღთა ჯარი. დიდგორის
ომში ხომ ოსების დაქირავებული რაზმიც ლებულობდა მონა-
წილეობას. დავითი ანდერძად უტოვებს თავის შვილს დემეტ-
რე მეფეს, რომ რაც შე მონასტრები გამიმწარებია, შენ აუნა-
ზღაურე მათ ზარალით. ცხადია, რომ დავითი იძულებული
გამხდარა მონასტრების მამულებს შეხებოდა განსაკუთრებით

1118 წლიდან, როდესაც ის უკვე შეუდგა მზადებას თურქების წინააღმდეგ მოსალოდნელი დიდი ომის საქართველოდ

22. ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლება
დის საქართველოს მმართველი წრეები განიცდებდნენ ბიზანტიის იმპერიის ერთგვარ გავლენას. კონკრეტულად ამ გავლენის ერთ-ერთი გამომხატველი იყო ის გარემოება, რომ საქართველოს მეფეები აქამდის ატარებდნენ ბიზანტიის იმპერატორის მიერ ბოძებულ მაღალ ხარისხებს. ბაგრატ III იყო კურაპალატი. ბაგრატ IV ჯერ იყო კურაპალატი, შემდეგ სევესტოსი და შემდეგ კიდევ ნოველისიმოსი; გიორგი II-ს ჰქონდა კიდევ უფრო მაღალი ხარისხი კესაროსისა, ხოლო თვით დავითი ჯერ კიდევ მემკვიდრედ ყოფნის დროს, ბავშვობისას (1082 წელს) ატარებდა კურაპალატის წოდებას. გიორგი II მოკვდა 1112 წელს და დავით მეფე უკვე აღარ თხოულობს ბიზანტიის იმპერატორისაგან რაიმე ახალ საპატიო წოდებას. ამიერიდან საქართველოს მეფეები არც ატარებენ ბიზანტიურ რაიმე საპატიო ხარისხს. დავითმეფე შემოიღო მეფის ხარისხის აღსანიშნავი ახალი გვირგვინი ბიზანტიურისდაგვარად მარგალიტების ორი კავით შემკული. ამით უნდოდათ აღენიშნათ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სრული დამოუკიდებლობა და მდგომარეობით მისი მიახლოება ბიზანტიის იმპერატორის მდგომარეობასთან.

ქართული ფული, რომელიც მანამდის იჭრებოდა, ააშკარავებდა ბიზანტიურ ფულთან ერთგვარ მსგავსებას. ამიერიდან ეს მსგავსებაც მოისპო და ქართულმა ფულმა მიიღო თავისებური ხასიათი.

23. ახალი სახელმწიფო დროშა. საქართველოს სახელმწიფო დროშა ვახტანგ გორგასალის დროიდან იყო თეთრი ფერის, წითელ არშია შემოვლებული. ამ დროშას ინახავდნენ დიდი სიფრთხილით. ის XII ს-ნეშიც დიდ ლაშქრობათა დროს მიჰქონდათ ჯარის წინ. დავითმა დამატებით შემოიღო კიდევ ახალი სახელმწიფო დროშა, მწვანე ფერისა, წმ. გიორგის გამოსახულებით. ეს დროშა, რომელიც იწოდებოდა სეფედროშად, ამიერიდან წინ უძღვებოდა საქართველოს ლაშქარს.

XIII ს-ნეში ეს დროშა დაიტოვა დასავლეთ საქართველოს მმართველმა მეფემ დავით რუსუდანის ძემ და შემდგომში ის იმერეთის მეფის პირადი დროშა გახდა. ის (დროშა) დაიღუპა 1811 წელს, ახალციხის გარემოცვის დროს, მონაწილეობას ლეზღულობდა რუსების მიერ იმერლების რაზმი.

ამ დროშის შემოღებას დავითის დროს ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მასზე წმ. გიორგის გამოსახულების გამო ბიზანტიის ბერძნებში საღაპარაყო ენაზე და მათგან დასავლეთით — ევროპელებშიც ფეხი მოიკიდა ქართველების ახალმა სახელმა — გეორგიელები.

24. თბილისის საამიროს სტრუქტურული ხასიათი.

X ს. არაბი ავტორების ცნობებიდან ჩანს, რომ თბილისის საამიროს სათავეში იდგნენ ამირა და შეიყები (მოხუცი, უფროსები). განჯის საამიროში ამირასთან მყოფ დარბაზისელებს XI ს. ქართველი მემატიანე „თავადებად“ (ე. ი. მეთაურებად, უფროსებად) იხსენიებს („ქართ. ცხოვრება“, I, გვ. 312). თბილისის ამირასთან კი ქართველივე მატიანის დამოწმებით იყვნენ ეგრეთ წოდებულნი „ქალაქის ბერნი“ (იქვე, გვ. 299). „ბერი“ ნიშნავდა მოხუცებულს, უხუცესს და, მაშასადამე, უფროსსაც. ქართულ ტერმინს „ბერი“ კავშირი აქვს იმავე მნიშვნელობის სპარსულ „პირ“ („ფირ“-თან და არის არაბული შეიხის პირდაპირი შესატყვისი. მმართველი ფენა საამიროში X — XI ს-ნეებშიც შედგებოდა არაბ-სპარს მაჰმადიანთაგან. სახელწოდება „ტფილელნი ბერნი“ (ასეა „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ნუსხაში; „ქართ. ცხოვრ.“, I, გვ. 299, სქოლიო) ქართული წარმოშობისა უნდა იყოს და უნდა მოდიოდეს არაბების წინააღრთიდან. იბნ-ჟაკიბი (XII ს.) იხსენიებს 1062 წლისათვის განჯის და არრანის ამირას აბუ-ლ-ის-ვარს, რომელთანაც გამოცხადდა თბილისის „კეთილშობილთა“ (არაბულად — აიან) ჯგუფი და მიიწვია ის თბილისის ციხის დასაკავეებლად. ესევე პირნი იმავე ავტორს მოხსენებული ჰყავს წარჩინებულთა სახელით.

თამარის მატიანეში, XIII ს. დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით, მოხსენებული არიან „ყადნი, ზოჯანი (სასულაერო

პირნი) დარვეშნი (მწიარნი) და ყოველნი თავადნი თავარეზი-
სანი“ („ქართ. ცხოვრება“, II, გვ. 106). იქვე კიდევ თავარეზის
ეს „თავადნი“ მოხსენებულნი არიან როგორც „წარჩინებულ-
ნი“ (იქვე, გვ. 105).

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ 1184 წელს თამარის პირველი მემკვიდრის მიერ იხსენიება,
როგორც „მკდრი ტფილისისა“ და „თავადი“ „მეფეთ მეფი-
საგან (იგულისხმება გიორგი III-ის მიერ) წყალობა გელდას-
ხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა“ (იქვე, გვ. 36).

არავითარი ეჭვი არაა, მაშასადამე, რომ თბილისის საამი-
როშიც XI ს. ქართული ტერმინით მოხსენებულნი ტფილელნი
ბერნი არიან იგივე კეთილშობილნი და წარჩინებულნი უფრო-
სები (თავადები). ესენი შეადგენდნენ, მაშასადამე, ბატონური
მდგომარეობის მქონე მაჰმადიანურ ფეოდალურ მაღალ წრეს.
მათ ჰქონდათ მიცემული იტაები, ხოლო იტა „სიასეთ-ნა-
მეს“ (XI ს.) მიხედვით, ნიშნავდა ფეოდალურ რენტას, რომე-
ლიც გამოიხატებოდა გარკვეულ გლეხებზე თუ სოფლებზე
საბელმწიფოს მიერ განსაზღვრული მიწისა და სხვა გადასახი-
დების თავის სასარგებლოდ აღების უფლებაში. იტას მფლო-
ბელს ერქვა მუქტ-ი. ამისი პირდაპირი შესატყვისი ქართული
ტერმინი იყო, როგორც ეს XI ს. ქართული მატეანიდან ჩანს,
საკარგავი, რომლის მფლობელს ერქვა მოსაკარგავე.

ცხადია, რომ ამირას ხელქვეით მყოფ მაჰმადიანურ ბატო-
ნურ წრეს, მუქტებისაგან შემდგარს, ფეოდალური ექსპლუ-
ატაციის ქვეშ ჰყავდა უმეტესად თბილისის საამიროში შემა-
ვალი ქართული სოფლები.

ალ-ფაეჰის ცნობიდან ჩანს, რომ განჯის საამიროში ამი-
რას შემდეგ (იგულისხმება ყადის გამოკლებით) პირველი პი-
რი იყო ეჯიბი. ეს ძველისძველი ტერმინია და მოდის ასურუ-
ლი სამყაროდან, თუმცა იყო არაბულშიც. ვახტანგ გორგასა-
ლის დროს საქართველოში სპასპეტი და ეჯიბი, მეფის შემდეგ,
მთავარი მმართველები იყვნენ. XI ს. ანჯის საამიროში ეჯი-
ბი უნდა ვიგულისხმოთ იმავე ვაზირად, და ასე უნდა ყოფი-
ლიყო თბილისის საამიროშიც, მაგრამ მისი ტიტული აქ, რო-
გორც ეტყობა, იყო ამირი.

ზოგი რამ შეიძლება გარკვეულ იქნეს თბილისის საქალაქო
შინაგანაწესის შესახებ წინა აზრის სხვა ქალაქების მსგავსად.

თბილისი XI — XII ს. თავისი შინაგანი აღნაგობით, გადად მოიცავდა იმავე ელემენტებს, რომელნიც ახსნათურ ნენ სამფლობელოთა მთავარ ქალაქებს ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში და, საერთოდ, წინა აზიაში. რასაკვირველია, თბილისს ჰქონდა მთავარი ციხეც, რომელსაც ერქვა სპარსული სახელი. ციხეში რეზიდენცია ჰქონდა ამირას. ციხის მიმდებარე ადგილებში ცხოვრობდნენ ქალაქის წარჩინებულნი (ბერნი ანუ თავადები). ბაზარი, როგორც ეს ჩანს XIII ს. დასაწყისის სპარსული ავტორის ცნობიდან, მოთავსებული იყო ხიდთან და მის არეში. აქვე იყვნენ, მამასადამე, ვაჭარ-ხელოსნები, როგორც ეს იყო შემდგომ საუკუნეებში და თვით XIX ს. დასაწყისშიც. ქალაქის განაპირა ადგილებში ცხოვრობდნენ მიწის მუშაკნი — გლეხები.

თბილისში ციხისა და მისი გალავნის გარეთ მდებარე ადგილები ეკავა სავაჭრო და სახელოსნო საქმიანობით დაკავებულ მოსახლეობას. ხელოსნები შეკავშირებული იყვნენ ასნაფებად (არაბული ტერმინია), იგივე ჰამქრებად (სპარსული ტერმინია), რომელთა სათავეში განჯაში იყვნენ რაისები. ისე იყო, როგორც ჩანს, თბილისშიც, რადგან გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში თბილისის მიმართ იხსენიება „საამირო, საამილო, სარაისო და სამუსტასიბო“ გადასახადები. ეს გადასახადები, საფიქრებელია, იქნებოდა XI ს. არაბებისა და თურქების დროს, მით უმეტეს, რომ აღ-ფარაიის სიტყვით, მის დროს, 1154 წელსაც, თბილისის მაჰმადიანებს ჰქონდათ ის პრივილეგიები, რომელნიც მათ დაუტოვა დავით აღმაშენებელმა 1122 წელს თბილისის აღების შემდეგ (იხ. § 41). ჩანს, რომ XII ს. შინაგანი სტრუქტურაც ქალაქ თბილისის მოსახლეობისა, ზოგადად, წინანდელი სახით იყო დარჩენილი, იმის გარდა, რომ ახლა მმართველ და ხელმძღვანელ ფენას ქალაქში და ქალაქთან დაკავშირებულ ტერიტორიაზე მეტ წილად თურქების მავივრად ქართველები შეადგენდნენ. სპარსულ-არაბული მოსახლეობა კი დარჩა იმ პირობებში, რომელშიაც იმყოფებოდა 1081 — 1121 წლებში, თურქი ამირების დროს.

გიორგი III-ის სიგელში, 1170 წელს, თბილისის მოსახლეობისათვის არსებულ გადასახადთაგან საამირო, ცხადია,

განკუთვნილი იყო ამირას (გიორგი III-ის დროს უკვე გან-
თვლილი ამირას) სასარგებლოდ. საამიღო გადასახადი კი ამი-
რას შემდგომი პირველი პირისათვის რჩება. კიდევ განსაკუთრე-
ვია სარაისო და სამუსტასიბო გადასახადები.

სარაისო გადასახადი, ცხადია, განკუთვნილი იყო რაისი-
სათვის (არაბ. „რაის“ — მეთაური), რომელიც ცალ-ცალკე
ჰყავდა ყოველ ასნაფს. აღ-ფაეიბის მიხედვით განძაში (გან-
ჯაში) ზოგ რაისს ჰყავდა ცხენოსანი მსახურნიც. თუნდაც რომ
ეს მსახურნი თვით ასნაფების მიერ ყოფილიყვნენ მიცემულ-
ნი, ცხადია, რომ რაისებს ძალაც ექნებოდათ და გავლენაც.
საფიქრებელია, რომ რაისები უახლოვდებოდნენ დიდ ეაქარ-
თა კონტინგენტს და, შესაძლებელია, ზოგი მათგანი თვით
დიდ ეაქართა წრეს მიეკუთვნებოდა.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ დიდ ეაქრებს ჰყავდათ
თავისი ეაქართ უზუცესი, რომელიც მათ გაუძღვებოდა მეფის
დარბაზში მისალოცად რომელიმე დიდი უქმის (მაგალითად,
ახალწლის) დღეს. ეაქართ უზუცესის ცოლი კი ასეთ დღეს
უძღვებოდა დიდ ეაქართა ცოლებს.

ანალოგიური მდგომარეობა იქნებოდა თბილისის საამი-
როშიც, სადაც რაისების ზემოთ იქნებოდა ეაქართ უზუცე-
სიც. ეაქართ უზუცესის სასარგებლოდ გადასახადი არ იყო
დადებული.

რაც შეეხება მუსტასიბს (არაბულივე ტერმინია, ნიშნავს
წესრიგის მეთვალყურეს), ეს იყო საპოლიციო საქმის უფრო-
სი და სამუსტასიბო გადასახადი, ცხადია, განკუთვნილი იყო
მისთვის და მის მოხელეთა სასარგებლოდ.

ასეთი იყო მოკლედ თბილისის საამიროს სტრუქტურა
XI ს. როგორც ვხედავთ, ის წარმოადგენდა ტიპურ ფეოდა-
ლურ სამფლობელოს მთავარი ციხით, მთავარი და შემოსავ-
ლიანი ქალაქით, ფეოდალური მფლობელობით, გლეხებით
და საქალაქო ეაქარ-ხელოსნებით.

იკტა-ებად (საკარგავებად) გაცემული იყო არა მარტო
გლეხები და სოფლებიც, არამედ ქალაქის საიჯარო შემოსავ-
ლებიც (ეს ჩანს განჯის მაგალითზე, სადაც 957 წლის ახლოს
ქურთების გარეშე ტომის ერთ-ერთ მეთაურს, ალ ფადლს,

განჯაში დამკვიდრების პირობით ქალაქის კარების საბაგო მკო-
მოსავალს პირდებოდნენ).

წინა აზიის თურქი დამპყრობლები თავიანთი სოციალურ-
ეკონომიკური და კულტურული განვითარებით მათ მძიმედ და-
პყრობილ ხალხებზე დაბლა იდგნენ. ისინი იმ დროს მკაცრად
წილად, ეწეოდნენ მომთაბარულ ცხოვრებას. მიქაელ სირი-
ელი, რომლის ცნობა ეხება 1180-იან წლებს, მაგრამ ასახავს
ამიერკავკასიისა და მისი მეზობელი თურქების წინანდელ ვი-
თარებას XI—XII ს. გადმოგვცემს შემდეგს: „თურქმანების
დიდი ხალხი ცხოვრობს კარებში. ზამთრობით ისინი ჩამო-
დიან სირიის სამხრეთით მდებარე ოლქში იმ ველებზე, სა-
დაც არაა თოვლი და ყინული, მაგრამ არის საძოვრები. გაზა-
ფხულზე კი ისინი ადიან ჩრდილოეთისკენ, სადაც პოულობენ
საძოვრებს თავისი საქონლისათვის. ამ ასვლისა და ჩასვლის
პერიოდში გზები ავსებულა მათი მრავალრიცხოვანი პირუ-
ტყვით“.

თურქების წყობილება იყო ადრეულ-ფეოდალური, რო-
მელშიც შერწყმული იყო ფეოდალური წყობილების ძირითა-
დი საფუძვლები საზოგადოებრივი ურთიერთობის პატრიარ-
ქალურ ფორმებთან გვაროვნული გადმონაშთების შენარჩუ-
ნებით. ნაწილობრივ ისინი ამ დროს ზღებოდნენ ბინადარ
ხალხად, მაგრამ ეს პროცესი მიდიოდა ძლიერ ნელა. მიწის
მფლობელობა იყო საგვარო (გვაროვნულ) პრინციპებზე. ამი-
ტომ ბატონყმური გვარის ყოველი ბატონიშვილი მოითხოვდა
თავისთვის საუფლისწულოს და ღებულობდა კიდევ მას.

თურქებში არსებობდა მონობაც, რომელიც საოჯახო ხა-
სიათისა იყო. მათ ჰყავდათ თავდასტმების შედეგად ბევრი
ტყვეები, რომელთაც ყიდდნენ მონებად, თავიანთ ბინადარ მე-
ზობლებზე.

მომთაბარენი ბინადარ მოსახლეობაზე უფრო მეტად საკი-
როვდნენ ვაჭრობის გაძლიერებას და ეს, თავის მხრივ, აპი-
რობებდა მომთაბარეთა შორის ეკონომიკური და, ამასთან და-
კავშირებით, სოციალური დიფერენციაციის ზრდას¹.

¹ თურქული ტომების შესახებ იხ.: Р. Гусейнов. К истории тюрков XI—XII вв., Труды Института истории Азерб. ССР, XI, стр. 110—114
Л. Потапов, О сущности патриархально-феодалных отношений у кочевых народов Средней Азии и Казахстана, Вопросы истории, 1954, № 6, стр. 89.

თბილისის ამირას, არაბების დროს, და, მით უმეტეს, თურქების დროს ისე, როგორც სხვა მბრძანებელთა და ამირების, თან ახლდნენ მისი ტომის პირნი, თავიანთი ოჯახებით. ამის მიხედვით თითქმის დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ თბილისს 1081 წლიდან სათავეში ედგა ერთი რომელიმე თურქმანი თავისი ტომის ნაწილით. ასეთი ტომი შეგნით იყო უკვე დიფერენცირებული. მაშასადამე, ამირასთან (ამ შემთხვევაში თბილისის თურქმან ამირასთან) იქნებოდნენ დაწინაურებულნი ანუ წარჩინებულნი თურქმანები და ჩვეულებრივი რაზმელებიც. ყოველ შემთხვევაში, ამ დროს თბილისში შეიქმნა თურქმანთა დიფერენცირებული ფენა, რომლის ზედა ნაწილი შეადგენდა თურქ-ამირას დარბაზს, დარბაზის ერს.

რაც შეეხება წინანდელ დარბაზის ყმათ, მათგან ახლა დგებოდა ცალკე რაზმი (ჯარი), როგორც ეს იყო განჯაში. შემდეგ მიდიოდნენ ქვეშევრდომნი, რომელთაგან პირველი ადგილი ეკავათ დიდ ვაჭართ. დიდ ვაჭრებად იწოდებოდნენ როგორც მსხვილი კომერსანტები, ისე აგრეთვე მსხვილ სახელოსნო საწარმოთა მქონენი. მაგრამ რადგანაც სახელოსნო წარმოება მაშინდელი ტექნიკის ბაზაზე ჩვეულებრივ წერილი იყო, ამიტომ მსხვილი სახელოსნო წარმოებანი იშვიათობას წარმოადგენდნენ. ქართველი მემატიანე 1121 წლისათვის თბილისში, განჯაში და დმანისში სულთანის ორიენტაციის ფენებად იხსენიებს თურქმანებს და ვაჭრებს (იგულისხმება დიდ ვაჭრებს) „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 340). მმართველი ფენა შედგებოდა თურქმანებისაგან. შ. მესხიის აზრით, მას შემდეგ, რაც თურქ-სელჯუკიანებმა დაიკავეს თბილისი და შიდა ქართლიც, იწყება თბილისის საქალაქო კომუნის არსებობა და გრძელდება 40 წელიწადი. 1081—1121წწ., ვიდრე ქართველების მიერ თბილისის აღებადღე. ის ამტკიცებს, რომ ჯაფარიანთა დინასტიის გადასვლის თუ გაუქმების შემდეგ თბილისს 40 წელიწადი განაგებდნენ ქალაქის მცხოვრებნი, რომელთაგან თითოეული მმართველობას სათავეში ედგა თითო თვეო¹. მაგრამ ცნობა ამ საზიო, ძნელი დასაჯერებელია,

¹ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბილისი, 1962, გვ. 67 და შემდეგ.

რომ 40 წლის მანძილზე თითო თვე ახალ-ახალი მმართველები პირნი ყოფილიყვნენ ქალაქის სათავეში. როგორც ქვემოთ ნაჩვენები იქნება, ეს ცნობა სხვადასხვა დროს ეხებებოდა ქვემოთ გვარად უნდა იქნეს გაგებული (აქ იგულისხმება სქამლის მთავარ წლების ვითარება).

ცნობილია რომ, როდესაც 1080 წელს თურქ-სელჯუკებმა საშინლად ააოხრეს საქართველო და ძლიერ დააზარაღეს ქართლი, 1081 წლიდან საქართველოს სამეფოს საზღვარი გადაიოდა ლიხის მთაზე. ქართლის მოსახლეობის დიდი უმეტესობა ამოწყდა. მომთაბარე თურქმა (თურქმან) ტომებმა, როგორც მოხსენებული იყო, თავიანთი საქონელ-პირუტყვით მოიცივეს შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და კუხეთი მდ. იორის ხევის ჩათვლით. მაშინ თურქებმა დაიკავეს თბილისიც. როგორც ჩანს, თბილისის ამირად ჯაფარიანთა წინანდელი დინასტია სწორედ 1080 — 1081 წლის ამბების შედეგად გაქრა. ამის შემდეგ, დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დავითის დროს თბილისსა და მის მხარეს ყოველთვის თურქების ხელში მყოფად იხსენიებს.

ამგვარად, 1081 წლიდან ქართლის მეტ ნაწილზე დამყარდა თურქების ბატონობა. ცნობილია, რომ თურქებში, რომელნიც მეტ წილად მესაქონლეობით ცხოვრობდნენ, ძლიერი იყო გვაროვნულ-თემობრივი და ტომობრივი ცხოვრების ნორმები, რომელნიც შერწყმულნი იყვნენ ფეოდალური წყობილების ნორმებთან. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ, მაგალითად, ცალკეულ თურქ ტომებს და თემებსაც თავიანთი საჭიროებისათვის გარკვეული პირობებით ეძლეოდათ საძოვრებად განსაზღვრული ტერიტორიები. თემებისა და ტომების მეთაურები ითვისებდნენ ფეოდალურ მებატონეთა უფლებებს და სხვ.

ბუნებრივია, რომ თურქ-სელჯუკიანთა სასულთნომ მოაწყობა ახალი ფეოდალური სამფლობელო თბილისსა და მის მხარეში, მის სათავეში თურქების დაყენებით. ეს იქნებოდა ტომი თურამდენიმე თემი, რომელთა სათავეში თავთავისი მეთაურები იდგნენ. აღ-ჯოზის ცნობის გათვალისწინებით გამოდის, რომ თბილისის სამამბროს სათავეში ჩაუდგა რომელიღაც თურქული ტომის თავისთავითი მეთაური ანდა სულთანის მიერ და-

ყენებული წარჩინებული თურქი. ამ ტომის მიერ უზრუნველყოფილი იყო თბილისისა და მისი მხარის დასაცავად სპარს მუღმივი ძალის გამოყვანა. წინანდელი დარბაზის ყმანი ახლა თვალსაჩინოდ, თუ მთლიანად არა, შეცვლილ განგაღობებით.

რაც შეეხება ვაჭრებს და ხელოსნებს, ისინი, ქრისტიანების (ქართველებისა და სომხების) და აგრეთვე ებრაელების გარდა, მეტწილად შედგებოდნენ სპარს-არაბებისაგან (მცირედ შეიძლება მათში იყვნენ თურქმანებიც). ამგვარად, ზოგადად, ამ ხანაში მმართველი ფენა განირჩეოდა ვაჭარ-ხელოსანთა უმეტესობისაგან, რელიგიური ერთიანობის მიუხედავად, ტომობრივად და, მამასადამე, ენობრივადაც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული ერთიერთობის ენად სელჯუკიანთა სახელმწიფოში ითვლებოდა სპარსული ენა. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა დავით მეფის მიერ თბილისის აღებისას, 1112 წელს. მათე ედესელის სიტყვით, დავითმა ამ დროს დახოცა ხუთასამდის კაცი თბილისის დამცველი. ცხადია, ესენი იქნებოდნენ დიდად დიდი უმეტესობით თურქმანები. ამავე დროს, აღ-ფარიკის სიტყვით, დავითი მოურიგდა თბილისის მამადიანებს და შეუქმნა მათ რიგი პრივილეგიები. ცხადია, დავითი, რომელიც გაშმაგებით ებრძოდა თურქმანებს, პრივილეგიებს აძლევდა არა მათ, არამედ თბილისის ძველ მობინადრე სპარს-არაბთა მოსახლეობას (იხ. § 40—41).

თურქების ძალადობის გამო ქართლში განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა პირველ 12 წელიწადს, 1081—1092 წლებში. ამის შემდეგ მდგომარეობამ იწყო გაუმჯობესება, უფრო 1098—1099 წლიდან, როდესაც დავითს უკვე დიდი რაოდენობით ჰყავდა ახალი ჯარი, რომელზედაც დამყარებით მან შეწყვიტა ხარკის მიცემა თურქებისათვის. ამასთანავე, დავითმა განდევნა მომთაბარე თურქები ქართლის მეტი ნაწილიდან. „თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს (შიდა) ქართლს“, დავითის მემკვიდრის სიტყვით („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 326). როგორც მემკვიდრის ცნობიდან ჩანს, ისინი აეკალას და დიდომს ჩრდილოეთით ზამთრობით თავიანთი ფალანგებით ველარ გადმოდიოდნენ. მდგომარეობა გაუმჯობესდა იმდენად, რომ 1103 წელს უკვე შესაძლებელი შეიქნა

საეკლესიო კრება რუის-ურბნისის არეში მოწყობილყო-
ქართველებმა 1110 წელს ჯერ აიღეს სამშვილდე და შემდეგ
შემდეგ 1116 წელს აიღეს რუსთავი.

ეროვნული

ბიბლიოთეკა

25. თბილისის საამიროს მდგომარეობის განმარტება

თურქების ხელში. რუსთავის დაკარგვის გამო, მემატიანის სიტყვით, „დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიღობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსტეარნის (მოათვალიერა) შეფემან რომელთა მოსრვა ეგებოდის, და უგრძნეულად დაესხმის და მოსწყდნის. და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქვას“ („ქართ. ცხოვრება“, I. გვ. 333).

რუსთავის დაკარგვის შემდგომ, 1116 წელს თურქები თავიანთი ხარგებით (კარგებით) წამოვიდნენ საქართველოს საძოვრების დასაკაეებლად დიდძალი რაოდენობით, სულ დედამწუღიანად (ასე უნდა გავიგოთ მემატიანის სათანადო ცნობა, იქვე, გვ. 333), თითქმის ორასიათას სულამდე. მაგრამ დავითმა დაამარცხა თურქები ჯერ კიდევ სამხრეთ საქართველოში და გააფანტა ისინი. ამის შემდეგ თურქების მდგომარეობა ქართლში სასოწარკვეთილი შეიქნა. მათ მხოლოდ თბილისი ეკავათ ქალაქის სამხრეთით მკირეოდენი ტერიტორიითურთ. თი ასეთ პირობებში, ალ-ფარიყის სიტყვით, თბილისის „მცხოვრებთ“ მიმართეს დახმარების თხოვნით სულთან მუჰამედ-შაჰის შვილის თოღრილს, რომელიც ამ დროს განსჯას და არიანს განაგებდა (მუჰამედ-შაჰი მოკვდა 1118 წელს, ხოლო ეს თოღრილი შემდეგ, 1132 — 1133 წლებში, ერაყის მბრძანებელიც იყო).

ალ-ჯოზი ამ ამბავს სხვაგვარად გადმოგვცემს. დეფრემერის ფრანგული თარგმანით. თოღრილისთვის დახმარების თხოვნით მიუმართავთ, არა თბილელებს, არამედ თბილისის თავადებს (მეთაურებს). ცხადია, რომ ეს ცნობა, ისე, როგორც ცნობა ძველების (მოხუცების) სიყვდილისა და ახალგაზრდების მიერ მათი შეცვლის შესახებ ალ-ჯოზის სხვა წყაროდან აქვს ამოღებული. ცნობა გულისხმობს არა ჯაფარიანების გაქრობას 1080 — 1081 წლებში, არამედ 1116 წლის ახლოს თურქთა გვირიდან იმ ძველების (ე. ი. უფროსების)

სიკედლის, რომელთა შემცველად მათი ახალგაზრდა ძეგლები დარჩენილან (უფრო ჭეღვანი ამ გვარიდან რ. იყვენა/ეს იმას ნიშნავს, რომ 1081 წლიდან 1116 წლამდე თბილისის საამიროს განაგებდნენ სათანადო გვარის ერთი ^{განაგებდნენ} რომელთაც უკანასკნელად ერთი მეორის შემდეგ მიჰყვია, ვთქვათ, ორი-სამი ძმა. მხოლოდ ამათ, 1110—1116 წლებში, დარჩენიათ, ვთქვათ სამი-ოთხი ვაჟი, რომელნიც ყველანი ახალგაზრდები ყოფილან. აი ამ ახალგაზრდა მთაერებმა, რომელნიც ყოველ თვე რიგრიგობით ცვლიდნენ ერთმანეთს, მიმართეს დახმარების თხოვნით სულთანის შვილს, განჯისა და არჩანის მფლობელს თოღრილს.

თოღრილმა, ალ-ფარისის და ნაწილობრივ ალ-ჟოზის სიტყვით, გაუგზავნა მათ თავისი შიპნე (მეთვალყურე, მმართველი). მაგრამ ამითაც არაფერი გამოვიდა. მაშინ თბილისის საამიროს თუქმანების ხელისუფლება იძულებული გახდა საქართველოს მიმართ დათმობაზე წასულიყო. დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად თბილისის საამირო საქართველოს მეფის სასარგებლოდ იხდიდა წლიურად ათი ათას დინარს (ერთმისხლიან ოქროს ფულს). ლოცვა მეჩეთებში ხდებოდა ხალიფასა და სულთანის სახელზე. სულთანის წარმომადგენელი შიპნე თბილისში რჩებოდა, მაგრამ მხოლოდ ათი მხედრის თანხლებით. გადასახადები, ივლისხმება საამირო, უნდა ყოფილიყო მაჰმადიანებზე წელიწადში სამი დინარი, ებრაელებზე — ოთხი დინარი და ქართველებზე — 5 დინარი¹.

¹ ალ-ფარისი ქართველებზე, ებრაელებზე და მაჰმადიანებზე დანიშნულ ამ გადასახადს მიიჩნევს, როგორც დავათის მიერ თბილისის მცხოვრებლებზე დადებულ გადასახადს მას შემდეგ, რაც თბილისი ქართველებმა აიღეს, 1122 წელს. მაგრამ უფრადღებამ იტყვეს ის, რომ ქართველები ამ ცნობის მიხედვით დაჩაგრული გამოდიან. სახელდობრ, ისინი მაჰმადიანებზედაც მეტ გადასახადს იხდიან (5 დინარს, ალბათ თითო კომლზე). ეს კი შეუძლებელია ასე ყოფილიყო, როდესაც ქალაქი უკვე საქართველოს ეკუთვნოდა. ქართული მმართველობა, პრაქტიკით, ეცდებოდა ქართველებისათვის რაიმე პრივილეგიის შექმნასაც, რათა მათი დასახლება და დასაქმება თბილისში გაადვილებული ყოფილიყო. ამიტომ ხსენებული ცნობა ალ-ფარისს არეულად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი და შეცდომით შეტანილი სულ სხვა ადგილას. სინამდვილეში ეს ცნობა უნდა ეკუთვნოდეს იმ დროს, როდესაც თბილისის საამირო გახდა საქართვე-

ამგვარად, თბილისის საამირო ნომინალურად ისევ სულ-
თანის ხელქვეითად დარჩენილა, რასაც ამტკიცებს შინა-
ყოფნა და აგრეთვე სულთანის სახელზე მეჩეთებში ლოცე-
ბის წარმოქმნა. მაგრამ ფაქტიურად საამირო საქართველოს
მოხარკედ ითვლებოდა. ასეთი მდგომარეობა, სიტყვით, კარგა ხანს გაგრძელდა და მას, უნდა ვიფიქროთ,
1116 — 1121 წლებში ჰქონდა ადგილი.

მართლაც, ქართველი მემატიანე აღნიშნავს დავითის დროს
ისეთ ხანას, როდესაც თბილისი „ჯერეთ არა სრულიად შე-
მოყვანებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა
აწ“, ე. ი. 1130 წლის ახლოს, როდესაც არსენი ბერი წერდა
დავით აღმაშენებლის ისტორიას („ქართლის ცხოვრება“, I,
გვ. 349). მაშასადამე, თბილისი ერთ ხანს არა სავსებით, არა-
მედ მხოლოდ ნაწილობრივ ემორჩილებოდა საქართველოს,
ე. ი. მაშინ, როდესაც თბილისის საამირო მხოლოდ ხარკს აძ-
ლევდა დავით მეფეს.

26. მოსახლეობის დაახლოებითი რაოდენობა საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს. საქართველოს მიერ თურქ-სელჯუქიანთათვის წინააღმდეგობის უნარიანობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი

ლოს მოხარკე, მაგრამ შიგ სულთანის მუდმივი წარმომადგენელი (შინე) იმყოფებოდა ხანს, შინაშის არამამადიანებზე თბილისში კიდევ უფრო მეტი გადასახადი იყო დადებული და იმეამდ (ხსენებული ხარკის გადახდის უზრუნველსაყოფად) საქართველოს მართებულობა დათანხმდა ხარკის მისაღებად ხსენებული გადასახადის შეკრებაზე. საქართველოს მართებულობა, რომელსაც, ცხადია, შექმნილი მდგომარეობა მიანიჭდა როგორც დროებითი, მიისწრაფოდა თბილისის სახესებით შეერთებისაკენ, რაც უიშვრად, მაშინდელ პირობებში, ძნელი განსახორციელებელი იყო, და ამიტომ არც იყო დაინტერესებული, რომ თბილისში ქართველები ბლომად ყოფილიყვნენ. ცნობაში, ამასთანავე, გადასახადის მომცემად სომხები სრულებით არ არიან დასახელებულნი მაშინ, როდესაც თბილისის მოამადიანთათვის ახალი პირობების შექმნისას (აღმათ 1122 წელსავე ან 1123 წელს აქ უკვე დასახელებულნი არიან სომხებიც, რომელთაც ისე როგორც ქართველებს და ებრაელებს, აკრძალული ჰქონდათ მაშადიანთა ახანოთი სარგებლობა. აქედან ისიც ირკვევა, რომ თურქების დროს თბილისში სომხები არ ყოფილან, ხოლო როგორც კი თბილისი გადავიდა ქართველების ხელში, მაშინვე იქ სომხებიც მოსულან და დასახლებულან.

ხალხის რაოდენობას მაშინდელი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში (ქართველი ტომები მაშინ განლაგებულნი იყვნენ ამ ფარგლებს გარეთაც ტრაპიზონის მიმართულებით და იმის იქითაც, აგრეთვე იმიერტაოში და თორთუმის მხატვნი) ნაღო მასალების უქონლობის გამო ამ საკითხის სინესტი გადამყვება შეუძლებელია, მაგრამ ზოგადი სურათის წარმოსახვა მაინც შეიძლება.

დასაყვლეთ ევროპაში მსხვილ ფეოდალურ გვარეულობათა უმცროსი წევრები ირიცხებოდნენ მცირე რაინდებად, რადგანაც ყველასათვის არ იყო სახსრები და მოსამსახურე ადამიანთა კონტიგენტი იმ რაოდენობით, რომელიც საქაირო იყო პირველხარისხოვანი რაინდების ეკიპირებისათვის. ეკვს გარეშეა, რომ ასევე იქნებოდა საქართველოშიც, სადაც საშუალო და მცირე რაინდების რიგებში იქნებოდნენ დიდებული თავადების (მეთაურების) ოჯახისა და გვარის წევრნი. ამიტომაც შეთელი წერს მეფე დავითის შესახებ, რომ მას ჰყავსო „გუნდ-მწყობრი დასი, ბეერ ათასი, დიდებულთა დიდგვარ თავადთა“. მოყმენი შესდგებოდნენ მეტწილად დიდებულთა გვართაგან, მხოლოდ ზოგნი მათგანნი იყვნენ პირველხარისხოვანნი, მეაბჯრეთა და მსახურთა საკმაო რაოდენობის მყოლნი, და სხვანი კიდევ იყვნენ საშუალო და მცირე რაინდები.

საფიქრებელია, რომ 2³/₄ ათასი რაინდიდან, რომელნიც თითქოს იყვნენ დავითის დროს, უმეტესობა, ორი ათასამდის მაინც, იქნებოდნენ „დიდებულთა დიდგვარ თავადთა“ ოჯახებიდან. აზნაურნი იყვნენ მეაბჯრეებად და სხვა თანმხლებ პირებად, იყვნენ აგრეთვე მსახურნიც ცხენოსანნი და მცირედ ქვეითნიც, ეს ყველანი თვითეულ რაინდ-მოყმესთან.

XIV — XVI ს. სამცხეში აღრიცხულია 20 სათავადო გვარეულობა. ხოლო, რადგანაც XIII ს-ნის შუა ხანებში მოსახლეობის მზრივ სამცხე საქართველოს სამეფოს საკუთრივ ქართული ქვეყნების (სომხური პროვინციების ჩათვლელად ერთ მეზუთედს უდრიდა, ვლებულობთ ამ ქვეყნებისათვის სულ ეს სათავადო, ანუ მაშინდელი ტერმინოლოგიით, დიდებულთა გვარეულობას. (XVIII ს. მეორე ნახევარში, მაგალითად, იმერეთში ზოგი სათავადო გვარეულობა მოიცავდა 50 ოჯახს). ამის მიხედვით, სათავადო გვარზე XII ს. საშუალოდ

20 პირველხარისხოვანი, საშუალო და მცირე რაინდის გამოყენება სავსებით შესაძლებელი იყო. მაშინდელ პირობებში ბრძოლის საკმარისი იყო 10 — 15 კომლ-ოჯახი: როგორც ვთქვით, ასეთ გვართავან მოყმეებად გადიოდნენ 18 — 50 წლის სწრაფი მამაკაცი, ე. ი. ერთ კომლზე, 1,9 მეომარი (იხ. § 9).

ამგვარად, დავითის დროს რაინდ-მოყმეების მომცემი იყო დაახლოებით ასიოდე გვარი „დიდებულთა დიდ-გვარ თავადთა“, თავისი ათასი-ათასხუთასი ოჯახით ანუ 10—15 ათასი სულით.

როგორც მათე ედესელის ცნობიდან ჩანს, დავითს ქართველებიდან გამოჰყავდა 40 ათასი მეომარი, რომელთაც უნდა მიემატოს დაახლოებით ის 20 ათასი ქართველი მეომარი, რომლებიც უფლისწულ დიმიტრის ჯარში იყვნენ ზემო დიდგორთან (იხ. § 36). სულ გამოდის დაახლოებით 60 ათასი ქართველი მეომარი. აქედან 12 ათასი იქნებოდნენ მოყმე-რაინდები, თავიანთი აზნაურ-მსახურებით (ქვეითი მსახურებით 14—16 ათასი კაცი). რჩება დაახლოებით 45 ათასი მეომარი, რომელთა შორის მცირე რაოდენობით (დაახლოებით 3 ათასი) იქნებოდნენ აზნაურნი (გარდა მათი მსახურებისა) და დანარჩენი (დაახლოებით 40 ათასი კაცი) ფუძეებიდან გამოყვანილი ცხენოსანი მეომრები (თითო ფუძეზე თითო მხედარი). რადგან ფუძე შეიცავდა (იხ. § 9) 2—3 კომლს ანუ დაახლოებით 25 სულს ორივე სქესისას, ამიტომ 40 ათას ფუძეზე შეიძლება ვიანგარიშოთ 1 მილიონი სული, ორივე სქესისა.

ამავე ანგარიშით, რაინდების დაახლოებით 10 ათას მოსამსახურე პირთა და 3 ათას სხვა აზნაურ-მეომართა მიმართ უნდა ჩაითვალოს 325 ათასი სული ორივე სქესისა და დიდებულ-თავადნი 10 — 15 ათასი, ხოლო აზნაურნი — 60 — 70 ათასი, ორივე სქესისა.

სულ უმარაწყლო და დეკლასირებულ პირთა ჩათვლელად (1,4 მილიონი სული, ორივე სქესისა, ხოლო მთელი მოსახლეობა, სამღვდელთა და ბოგანოთა ჩათვლით, გამოდის 1,5 მლნ სულამდის, ორივე სქესისა, ზოგადად, ეს გაანგარიშება უნდა უახლოვდებოდეს სინამდვილეს.

27. უიზნალავის მოწვევა. ამ დროს ყივჩაღებში, ჩო-

მელთაც რუსები პოლოვეცებს უწოდებდნენ, ატყუდ-
უთანხმოება. ყივჩაღების ნაწილი, თავისი მეთაურის ათრაქას
წინამძღოლობით, აიყარა დონის აუზიდან და გადასრტყდა მთა-
ვისი ბარგითა და პირუტყვით, სამთაბაროდ, ჩრდილოეთ კავ-
კასიაში. თურქული მოდგმის ყივჩაღები, როგორც მომთაბა-
რენი, იყვნენ საუკეთესო მეომრები და ცხენოსნები. ქართვე-
ლები როგორც ჩანს, იცნობდნენ ყივჩაღებს. საფიქრებელია,
რომ თუმცა მცირედ იყო ქარავენებით სავაჭრო მიმოსვლა
ჩრდილოეთ კავკასიასთან, ყოველ შემთხვევაში, დავითმა შე-
საძლებლად ჩათვალა ყივჩაღების გამოყენება საქართველოს
ინტერესებისათვის და გადაწყვიტა დამოყვრებოდა მათ მე-
ფეს.

რა ბედი ეწია დავითის პირველ ცოლს, ჩვენ არ ვიცით.
მაგრამ დავითი თავის მიერ დაწერილ „სინანულის გალობა-
ში“ იხსენიებს თავის ცოდვებს და, სხვათა შორის, ამბობს,
რომ მან რაღაც დიდი უსამართლობა ჩაიდინა თავისი ცოლის
მიმართ. ასე იყო თუ ისე, დავითმა მეორე ცოლად შეირთო
ყივჩაღების მეფის ასული გურანდუხტი („ქართ. ცხოვრება“,
I, გვ. 336). ექვს გარეშეა, რომ ამ ქორწინებას ჰქონდა პოლი-
ტიკური სარჩული. დავითმა მიმართა თავის ახალ სიმამრს
თხოვნით, გადმოესახლებინა საქართველოში ყივჩაღების ერ-
თი ნაწილი. სათანადო მოლაპარაკების შემდეგ დავითი თვი-
თონ გაემართა ჩრდილოეთ კავკასიაში, შეუთანხმდა ოსებს
ყივჩაღებისათვის გზის მიცემის შესახებ და, ამგვარად, 1118
წელს გამოიყვანა „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი
ათასი“ ყივჩაღი თავიანთი ოჯახებით. გადმოსულ ჯარს გად-
მოჰყვენენ დავითის სიმამრი და ცოლის ძმებიც. 1123 წელს
ყივჩაღნი კვლავ ააღთვალულ იყვნენ მაშინ, და იყო შებმული
კაცი ორმოცდაათი ათასი“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 337,
343), საგულისხმებელია, უმეტესი ცხენოსანი და ნაკლები კი-
ქვეითი.

ამგვარად, შესაძლებელი შეიქნა ამ ახალი ძალების გამო-
ყენება სამხედრო ოპერაციებისათვის.

საჭიროა გარკვეულ იქნეს, თუ რა უნდა იგულისხმებო-
დეს დავითის შემატიანის არსენის ამ ცნობაში, 40 ათასი ყივ-

ჩალის გადმოყვანის შესახებ საქართველოში. მალე ამის შემდეგ, როდესაც თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის დავითს დასჭირდა მთელი თავისი ძალების მობილიზება, ყივჩაღი მეომრები (იგულისხმებიან რჩეულნი) 15 ათასზე მეტი თ. მეტი აღმოჩნდა (მათე ედესელის ცნობით, დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობდა 15 ათასი ყივჩაღი და ყივჩაღების რაზმი შედიოდა უფლისწულ დიმიტრის ჯარში). ამიტომ ცნობაში 40 და 50 ათასი ყივჩაღის შესახებ უნდა იგულისხმებოდეს მამრობითი სქესის პირნი 10 წლიდან 60 წლამდის (ასევე ანგარიშობდნენ უფრო გვიან, როდესაც მონღოლ-თურქთა მიერ 1254 წელს საქართველოში და მთელს წინა აზიაში ჩატარდა საყოველთაო აღწერა). ამის მიხედვით, საქართველოში დავითის დროს იქნებოდა თავდაპირველად 110 ათასი ყივჩაღი, ხოლო შემდეგ, 1123 წელს — 135 ათასი.

28. თურქების ჯარის ხასიათი. „სიასეთ-ნამეს“ სათანადო თავი სასახლის ღელამების (მონა-მსახურთა) სააღრიცხვო ერთეულად აღიარებს კარაე-ვისაყს, რომელშიც იგულისხმებოდა ოთხი ღელამი. ამ ოთხი ღელამის მფლობელი რაინდი იწოდებოდა ვისაყბაშად¹. (შეად. ქართული „ოთხ-მიზღური“; იხ. ზემოთ, § 9). რასაკვირველია, რაინდს ცხენოსანი ღელამების გარდა ეყოლებოდა ერთი-ორი ქვეითი მსახურიც, როგორც ეს იყო ყველგან, ამ ეპოქის ფეოდალურ ლაშქარში.

ცნობილია, რომ თურქებს, როგორც ამ დროს ჯერ კიდევ უმეტესად მომთაბარე ხალხს, ჰყავდათ მსუბუქი ცხენოსანი ჯარი, მაგრამ ჰყავდათ ქვეითი ჯარიც. მიძიმედ შეიარაღებული რაინდები მათ მცირე ჰყავდათ. ფეოდალური ხანის რაინდების ინსტიტუტი შემუშავდა და მუშავდებოდა დასავლეთ ევროპაში. თურქულ ტომებში რაოდენობა ასეთი სახით არ არსებობდა. ამიტომ ვისაყ-ბაშები, ჩანს, ჩვეულებრივი მხედრები იყვნენ, მაგრამ რამდენადმე უკეთესად და უფრო მდიდრულად შეიარაღებულნი.

„სიასეთ-ნამე“ — (§ 19) აღნიშნავს, რომ სულთანის კარზე

¹ Сиясет-наме, стр. 325, прим. 177.

მუდმივად უნდა ყოფილიყო 200 სრული შეიარაღებული მხედარი და 4 ათასი ქვეითი. ამ ქვეითთაგან ათასი რჩებულ მკვლევანდა სულთანის განსაკუთრებულ ჯარს, ხოლო დანარჩენ სამ ათასს შეეძლო საქიროების დადგომამდე ემსახურებინათ საქიროებისა და სიპაჰ-სალარების (სპასალარების) სამსახურში.

სალაშქრო ჯარების სურსათით მომარაგების შესახებ შეიძლება ზოგადად ითქვას შემდეგა:

ამ ხანის არაბულ წყარო „კამელ არტევიარის“-ში წერია, რომ როდესაც ქართველების მიერ თბილისის აღების შემდეგ ილლაზი ფრანგების წინააღმდეგ კრებდა თურქმანების ჯარებს, „მხოლოდ სიზარბე აიძულებდა თურქმანებს მისი დროშების ქვეშ შეყრილიყვნენ. როგორც ყველა ხედავდა, ისინი მოდიოდნენ ხურჯინით, რომელშიც იყო ფქვილი და ერთი გამხმარ-შებოლილი ცხვრის ხორცი ნაჭრებად. ილლაზი იძულებული იყო საათობით ეთვალა დრო ლაშქრობის შესახებ. მიზეზი იყო ის, რომ თუ ლაშქრობა გაგრძელდებოდა, თურქმანები დაიქსაქსებოდნენ, რადგანაც მას არ ჰქონდა მათთვის მისაცემი ფული“.

ერთი გამხმარ-შებოლილი ცხვარი მეომარს შეიძლებოდა ყოფნოდა ოციოდე დღე. შემდეგ ვინმეს რამენაირად, უნდა ეზრუნა ჯარის შენახვისათვის. მხედველობაში მისაღებია, რომ ცხენოსან ჯარს ლაშქრობის დროს არ შეეძლო დღეში საშუალოდ 30 — 35 კილომეტრზე მეტის გავლა, ხოლო სამხრეთიდან თბილისზე სხვადასხვა მიმართულებით მომავალ თურქთა ლაშქარს ამიერკავკასიაში გასავლელი ჰქონდა დაახლოვებით 250 კილომეტრი ან ოდნავ ამაზე მეტიც. ამიტომ სურსათის მინიმუმი თურქების ჯარს თავიდანვე თან უნდა ჰქონოდა.

მომარაგების ანალოგიური სისტემა უნდა ჰქონოდათ ქართველებსაც. დიდგორის ომისათვის ქართველების ჯარი გამოყვანილი იქნებოდა უკვე 1 აგვისტოდან და 15 აგვისტოსთვის მას თავისი სურსათი ჯერ კიდევ საკმაო ექნებოდა.

29. თურქების დიდი გამოლაშქრება საქართველოს წინააღმდეგ. 1118 წელს გარდაიცვალა სელჯუკიანთა საბრძანებლოს სულთანი მუჰამედი, მეორე სახელით ტიფარი

(1105—1118 წწ.), რომლის ადგილი დაიკავა მისმა ძმამ სინჯარმა (1118—1157 წწ.). ეს სინჯარი სულთანად გამოცხადებამდის (ოცი წელიწადი) იყო ხორასანის, ე. ი. აღმოსავლეთ პროვინციის მმართველად. სულთანად გახდომის შემდეგ უკვე დაკმაყოფილდა, ხორასანის ვარდა, თურქ-სელჯუკების ხელმწიფოს აღმოსავლური პროვინციებით. ემორჩილებოდა მას აგრეთვე ლახნელთა სახელმწიფო ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში. მაგრამ თავისი მმართველობის პირველ ხანებში ის თვალყურს ადევნებდა თურქ-სელჯუკიანთა საბრძანბლოს დასავლეთ ქვეყნებსაც და მათ ბედზე მას ერთგვარი გავლენაც ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ, ეს დასავლეთი ქვეყნები გახდნენ ფაქტიურად დამოუკიდებელი. ასე, რომ სინჯარის დროსვე, სელჯუკიანთა იმპერიამ დაიწყო დაშლა — ცალკე მხარეებში გაჩნდნენ დამოუკიდებელი ან თითქმის დამოუკიდებელი სულთანები, იმავე დინასტიის ცალკე შტოთაგან. კერძოდ, ზემოთ დასახელებული სულთან მუჰამედ ტაფარის უფროსი შვილი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, მაჰმუდი გახდა ერაყისა და ადარბადაგანის, გილანის და არჩანის, მაშასადამე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მმართველად, სულთანისავე ტიტულით. მას ჰყავდა ძმა მელიქ-თოღრულ, რომელიც 1121 წელს თორმეტი წლისა იყო. მისი ფაქტიური ხელმძღვანელი იყო მისივე ათაბაგი (აღმზრდელი) ქენ-თოღრი. მელიქ-თოღრულმა, უკეთ, მისმა ათაბაგმა, დაიკავა ადარბადაგანი და თავის რეზიდენციად გამოაცხადა განძაკი (ახლანდელი თაერიზი), ხოლო მის ათაბაგს ქენ-თოღრის ეკუთვნოდა განძა და მისი მხარე. ეს თოღრული ამ ათაბაგ ქენ-თოღრის მეოხებით აუჯანყდა თავის ძმას, ერაყის სულთან მაჰმუდს და ეომებოდა მას. ამიტომაც სელჯუკიანთა სახელმწიფოში შინაური არეულობა და დაშლის პროცესი მეტად შესამჩნევი შეიქნა.

ამით აიხსნება დავით მეფის მოქმედების გაძლიერებული აქტივობაცა თურქების წინააღმდეგ მაშინვე, სულთან მუჰამედ ტაფარის სიკვდილის შემდეგ, 1118 წელს. როგორც გოტიეს ცნობიდან ჩანს (ის ხორასნელ სულთანს იხსენიებს საქართველოზე ლაშქრობის წამომწყებად), თბილელ-დმანელ ვაჭრების დებუტაცია 1120 წელს გამოცხადდა ჯერ ხორასანში, უფროს სულთან სინჯართან, სადაც გადაწყდა საქართვე-

ლოს წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის მოწყობა, ხოლო ამის შემდეგ, თითქოს იგივე დებუტაცია, მივიდა ერაცში სულთან მაჰმუდთან. მაგრამ წინასწარ საჭირო იყო შინაგანი ერთიანობის აღდგენა და მომავალი ლაშქრობისათვის მთავარი პირობების დანიშვნა. რელიგიური მამუღლიანური ფანატიზმის გავრცელებასა და ჯუჯიანთა დინასტიის ღირსების დაცვის საფუძველზე მალე მოხდა მორიგება. სულთანმა სინჯარმა ლაშქრობის ნომინალურ უფროსად დანიშნა თავისი ძმისშვილი გარდაცვალებულ სულთან მუჰამედ ტაფარის მეორე შვილი, თორმეტი წლის თოდრული. ამიტომ მის მაგივრად ფაქტიურად მოქმედებდა მისი აღმზრდელი ათაბაგი ქენ-თოდლი.

ქართველი მემატიანე ამ თოდრულს იხსენიებს მალიქის სახელით და გამოჰყავს სულთანის (იგულისხმება სულთან სინჯარი) ძედ („ქართლის ცხოვრ.“, I, გვ. 340). მაგრამ მალიქი აქ სახელი არ არის. მელიქის (მალიქის) ტიტულს ამ ხანებში და შემდეგშიც ატარებდნენ სელჯუკიანთა სახელმწიფოს მმართველი დინასტიის უფლისწულები. ისტორიკოსი იბნ აღასირი (XIII ს. პირველი ნახევარი) ჩვეულებრივ მელიქის წოდებულებას უმატებს სელჯუკიანთა დინასტიის უფლისწულთა სახელებს. მაშასადამე, როდესაც ქართველი მემატიანე (და მათე ედესელი) თოდრულს მელიქის სახელით იხსენიებენ, მოულოდნელი აქ არაფერია. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ქართველი მემატიანე ცდება, როდესაც ამ მელიქს სულთანის შვილად ასახელებს: როგორც აღვნიშნეთ, ის იყო სულთან სინჯარის ძმისშვილი.

თურქების ლაშქრობა გვესახება შემდეგნაირად.

სულთანმა სინჯარმა დაგზავნა ბრძანება-მიმართვანი ყველგან, დაწყებული ხორასანიდან, ვიდრე სირიამდე, ქარების შეკრებისა და თბილისზე დიდი ლაშქრობის მოწყობის შესახებ. როგორც აღვნიშნული იყო, ლაშქრობის სათავეში სულთანის მიერ ნომინალურად დაყენებული იყო ერაც-განძაკის სულთან მაჰმუდის ძმა მელიქ-თოდრულ, რომელიც თავის ათაბაგ ქენ-თოდლისთან ერთად მართლაც ლეებლობდა მონაწილეობას ლაშქრობაში. ხოლო ფაქტიურ მთავარსარდლად (სპასალარად) დანიშნულ იქნა ნეჰმ-ად-დინ ილღაზი.

ეს ილღაზი (1108—1122 წწ.) იყო თურქ ორთუკთა ჩა-

მომავალი, ათაბაგების დინასტიის დამაარსებელი (ათაბაგები იყვნენ სხვადასხვა მხარეებში დანიშნული სულთანის ნაცვლები), ბაღდადის და ალემოს მმართველ-მფლობელი, მისი რეზიდენცია იყო ქალაქ მარდინში. 1117 წელს კარლდუზში ქვაროსნებს წაართვა ალემო (სირიაში), ხოლო 1121 წელს კარაყისა და განძაკის სელჯუკიანმა სულთანმა მაჰმუდმა (1118—1131 წწ.) დანიშნა ის თავის მოადგილედ მაიაფარიკინში (დიარბექირში).


ილღაზს თავისი ასული გათხოვილი ჰყავდა არაბული ბენე-ასდის, უმთავრესად მომთაბარე ტომის ამირას სადაყ I-ის (1086—1108 წწ.) შვილზე, შემდგომში ამირაზე — ნურ-ად-დაულა დუბეის II-ზე (ეს ტომი XI ს-ის დასაწყისში გადმოვიდა არაბეთიდან და გაიშალა მდ. ტიგროსის მარცხენა სანაპირო მხარედან, ეფრატამდე, ჩათვლით). მთავარი ქალაქი იყო ხილლი, რომლის ადგილზე მანამდის იყო ქალაქი ჭამანა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ილღაზი სავსებით შესაფერის პირს წარმოადგენდა მთავარსარდლის თანამდებობისათვის. მას თვალსაჩინო გამოცდილება ჰქონდა მოპოვებული ქვაროსნებთან ომებში, და ამ მხრივაც ის, სელჯუკიანთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თვალსაზრისით, მომენტისათვის შესაფერისი იყო.

ილღაზი გაემართა განძაკს (თავრიზს) და აქ, სულთან მაჰმუდის კარზე, შემუშავებულ იქნა ჯარების მობილიზებისა და, საერთოდ, ლაშქრობის გეგმა.

ილღაზიმ, როგორც მთავარსარდალმა, შეაგროვა 161 ათასი კაცი თურქთ და არაბთაგან, მცირედ სპარსთაგანაც შემდგარი ცხენოსანი ჯარი — ათი ათასი ცხენოსანი ამთვან დუბეი II-ისა იყო). არზრუმის მხარეში და, საერთოდ, საქართველოსკენ მსვლელობისას ილღაზს შეუერთდა კიდევ 60 ათასამდის, უმთავრესად თურქთაგან შემდგარი ჯარი (ჯარების რიცხვის შესახებ იხ. ქვემოთ, § 30).

ამავე დროს წარმოებდა ჯარების შეგროვება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (განჯაში) და სამხრეთით კიდევ დეინში. განჯაში ჯარი გროვდებოდა ერაყის სულთანის მაჰმუდის შვილის — მცირეწლოვან თოღრილის, მომავალი სულთანის

(1132 — 1133 წწ.) საბელით და არზანის ვანჯის ათაბაგის ქენ-
თოლდის ფაქტიური ხელმძღვანელობით. დვინშიც ~~ქარი~~  ბებოდა ბითლისისა და არზანის (არზრუმის) თურქ ამირა ათუ-
ღან-არსლანის მეთაურობით. ესენი უნდა ჩასულიყვნენ თბილისში და იქიდან შეერთებოდნენ ილღაზის ლაშქარს.

სათანადო მზადების შემდეგ, ჯარები 1121 წლის ივნის-ივ-
ლისში დაიძრნენ საქართველოსკენ შემდეგი მიმართულებით:
თვითონ ილღაზი მთავარი ძალებით სირიიდან გაემართა არ-
ზრუმის მიმართულებით და იქიდან საქართველოსკენ. დაახ-
ლოებით 8 აგვისტოსათვის ეს ჯარი უკვე იმყოფებოდა თრია-
ლეთ-მანგლის-კოჭრის გზაზე და თავს იყრიდა დიდგორების
ძირობისაკენ (არსენას ცნობის მიხედვით, „ქართ. ცხოვრება“,
I, გვ. 341). მსვლელობისას ჯარს ეკავა გზა დაახლოებით 60—
65 კილომეტრის სიგრძეზე. ვერეს წყლის ხეობაზე გასვლი-
სას 30 ათასი ცხენოსნისაგან შემდგარი ჯარი გაემართა დიღ-
მის წყლის ხეობისაკენ და გავიდა დიღმის წყლის სათავედან
დიდგორზე, სადაც იყო გადასასვლელი ზეკორძის და ძეგვის
მიმართულებით.

სულთან მელიქ-თოღრულიც, ათაბაგ ქენ-თოლდისთან ერ-
თად, ლაშქრით გაემართა (განძაზე გავლით) თბილისისაკენ.
მაგრამ მან, როგორც ამირა არსლანმა, დვინიდან მიაღწია თბი-
ლისს ნახევარი დღის სავალის მანძილზე (მაშასადამე, დაახ-
ლოებით 15 კილომეტრზე). როგორც ეტყობა, ამ ჯარმა აქ
დაიკადა, სანამ არაბ-თურქთა მთავარი ძალები დიდგორის
მიმართულებით გადმოვიდოდნენ. როდესაც ეს მოხდა, მაშინ
ხსენებული ამირებიც დაიძრნენ, თბილისზე გავლით, დიდგო-
რის ველისაკენ.

აი. მოწინააღმდეგეთა კალების რაოდენობა. წყა-
როები სხვადასხვანაირად აღნიშნავენ საქართველოზე მაშინ
წამოსული ჯარების რაოდენობას — 600 ათას კაცს (გოტიე),
400 ათასს (მათე ედესელის ტექსტში ჩამატებული სხვა ცნო-
ბა), 150 ათასს (მათე ედესელი). ყველაზე სანდო ამ ცნობა-
თაგან უნდა იყოს მათე ედესელის ცნობა.

ის აღნიშნავს, რომ ილღაზს ჰყავდა თავდაპირველად 150
ათასი კაცი. ეს რიცხვი, ნაწილობრივ, მოცემულია თვალზო-

შით. იგი დარგვალეზულად გამოხატავს ილღაზის ხელქვეით
 მყოფ ქარების რაოდენობას. ამას ემატება კიდევ არაბეთის
 მფლობელის საღას (სადაკის) ქარი (10 ათასი კაცი). მაგრამ
 მათე ედესელი შემდეგსაც აღნიშნავს. სახელდობრ იგი ტექსტში
 ტის პირველ ვარიანტში (ელარშაპატის გამოცემა, 1898 წ.,
 გვ. 350), ნათქვამია, რომ დიდგორის ომის შემდეგ თურქთა
 ქარისგან ყოველ ათასიდან ასიც არ გადარჩენილათ (ე. ი. გა-
 დარჩენილა დაახლოვებით 9%). იმავე ტექსტის მეორე ვარი-
 ანტით კი (იერუსალიმის გამოცემა, 1869 წ.) ეს ცნობა გვა-
 უწყებს, რომ დიდგორის ომის შემდეგ თურქების ქარისგან
 „ოცი ათასიც არ დარჩენილათ“, ე. ი., ვთქვით, გადარჩა 19
 ათასი. ამ ორი ცნობის შედარება (გადარჩენილი 19 ათასი
 კაცი შეადგენდა მთელი ქარის მეცხრედს) იძლევა ქარის სა-
 ერთო რაოდენობას დარგვალეზულად — 210 ათას კაცს. იქე-
 დან ილღაზს თავდაპირველად ჰყავდა 150 ათასი (მათე ედე-
 სელის ცნობა), +10 ათასი (არაბეთის მფლობელის ქარი)
 = 160 ათასი. დანარჩენი (210 ათასი — 160 ათასი =) 50 ათა-
 სი მოუყვანიათ მელიქ თოღრულ-ათაბაგ ქენ-თოღლდის და
 დვინელ ამირას არსლანს¹.

საფიქრებელია, რომ ამ უკანასკნელთ უნდა მოეყვანათ
 მნიშვნელოვნად მეტი მებრძოლი. მაგრამ ირან-ერაყის ტერი-
 ტორიაზე არასრული სიმშვიდის მიზეზით, თვით მმართველ
 პირთა შორის არ იყო ერთსულოვნება. ამიტომაც სხვადასხვა
 ქვეყნებიდან დიდძალი ქარების მსვლელობის ზუსტად კო-
 რდინირების სიძნელის გამო, ქარის დროზე შეკრების გეგმა
 ვერ შესრულდა და ამიტომ თურქების სარდლობას უკანას-
 კნელ მომენტში თბილისის არეში აღმოაჩნდა იმაზე ნაკლები,
 რაც შესაკრებლად იყო განზრახული.

ამ ლაშქრიდან დასავლეთ დიდგორის ომში, ძვევის მი-
 მართულებით, სოფელ ბევრეთის ზემოთ მდებარე საწყებე-
 ლას მოასთან, იბნ-ალ-ასირის სათანადო ცნობით, ჩაბმული
 უნდა ყოფილიყო 30 ათასი კაცი, რომლებიც ილღაზის 160
 ათასი კაციდან იქნებოდა გამოყოფილი.

¹ საუბრაძლეზობა, რომ XIII ს. სომეხი ისტორიკოსის სპარაპეტ სემ-
 ბატის სიტყვით, ილღაზს საქართველოზე ლაშქრობისას 150 ათასი კაცი
 ჰყავდა. ეტყობა, სემბატი ვერღნობა და იყენებს მათე ედესელის ცნობას.

მათე ედესელის ნაწარმოებში, ცნობა შეტანილია ანტი-მური წყაროდან, რომ განძაკის სულთანმა მედიკმა მოაწყო საქართველოზე ეს ლაშქრობა 400 ათასი მხედრის რაოდენობით, რაც ცხადყოფს, რომ საქართველოზე 1121 წელს წამოვიდა ვალი ჯარი თითქმის მთლიანად ცხენოსანთაგან შედგებოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც თურქების სარდლობას განზრახული ჰქონდა სწრაფი დარტყმით ბოლო მოეღო საქართველოსათვის. ქვეითნი იქნებოდნენ მეტად მცირე, და მხოლოდ საბარგულო საქმის სამსახურისათვის.

ანტიოქიასთან ბრძოლის დროს მოსულის სულთანს კერბოგს 1098 წელს ჰყავდა 100 ათასი ცხენოსანი და 300 ათასი ქვეითი მეომარი. სხვა ცნობით, მისი ჯარი თითქოს აღწევდა 600 ათას კაცს. ორივე ცნობა გადამეტებული უნდა იყოს. მთელ ლაშქარში მძიმედ აღჭურვილი მხედრები და ლახტით შეიარაღებულნი იყვნენ (400 ათასიდან) 3 ათასი კაცი, რაც შეადგენდა საერთო ლაშქრის 0,75% -ს.

სხვა მასალის უქონლობის გამო, შეიძლება ასეთივე პროპორცია ვივარაუდოთ ილღაზის ლაშქრის შემადგენლობის დასადგენად. მაშინ მივიღებთ, რომ ილღაზის ხელქვეით მყოფ 210 ათასიდან, მძიმედ შეჭურვილი რაინდები, ლახტების მქონენი იქნებოდნენ 1600 კაცამდის. საერთოდ, ამ ხანაში მძიმედ შეჭურვილი მხედრები თურქებს (და არაბებსაც) მცირე ჰყავდათ.

დიდგორის ომის თანამედროვე, მათე ედესელი გადმოგვცემს, რომ თბილისის აღების შემდეგ დავითმა მოაწყო სასტიკი ამოწყვეტა, რის დროსაც დახოცილ იქნა „500 სრაპანგი“.

ამ ცნობაში საყურადღებოა ტერმინი „სრაპანგი“. მალხასეანის სომხური ენის განმარტებითს ლექსიკონში ეს სიტყვა ახსნილია, როგორც „მეომართა უფროსი, სპაი“ და დაკავშირებულია სპარსულ sarahang-თან. აქ იგულისხმება სპარსული სიტყვა „სარაპანგი“ — რაზმის უფროსი, ჯარისკაცების პატარა უფროსი. სიტყვაც „სპაი“ ნიშნავს მეთაურს, ოფიცრის რანგის უფროსს. გამოდის, რომ დავითის განკარგულებით დაუბოცავთ თურქული ვისაყ-ბაშების ტოლი რაინდები. ვფიქრობ, რომ თვით ტერმინი „სრაპანგი“ უნდა იყოს დამახინჯე-

ბული ფრანგული სერჯანტი (sergent), ლათინური servius მსახური. სერჯანტი მეაბჯრის როლს ასრულებდა. ამისი ფარდი ტერმინი დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეებში იყო ლათინური scutarius — ფაროსანი (stutus) გამოდის, რომ თურქებს თბილისში ჰყოლიათ არა მძიმედ შექურცილი რაინდები, არამედ მხოლოდ საშუალოდ შექურცილი მეომრები, რომელნიც დაახლოებით ედრებოდნენ დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების (და ამ ხანაში ქართველებისაც) მცირე რაინდებს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ილღაზის მთელ ლაშქარში.

ქართველების ჯარის შესახებ იგივე მათე ედესელი გადმოგვცემს, რომ ის შედგებოდა კარგად „გაწვრთნილი“ მეომრებისაგანო. სიტყვა „გაწვრთნილი“ თითქოს უნდა ნიშნავდეს, რომ ქართველების ჯარი დიდი უმეტესობით შედგებოდა ცხენოსნებისაგან და ქვეითი ჯარი იქ ცოტა იყო.

ქართველების ჯარის რაოდენობა დიდგორის ომში, მათე ედესელის ცნობით, ასეთია: 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ფრანგი, სულ, მაშასადამე, 55600 კაცი. ხოლო, რადგანაც ფრანგი რაინდები თავიანთი თანმხლე მეაბჯრე-მსახურებით ორი ათას კაცამდე არიან საგულისხმებელი, ქართველების ჯარში ბრძოლის დაწყებისას სულ 57,5 ათასი კაცია სავარაუდებელი.

ხოლო გოტიე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ქართული სამართებოდან მომდინარე ცნობებით უნდა სარგებლობდეს, ქართველების ჯარს ანგარიშობს 80 ათასი კაცის რაოდენობით. ამის მიხედვით უნდა ვევიარაუდოთ, რომ უფლისწულ დიმიტრის ჯარში, რომელიც დიდგორის ველზე არ იმყოფებოდა, თავიდანვე უნდა ყოფილიყო (80 ათასი — 57,5 ათასი =) 22,5 ათასი კაცი. უფლისწულ დიმიტრის, როგორც ვნახეთ, ზემო დიდგორიდან ვერეს წყლის ხეობით უნდა შესრულებინა მძლავრი საფლანგო დარტყმითი ოპერაცია.

მ1. დიდგორის ომის თარიღი. 1121 წლის აგვისტო

არის დიდგორის ომის თარიღი. სადავოა მხოლოდ, თუ როდის მოხდა მთავარი ომი — 12 აგვისტოს (ქართველი მემატიანე, „ქართლის ცხოვრების“ მარიაშ დედოფლისეული, მაჩაბლისე-

ული და „მცხეთის“ ნუსხები; მათე ედესელი, რომელიც უჩვენებს, რომ ომი მოხდა ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს, რაც აგრეთვე იძლევა 12 აგვისტოს), თუ, იმავე მათე ედესელის ცნობით, 13 აგვისტოს (ერთი ხელნაწერში) ან 14 აგვისტოს (მეორე ხელნაწერით).

ყველაზე სანდო ამ მხრივ ქართველი მემატიანის (არსენის) ცნობაა „შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქეიშა ზღუსა, რომლითა აღივსო ქუეყანა, აგვისტოსსა თორმეტსა (ვარიანტი იძლევა წაკითხვას: აგვისტოსსა თურამეტსა, მაგრამ ეს აშკარა დამწერლობითი შეცდომაა) მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვთ ფერკთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ აღვილთა“ (გვ. 340—341).

ამგვარად, თურქები 12 აგვისტოს იყვნენ გაჭიმულნი თრიალეთსა, მანგლისს მხარესა და დიდგორებში. ავანგარდი იყო დიდგორებთან, იგულისხმება ძეგვის წყლის სათაეის არე, საიდანაც, როგორც ეტყობა, თურქების მთელი ლაშქარი ფიქრობდა შეტრას შიდა ქართლში. ლაშქარი იყო, მაშასადამე, გზაში, დაწყებული თრიალეთიდან დაახლოებით არა ნაკლებ 60 კილომეტრის სიგრძეზე. მოწინავე ჯარს ძეგვის წყლის სათაეის გადასასვლელზე შეხვდა ქართველების ჯარი თვით დავით მეფის წინამძღოლობით და სასტიკად დაამარცხა ის. თურქები აქ იყვნენ 30 ათასი ცხენოსნის რაოდენობით. მათ დაეარგეს 4 ათასი კაცი ტყვედ ჩაეარდნილთა და, აღმათ, ამდენივე ან მეტი მოკლულთა სახით. ეს მოხდა 12 აგვისტოს (ამ თარიღს უჩვენებს დავითის მემატიანე და მათე ედესელის მითითება, რომ ომი მოხდა ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს).

ამ დამარცხებამ ცხადყო ძეგვის წყლის სათაეის მიდამოებიდან შიდა ქართლში შეტრის შეუძლებლობა. ამასთანავე, საჭირო იყო განძიდან თბილისზე მომავალ თურქ ჯარებთან კონტაქტის დამყარება და მის სარდლობასთან ერთად მოქმედების საერთო გეგმის შემუშავება. 60 კილომეტრზე გაჭიმული ჯარების თავმოყრა ახალი მიმართულებით და თბილისზე მომავალი თურქი ჯარების გადაყვანა დიღმის ველზე, მოითხოვდა დროს, და, საერთოდ, ამ უდიდესი მასების გასაშლელად გეგმის შემუშავება და მისი განხორციელება შეუძლებე-

ლია ორ დღეზე ადრე მომხდარიყო. ამიტომ 13 და 14 აგვისტო მოუნდებოდა წინასწარ სამზადისს. და თვით დიდგორის მთავარი ბრძოლა შეიძლებოდა მხოლოდ 15 აგვისტოს მომხდარიყო, როგორც ამას მართლაც აღნიშნავს მათე უფროსი წიგნის ერთი ვარიანტი.

მე. პირველი ბრძოლა თურქებთან დიდგორის ზეგანზე, ძეგვის ხემის მიმართულებით. იმას, რომ ქართველებს დიდგორწინის დიდი ბრძოლის გარდა ილღაზის ლაშქართან ან მის ნაწილთან კიდევ სხვა ბრძოლა ჰქონდათ, ამტკიცებს შემატრიანე არსენის ასეთი სიტყვები, „მეფისა დავითისი ესეოდენტა (ე. ი. თურქთა) მიმართ წინაგანწყობა სამ ეამადმდე იყო, და ვერცა პირველსა კუეთებასა (ვარ.: ომსა) შეუძლეს წინადადგომად“ (გვ. 342). მაშასადამე, ყოფილა ორი ომი — პირველი ომი, სადაც აგრეთვე თურქებმა ვერ შეძლეს „წინადადგომა“ და დამარცხდნენ, და მეორე კიდევ ის, სადაც თვითონ დავითი ხელმძღვანელობდა „წინაგანწყობას“ მთელი სამი საათის მანძილზე, თურქების საბოლოო დამარცხებამდე. პირველი ომი იგულისხმება დიდგორის ქედზე დავითისავე ხელმძღვანელობით, ძეგვის ხევისა და დიღმის წყლის სათავეებს შუა (საწყებელას ზეგანზე) და მეორე კიდევ — მთავარი ომი — მის აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე დიდგორწინაზე, დავითისავე განკარგულებით.

მართლაც, დიდგორის მთაზე, ხალხური გადმოცემით, აღნიშნულია ორი ბრძოლა: პირველი ბრძოლა დასავლეთ (ზემო) დიდგორზე დიღმის წყლის სათავეების არეში გადმოყუდებული მთის თვით ფართო და გრძელ ზეგანზე და მეორე კიდევ ამის აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე, დიღმის გადამყურე დიდგორის მთის ძირბაში მდებარე ფართო ველზე, ე. წ. დიდგორწინზე. ორივე ადგილას არის იმ ნიშების ნაშთები, რომელთა აშენებას მაშინდელი ხალხური გადმოცემა აკავშირებს ამ ადგილებში მომხდარ დიდ ბრძოლებთან. ამ ბრძოლათაგან, მთავარი ყოფილა დიღმის მიმართულებაზე დიდგორწინიდან, ხოლო სოფელ ბევრეთისა და დიღმის წყლის სათავის აღმა, დიდგორის ზეგანზე, საწყებელასთან მომხდარ ბრძოლას ჰქონდა მეორეხარისხოვანი მნიშვნელო-

ბა. ეს გარემოება იძლევა როგორც თურქების, ისე ქართველების საოპერაციო გეგმების გარკვევის შესაძლებლობას.

ამკარა ხდება, რომ თურქების სარდლობას ^{ეგრეთვე} შინაგან საქმეებში და დასახული თრიალეთ-მანგლისის მხარედან შექრილიყო შიდა ქართლში და ამით სასიკედილო ლახვარი ჩაეცა აღმოსავლეთ საქართველოსათვის. მაგრამ რადგანაც არ იყო ცნობილი, თუ სად დაარტყამდნენ თურქები, ამიტომ ქართველების სამართებოს (შტაბს, როგორც ახლა ვიცყვიით) თავისი ჯარის მეტი ნაწილი გაშლილი ჰყავდა დიდგორის ქედზე. ალბათ მანგლისიდან ძეგვის ხეობაზე გადასასვლელი ზეგნის ახლოს (ეს იყო დიდგორის ქედის მთავარი გადასასვლელი). მაგრამ, როგორც ეტყობა, თურქების სარდლობამ დიდგორის ქედის ფორსირება გადაწყვიტა მოუხერხებელ და, ამიტომ ქართველებისათვის მოულოდნელ, ადგილას — საწყებელას ზეგანის მიმართულებით. ამ ოპერაციის შესასრულებლად გაგზავნილ იქნა ძლიერი რაზმი 30 ათასი ცხენოსნის რაოდენობით. მაგრამ ქართველებმა ეს რაზმი დაამარცხეს ზემო დიდგორის მიდამოებში, სადაც ამჟამად ძველი ნიშის ნაშთია.

იბნ-ალ-ასირის წყაროში აღნიშნულია, რომ თურქების ჯარის დიდი რაოდენობა დაიღუპა, 4 ათასი კაცი ტყვედ იქნა წაყვანილი. მოკლულთა რაოდენობა დაახლოებით 16 ათასი კაცია საგულისხმებელი, რადგან გადარჩა მთელი ლაშქრის მხოლოდ ერთი მესამედი. მოკლულთა რაოდენობის სიდიდე ამტკიცებს, რომ ქართველებს გამოუყენებიათ თავიანთი მაღალი ტექნიკა — არბალეტები და ცეცხლის სასროლი მანქანებიც. მხოლოდ ასეთ პირობებში ხდება გასაგები იბნ-ალ-ასირის წყაროს ცნობა, რომ თურქები პანიკურად გაქცევის დროს, ცხადია, მთის ფერდობებზე ერთი მეორეს ხრამში აგდებდნენ და ღუპავდნენო.

ამგვარად, ამ მიმართულებით დიდგორის ქედის გადალახვისა და აქედან შიდა ქართლში შექრის გეგმა თურქებისათვის ჩაიშალა. როგორც ნათქვამი იყო, ეს უნდა მომხდარიყო 1121 წლის 12 აგვისტოს.

მე. თურქების მუადეზა დიდგორის დიდი ოჯისათ

304. ამ დროს სულთან თოღრილის 40 ათასიანი ლაშქარით უკვე მიახლოებული იყო თბილისს. ამ ქარს, თბილისზე გავლით, შეეძლო შეერთებოდა ილღაზის ლაშქარს მხედველად ლომ-ვეძისის ხაზზე.

მიზნად უნდა ყოფილიყო დასმული შიდა ქართლში გადასვლა. მაგრამ თურქების დიდი ჯარების ამოძრავება მტკვრის გაყოლებით, ბაგინეთ-არმაზის ხევის ნაპირის გავლით, შეუძლებელი იყო, რადგანაც არა თუ საშუალო საუკუნეებში, არამედ XVIII ს. ბოლოსაც აქ გზა არ იყო გაყვანილი. არტემ არარატელის სიტყვით, ბაგინეთის კიდურზე — მტკვრის ნაპირას — 1795 წელს მიდიოდა მხოლოდ ბილიკი. უკეთესი მდგომარეობა ამ მონაკვეთზე არც XII ს. იქნებოდა. ეს გარემოება კი შეუძლებელს ხდიდა თურქების მრავალრიცხოვანი ჯარი მტკვრის ნაპირიდან შიდა ქართლისაკენ გაჭრილიყო.

ამიტომაც, ილღაზის სამართებომ შეიმუშავა ახალი გეგმა — სულთან თოღრილის ქართან ერთად, მთელი ძალობით ვეძის-დიღმიდან დიდგორწინზე გავლით და იქიდან, დიდგორის ქედზე არსებული სხვადასხვა ბილიკების გადავლით, შიდა ქართლში შეჭრისა. ამის შესაბამისად შედგენილი იქნებოდა ლაშქრის ცალკე ნაწილების დისპოზიციის გეგმა ახალი შემტევი ოპერაციების შესასრულებლად. როგორც ვოტიეს ცნობიდან ჩანს, ქართველების საომარ სამართებოს დროზე ჰქონდა მიღებული ცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ, სახელდობრ, რომ თურქები ემზადებიან დიდგორწინის ველზე წამოსასვლელად, ქართველების ცოცხალი ძალის მოსასპობად, თუ ისინი შეეცდებოდნენ წინააღმდეგობის გაწევას, თუ არა და ამ გზით შიდა ქართლისკენ გზა მათთვის ხსნილი იქნებოდა.

თურქების სარდლობას ისიც ეცოდინებოდა, რომ დავითს საქართველოს მთელი ძალა ჯერ კიდევ არ ჰყავდა შეკრებილი და, რომ მას შეეძლო თავისი ლაშქარი გაეძლიერებინა როგორც ქართველებით, ისე საქართველოში მყოფი ყივჩაღეებით, საერთო ანგარიშით სულ ცოტა 50 ათასი კაცით.

თურქების წინ წასულმა ძალებმა, როგორც ვეცობა, 13

და 14 აგვისტოს დაიწყეს თავმოყრა, საფიქრებელია, სოფელ ვეძისისა და დიღმის არეში. როდესაც თურქების სარდლობის საოპერაციო გეგმა ცხადი შეიქნა, ქართველების მთელი ჯარი, სხვებთან ერთად, მთლიანად დაგროვდა დიდგორის პირდაპირ დიდგორის წვერის ზეგანზე და აღმავალი ტოს გადმოეშვა ქვევით (ველად) დიდგორის ძირობაზე.

როგორც ეტყობა, თურქების ჯარები, მანგლისის მხარედან გადმოსულნი, იწყებენ შეგროვებას დიღმის წყლის ხეობაში დაახლოებით წოდორეთ-ვეძისისა და ნაბაკურის სერის ხაზზე, და მათ ახლო-მახლო. აქედან მაშინდელ თბილისამდე დაახლოებით 15 კილომეტრი, ე. ი. სწორედ $\frac{1}{2}$ დღის სავალია, როგორც ეს სიბტ-იბნ-ალ-ჯოზის აქვს აღნიშნული. ამ არესა და თბილისს შუა იყო ნენავის მთა. წინა დღეს მათ აღმათ შეუერთდა საწყებელას მხრიდან დიღმის წყლის სათავეებში და სოფელ ბევრეთზე გამოშავალი თურქების ის ჯარი, რომელმაც 12 აგვისტოს დიდგორის ზეგანზე განიცადა დამარცხება. შემდეგ მთელ ამ ჯარს შეუერთდა სულთანის ძმისშვილის, მელიქისა და განძის ათაბაგის ჯარები, დაახლოებით 50 ათასი კაცი, რომელნიც თბილისზე გავლით მოვიდნენ აგრეთვე დიღმის წყლის ხეობაში.

ამის საწინააღმდეგოდ, ქართველების ჯარი ქვედა დიდგორის ბილიკებზე გადმოსვლით გროვდებოდა დიდგორწინის ველზე. ეს ადგილი მოსახერხებელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ თურქებს შესაძლებლობას არ მისცემდა, თუნდაც ნაწილობრივ, ბაგინეთ-არმაზისკენ წასულიყვნენ, რადგანაც მაშინ ქართველების ჯარი მდ. მტკვრისაკენ ხუთიოდე კილომეტრით წაწვეის შემდეგ მათ ზურგში მოექცეოდა. ამიტომაც, ძალაუწუნებურად, თურქებმა იწყეს შეგროვება ვეძის-დიღმის ხაზზე, ხოლო აქედან თურქების სარდლობამ დაიწყო თავისი უზარმაზარი ჯარის დალაგება და დაწყობა შემტევი ბრძოლისათვის.

თურქების ბრძოლის წესი ამ პერიოდში იყო ასეთი. ისინი ბრძოლისათვის ეწყობოდნენ გარკვეულ დიდ ჯგუფ-ერთეულებად მარაოს მსგავსად, უმეტეს ნაწილად ოთხ ხაზად: 1) მეწინავენი, 2) ამათ უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, მარჯვენა და მარცხენა ფრთის წინწაწეულნი მეწინავენი, 3) კიდევ

ამათ უკან, მარჯვენა და მარცხენა ფრთები, ასევე წინწაწვევით (მარაოსდაგეარად) და 4) ყველა ამათ უკან (ცენტრში) და ნარჩენი ძალები, რომელნიც არსებითად მძლავრ რეზერვს წარმოადგენდნენ. ბრძოლაში ჩაბმული იქნებოდნენ, თან და ერთი მეორის მიყოლებით, პირველი სამი ხაზის ძალები, რომელთაც საჭიროების დროს (უკეთეს მოწინააღმდეგე არ დამარცხდებოდა და არ გაიქცეოდა) ბრძოლაში მიჰყვებოდნენ მეოთხე ხაზის შემორების გუნდებიც.

თურქების მხრიდან მიიმედ შეიარაღებული რაინდები, რომელნიც შედარებით ცოტანი იყვნენ, იბრძოდნენ მეწინავეთა რიგებში. დანარჩენები კი იყვნენ მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები, რომელნიც ჯგუფდებოდნენ, დაახლოებით, ათას-ათას სამხედრო ერთეულებად. ეს ერთეულები, რომელნიც დგებოდნენ რამდენიმე ხაზად, ჯერ იბრძოდნენ შეილდ-ისრით, შემდეგ კი გადავიდოდნენ მძლავრ შეტევაზე და გაანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს. როგორც მოხსენებული იყო, შეტევისათვის ჯარი ეწყობოდა მარაოს მსგავსად, ე. ი. ცენტრი დგებოდა შუაში, ფლანგები კი წინწაწვეული იყვნენ, ასე რომ ისინი ყოველთვის ემუქრებოდნენ მოწინააღმდეგის ფრთებს¹.

დისციპლინა თურქების ჯარში საკმაოდ მტკიცე იყო.

ჯარების განლაგებას მოუწოდებოდა 14 აგვისტო და 15 აგვისტოს მთელი დღი. თურქების მარცხენა ფრთა, ალბათ, მიეზღინა საკოს გვერდის სერს და ნაოქიანის გორას, რომლის წვერები არის ზემოდან ქვემოთკენ 1193, 1082 და 857 მეტრის სიმაღლისა ზღვის დონიდან, მარჯვენა ფრთაზე თურქების ჯარებმა დაიკავეს საკმაოდ გრძელი ნაბაჭურის სერი და უახლოვდებოდნენ განჯრების სერსაც. ნაბაჭურის სერი იყო სიფართით საშუალოდ 700 მეტრი და სიგრძით, ვიდრე დილ-მამდის, დაახლოებით 4 კილომეტრი. ამის ჩრდილოეთით არის განჯრების სერი, დაახლოებით 1 კილომეტრ სიგრძეზე.

თბილისის სიმაღლე მტკვრის ნაპირას აღინიშნება 404 მეტრი ზღვის დონიდან, ნავთლული 432 მეტრი, მახათა 658,

¹ შეად. Н. П. Михневич. История военного искусства, стр. 132—136.

მთაწმინდა 727 მეტრი. ამასთან შედარებით, დიღომში მტკვრის სანაპიროს სიმაღლე ზღვის დონიდან არის 420 მეტრი, ხოლო სოფელ დიღომში — 502 მეტრი. სოფელ დიღომს ხაზიდან დიდგორწინისაკენ ვაკე თანდათან მალეფერხვანად დიდგორის მთის ძირობამდის დაახლოებით 2500 მეტრის სიმაღლეზე, მამასაღამე, ზღვის დონიდან დაახლოებით 750 მეტრამდის. განსხვავება ზღვის დონიდან, სიმაღლის მხრივ, თბილისსა და დიდგორწინს შორის არის დაახლოებით 350 მეტრი (750—400). ამით აიხსნება, რომ თუმცა განგრების სერი დიდგორწინში ზღვის დონიდან 809 მეტრის სიმაღლისაა, მაგრამ ის მაინც დაბალი სერია (სულ რაღაც 50—60 მეტრის სიმაღლეზე). ასევე დაბალი მოჩანს ადგილზე ნაბაქურის სერი, თუმცა ის ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლაა, დაახლოებით 750 მეტრი. თვით დიდგორის მთის წვერი ამ ადგილას არის 1289 მეტრი ზღვის დონიდან.

მთავარი ბრძოლის ველი მოთავსებული იყო დიდგორწინზე, დიდგორის მთის ძირობიდან განგრების სერსა და ნაბაქურის სერამდის ჩრდილო-აღმოსავლეთით და თვით ნაბაქურის სერზე, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით ნაოქიანის საკმაოდ მაღალ გოჭამდის, რომელიც გაჭიმული იყო ძეგვის გადასასვლელის წვერიდან, ვიდრე სოფელ ვეძისის მისადგომამდის, დაახლოებით 5 კილომეტრზე. აღმოსავლეთით გვართდა არცთუ მაღალი და მოკლე განგრების სერი და უფრო გრძელი ნაბაქურის სერი, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კი გაჭიმული იყო დიდგორწინის ველი, დაახლოებით 4X3 კილომეტრი ფართობით. ეს ველი სამხრეთისკენ თანდათან ეშვებოდა. აქ ის გადაბმული იყო ვეძის-დიღმის ველებთან, რომლებიც ადგილ-ადგილ მცირე გორაკებიანი იყო. ხოლო აღმოსავლეთით კიდევ ასეთივე ველი იყო გადაბმული სწორ და ვრცელ დიღმის ველთან, ვიდრე მდ. მტკვრამდის. რადგანაც დიდგორწინის ველსა და დიღმის მთელ ფართობს ერთგვარი დაქანება ჰქონდა სამხრეთისკენ, ქართველებმა თავშეფარა დაიკავეს დიდგორწინის ველის ჩრდილოეთი ნაწილი. ეს ადგილი, ბრძოლის მხრივ, მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე სამხრეთიდან მომავალ თურქთა ჯარისათვის. ამრიგად, სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით ქართველებს ჰქონდათ

ერთგვარი უპირატესობა თურქებთან შედარებით. ქართველების სარდლობის მიერ ძლიერ კარგად იყო აგრეთვე შეჩუქებული სამართებოს ადგილი იქ, სადაც ახლა არის ძველი ნიშის ნაშთი (ნიში დაინგრა ამ ოცდაათიოდე წლის წინ) რადგან აქედან კარგად ჩანდა მთელი ველის ზედა ნაწილი განკარგულებათა ვაცემა იქიდან მეტად მოსახერხებელი იყო.

34. მართველი ჯარის განლაგება. ზემოთ თქმულის (იხ. § 14) მიხედვით, ცხადი ხდება, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დაწყობილი ქართველების ლაშქარში მყოფი ორასი ფრანგ რაინდისაგან შემდგარი რაზმი. ორასი ფრანგი რაინდი ნიშნავდა ორას „შუბს“, რომელიც მთლიანად მოიცავდა დაახლოებით 2000 კაცს, მათ შორის 300—400 ქვეით მოსამსახურეს, ყოველი შემთხვევისათვის აგრეთვე შეიარაღებულს მსუბუქი იარაღით. ბრძოლის დროს თითო „შუბი“ დალაგდებოდა სოლისებურად. თუ სოლი შედგებოდა, მეთაურის ჩუთვლელად, სამი ეშელონისაგან, მაშინ თითო სოლში მოხედებოდა $(1+3+3=)$ 7 რაინდი, იგულისხმება თავისი მეაბჯრე-მსახურებით. ხოლო თუ თითო სოლი შემდგარი იქნებოდა ოთხი ეშელონისაგან, რის შესაძლებლობა კიდევ უფრო მეტად არის საფიქრებელი, თითო სოლში იქნებოდა 9 რაინდი, დაახლოებით 90 მეაბჯრე-მსახურით. ეს უკვე თითქმის ასი კაცია, რაც მეტად მოსახერხებელი იყო ლაშქრის მაშინდელი განგარიშების დროს — ასეულებად და ათასეულებად. ოცი ასეთი სოლისგან გამოყვანილი იქნებოდა ათასეულთა ორი რაზმი, თავთავისი ბანერტებით, ე. ი. დროშის მქონე უფროსებით. დროშა მიჰქონდა ცალკე აზნაურ-მედროშეს. დროშას იცავდნენ სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი მეომრები. რაზმს თან ჰქონდა, დროშის დალუპვის შემთხვევაში, სათადარიგო დროშაც.

როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ტერმინ ათასეულის ხმარება არ ნიშნავს იმას, რომ სათანადო რაზმში აუცილებლად ათასი კაცი იყო. შეიძლებოდა ნაკლებიც, მაგრამ ერთეულს მაინც ათასეული ერქვა.

ამგვარად, ფრანგების ქარი დიდგორის ომში შედგებოდა ორი ათასეულისგან და დაახლოებით ოცი სოლისაგან. თითო

სოლზე სამუალოდ 35 მეტრის ანგარიშით ფრანგებზე უარს ეკავა 700—800 მეტრი ფართობი, ე. ი. მთელი საფრანგო ხაზის დაახლოებით 40%.

მეწინავე ადგილი, ალბათ, წინდაწინ დადგენილ მხარეებს თანახმად, ეკუთვნოდა ორას ფრანგ რაინდს, მათი კაცობრივ თურთ. ამ ორას ფრანგს, რომელნიც მეაბჯრე-მსახურებით ორ ათასეულს შეადგენდნენ, ეყოლებოდათ თავიანთი ორი უფროსი (მარშალი), რომელნიც უზრუნველყოფდნენ მათ დაწყობას სათანადო სოლებად. შეთელის ცნობიდან ჩანს, რომ ერთი მარშალთაგანი იყო ონორი დუქსი (იხ. § 40).

მეწინავეობა ქართველებშიც პრივილეგიას შეადგენდა გარკვეული მხარეებიდან გამოსული რაზმებისათვის. ეამთაღმწერელი გარნისის ომის (1225 წ.) აღწერის დროს გადმოგვცემს, რომ „ივანე ათაბაგმან განაწყო სპანი მეფისანი, იმირენი და ამირენი, და აჩრნა წინამბრძოლად თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მბრძოლნი, ვითარ წესად არს სახლისა მათისა წინამებრძოლობა“ („ქართ. ცხოვრ.“, II, გვ. 169). აქედან ჩანს, რომ თორელებს თავიანთი მოყმე-რაზმებით ჰქონდათ საქართველოში ბრძოლების დროს წინამბრძოლობის პრეროგატივა.

თამარის მეორე შემატიანე წერს, ბოლოსციხის (ბასიანში) ბრძოლის შესახებ, რომ იქ „წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე, დაღათუ შალვა მანდატურთ-უხუცესი იყო, კიაბერი და სხუანი თორელნი“ (იქვე, გვ. 95). და შემდეგ: „წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ახალციხელი შალვა და ივანე, და სხუანი თორელნი; და ერთ-კერძო (ე. ი. მარჯვენა ფრთაზე) აფხაზნი და იმერნი, ერთ-კერძო (ე. ი. მარცხენა ფრთაზე) ამერნი და პერკახნი“ (იქვე, გვ. 96).

ასეთივე წესი იყო გვიან, XVI ს-ნეშიც. 1545 წელს სოხოისტასთან (ბასიანში) ოსმალების წინააღმდეგ ომის წინ, მესხებმა მოსთხოვეს ქართლის მეფეს ლუარსაბს და იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს გაეშვათ ისინი, ძველი წესის თანახმად, მეწინავედ („ძუელითგანვე მეწინაობად მისელა მესხთათჳს განწესებულ არს“). მაგრამ მეფეები ამაზე არ და-

თანხმდნენ, რადგანაც მესხეთის ათაბაგობის პრეტენდენტს ოსმალების სერასკიარის ბანაკში იმყოფებოდა. მესხებმა იწყინეს, განზე გადგნენ და ომში მონაწილეობა არ მიიღეს (იქვე, გვ. 499). ძველი გადმოცემა ამ გარემოებას მარჯველ ქართველების მიერ სოხოისტას ომის წაგების მთავარ მიზეზად, რასაც შედეგად მოჰყვა მესხეთის მეტი ნაწილის დაპყრობა ოსმალეთის მიერ.

ფრანგების თითო სოლის ოთხი საფეხურის ანგარიშზე ხედებოდა 9 რაინდი, დაახლოებით 30—35 მეტრის ფართობზე. ბრძოლის ასპარეზის ფართობი დიდგორწინის ველზე იყო დაახლოებით ორი კილომეტრი. პირველ ხაზს დაიკავებდა, მაშასადამე, ფრანგების გარდა, მათ მარჯვნივ და მარცხნივ დაახლოებით 500 ქართველი მოყმე, თავიანთი ამალებით, სულ დაახლოებით, თანმხლეთა ჩათვლით, 5 ათასი კაცი.

მეორე და მესამე ხაზზე მოხვდებოდნენ საშუალო და მცირე რაინდები. დავითი, საფიქრებელია, იქნებოდა მეორე ხაზზე. აქ ცალკე გამოყოფილი იქნებოდა, სხვა ქვეყნების მსგავსად, რჩეულ მოყმეთა ჯგუფი (20—40 კაცის შემადგენლობით) თვით მეფის დასაცავად. დავითი ამ დროს 50 წლის იყო და ამიტომ მას ყოველთვის არ მისცემდნენ მტერთან პირისპირ შებრძოლების ნებას.

საშუალო საუკუნეების დასავლეთ ევროპის წყაროებში ლათინური *acies* („წვეტი“) და *cuneus* („სოლი“) იხმარებოდა მოწინააღმდეგის მიმართ ღრმად დაწყობილი კოლონის აღსანიშნავად (იხ. დელბრიუკის დასახ. ნაშრ., III, გვ. 205). საყურადღებოა, რომ გოტიე განასხვავებს ერთმანეთისაგან, ქართველი სარდლობის განკარგულებას ორ მთას შორის მდებარე ველზე ჯარების ცალკე ნაწილებად (*agmina*) განლაგების შესახებ, რაინდების სოლებად დაწყობისაგან. აქ ხმარებული ტერმინი *agmina* სწორედ ცალკეულ რაზმებს აღნიშნავს. განკარგულება ამის შესახებ დილასვე (ალიონზე) იქნებოდა გაცემული, წინა საღამოსა და ღამე შემუშავებული დისპოზიციის მიხედვით. შემდეგ დავითმა სიტყვა წარმოთქვა ხელმძღვანელებისა და პირველი რაინდების წინაშე. ამას მოჰყვა „დაუგვიანებლივ“, ახალი განკარგულება ცალ-ცალკე სოლებად (*acies*) განლაგების შესახებ. აქაც, რასაკვირველია,

წინასწარ შემუშავებული დისპოზიციის თანახმად. აქედანაც ცხადია, რომ ერთი იყო მთელი ლაშქრის (56 ათასი კაცი) გაშლა და მეორე კიდევ, რაინდების, თავთავიანთი მსახურებით, სოლებად განლაგება.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთ სარაინდო სოლისებური წყობა თავისუფლად ეთავსებოდა ხაზობრივ წყობას, როდესაც რაინდები ეწყობოდნენ ერთ ხაზად (მათ უკან იდგნენ წესისამებრ მათი მეაბჯრენი და მსახურნი). ამ წყობას ძველ-ფრანგულად ერქვა en haye. თუმცა სოლისებურ და ხაზობრივ დაწყობას შორის დიდი პრინციპული განსხვავება იყო, მაგრამ მაინც ორივე ფორმა შეიძლება ერთსა და იმავე დროს არსებელიყო და გამოყენებულიყო ყოფილიყო ერთსა და იმავე ბრძოლაში. რომ ქართველებს ნაწილობრივ მაინც ჯვაროსნებისგან ჰქონდათ ათვისებული რაინდების სოლისებური წყობა, ეს ჩანს გოტიეს ცნობიდან, რომ დავითმა დააწყო თავისი ჯარი სოლებად (acies).

ამგვარად, მეწინავედ პირველი ხაზის ცენტრში, ოც სოლად, იყო 200 ფრანგი, სულ თავიანთ მეაბჯრე-მსახურებით ორ ათას კაცამდე. ქართველი რაინდებიდან პირველ რიგში განლაგებული იქნებოდა 500 პირველხარისხოვანი მოყმე თავიანთი მეაბჯრე-მსახურებით, დაახლოებით 50 სოლად, სულ 5 ათას კაცამდის.

ქართველი რაინდების მეორე რიგში შეიძლება ას სოლად განლაგებულიყო ექვსასამდის მეორე და მესამე ხარისხოვანი მოყმე, სულ თავიანთი მეაბჯრე-მსახურებით 3 ათას კაცამდის.

ქართველი რაინდების მესამე რიგში განლაგებული იქნებოდნენ დაბალი რაინდები აგრეთვე სოლებად ანდა, ერთი ფრონტალური ხაზით, რიცხვით დაახლოებით 800 კაცი, რაც თავიანთი მეაბჯრე-მსახურებით იძლეოდა სამი ათას კაცს. ესენი იქნებოდნენ რეზერვში.

სულ კი, ქართველი რაინდები დიდგორწინის ველზე გამოდის 1800—1900 კაცამდის, ხოლო მეაბჯრე-მსახურებით სულ, დამრგვალებულად 12 ათას კაცამდის.

ქართველი რაინდების დანარჩენი 300—400 კაცი დარჩენილი იქნებოდნენ უფლისწულ დიმიტრის ჯარში, ზემო დიდგორის ზეგანზე, საწყებელასთან.

მთელი ეს გაანგარიშება მხოლოდ საორიენტაციოა და ხე-
ყარება საშუალო საუკუნეების სარაინდო ჯარის წყობის შე-
ზებ არსებულ მასალებს, იმ მონაცემებთან შეფარდებით, რო-
მელნიც ჩვენ შეგვიძლია ზოგადად ვივარაუდოთ იმდროინდელი
ქართველ მოყმეთა კონტიგენტის შესახებ¹.

მოყმეთა რიცგების უკან საგულისხმებელია სამართებოს
ადგილი. სამართებოს შემადგენლობას განაგებდა მწიგნობართ-
უხუცესი ბედიელ-ალავერდელი მთავარებისკომპოზი სვიმონ
გულაბერის ძე. სამართებოს ევალებოდა ბრძოლის პროცესში
დამატებით განკარგულებათა გაცემა და ჯარების მოძრაობის
ხელმძღვანელობა. ეს ჯარები იყო სამართებოს ხაზზე. მის
უკან განლაგებული იყო მსუბუქი ცხენოსანი ჯარი.

**მხ. ბრძოლის დაწყება. თურქების მთავარი შემო-
ტემა და კართველთა კონტრშეტემა.** ადრე დილას, 1121
წლის 15 აგვისტოს, ქართველებს ეკავათ ადგილი დიდგორის
ძირობაზე, დიდგორწინში. მათ აღმოსავლეთით იყო განგრების
სერი. განგრების სერსა და დიღმის წყლის ხეცს შორის არის
დაახლოებით 2 კილომეტრი. დიდგორის ძირობასთან, ე. ი.
დიდგორწინში, სადაც ახლაც არის ძველი ნიშის ნაშთი, იყო,
საფიქრებელია, ქართველების ჯარის ცენტრალური სარდლო-
ბის ადგილი, სამართებო. ქართველების ჯარს ეკავა ძირობის
ველის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც დასავლეთის კიდურ
ნაწილში ებჯინებოდა ნოქიანის გორას, დაახლოებით 1¹/₂
კილომეტრის ხაზზე.

¹ რაც შეეხება რაინდების განლაგების სიმჭიდროვეს, ეს დასავლეთ
ევროპაში დამოკიდებული იყო დროსა და ვარემოებაზე. ბრძოლაში ეორ-
რინგეთან, 1288 წლის 5 ივნისს, მთავარმა ლიდერებმა დაუყარა
რაინდებს: „მტრის ჯარი ვაიქიმა განზე გვერდებისკენ, ასე რომ
ისინი სანამდის ჩვენ უკან მოხედვას მოვასრებთ, ვარს შემოვევრტყმი-
ან. კარგი იქნება ჩვენც ვაეიწიოთ სივანზე, რომ ჩვენი რაზმი არ იყოს
ასე მჭიდროდ და ღრმად“. მაგრამ რაინდმა ლიბრეტ დე-დორძელმა ამის
საპასუხოდ ვაცოფებით დაიყვირა: „მჭიდროდ, რაც შეიძლება მჭიდროდ
და ეიწოდ. თვითველი დადგეს შეზობელთან რაც შეიძლება ახლოს და
მაშინ დღეს ჩვენ ვასახელებთ ჩვენს თავს“. მაშინ ყველამ დაიყვირა: „რაც
შეიძლება მჭიდროდ და რაც შეიძლება ახლოს ერთმანეთთან“.

ქართველების ჯარის განლაგების სიღრმე დიდგორის ძირობისკენ იყო დაახლოებით, 500 მეტრი. მთელი ველის სიგრძე დიდგორის ძირობიდან (დიდგორწინიდან) სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით) არის დაახლოებით 11 კილომეტრი. ამ ველს შუაზე ჰყოფს ნაბაქურის სერის მთის მწვერვალსა და ეს ველი ეშვება დიღმის მიმართულებით სოფელ დიღმისკენ და მისი ვრცელი ველისაკენ.

დროის შესახებ შეიძლება წამოვაყენოთ ასეთი ვარაუდი. 15 აგვისტოს თბილისში შუე ამოდის 6 საათსა და 21 წუთზე, ალიონი, მაშასადამე, იწყება 5 საათზე და ცოტა უფრო ადრეც იმავე დღეს შუე ჩადის საღამოს 8 საათსა და 2 წუთზე. ღამდება, მაშასადამე, დაახლოებით საღამოს 9 $\frac{1}{2}$ საათზე. განსხვავება ალიონიდან სრულ დაღამებამდე არის 14 $\frac{1}{2}$ საათი. საფიქრებელია, რომ დიდგორის ველზე ქართველების ჯარი დილის 7 საათისათვის უკვე განლაგებული იქნებოდა. ბრძოლა დაიწყებოდა დილის 7 $\frac{1}{2}$ —8 საათზე და გათავდებოდა სამი საათის შემდეგ, დაახლოებით 11 საათზე. ამის შემდეგ დაიწყო დევნა და ბრძოლები დიღმის ველზე (ამაზე ჭვემოთ).

თურქების ჯარმა იწყო გამლა ქართველების ჯარის სამხრეთით ნაოქიანის გორის ბოლო ძირობიდან, ვიდრე აღმოსავლეთით განგრების სერისა და ნაბაქურის გორას მისადგომამდის, დაახლოებით 2 $\frac{1}{2}$ კილომეტრ ფართობზე.

ადრე დილას, ალიონზევე, სამართებოსთან შეგროვილი იქნებოდნენ მეთაურები — მწიგნობართ-უხუცესი, მთავარ ეპისკოპოსი სვიმონი, ამირსპასალარი იოანე ორბელი, ხელმძღვანელი სამხედრო პირები, რაინდთა რაზმების ათასის თავები (თავადები) და სხვანი. საჭირო იყო წინა საღამოს შემუშავებული დისპოზიციის განხორციელება. ცნობა იყო მოსული (გოტიეს მიხედვით), რომ მტრის ლაშქარი განლაგებულია ველის მისადგომებთან (მაშასადამე, დიღომ-ვეძისის ხაზზე) და დიდ ფაცა-ფუცშია. დაეით მეფემ მიმართა იქ დამსწრე ხელმძღვანელთ სიტყვით, რომელიც მოჰყავს გოტიეს და რომელიც იწყებოდა ასე: „ქრისტეს მოყმენო“. დაეითმა ხაზი გაუსვა, რომ წინამდებარე ომი არის სამკედრო-სასი-ცოცხლო, ყველამ უნდა იბრძოლოს თავგანწირვით და ამი-

ტომ საჭიროა, რომ უკან დასახევი გზები შეკრულ
ხორგებით.

ყველა დაეთანხმა ამ აზრს. მხედართმთავრები დავეითის
მეთაურობით გაეშურნენ დისპოზიციით დანიშნულ
ადგილას, ჯარის დასაწყობად. პარალელურად დაიწყო უკან
დასახევი გზების მაგრად ჩახერგვა ხეებითა და ქვებით. გზე-
ბის ჩახერგვის საქმეს შეასრულებდნენ ლაშქრის უკანა ნა-
წილში მყოფი ქვეითი მეომრები, რომელნიც ლაშქარს სხვა-
დასხვა მომსახურებისათვის მიჰყვებოდნენ. სამხედრო მნიშ-
ვნელობა კი ამ მოსამსახურეებს ჰქონდათ მეტად მცირე, ან
თითქმის არავითარი.

ჯარის განრიგს, გოტიეს ცნობით, ხელმძღვანელობდა თვი-
თონ დავეითი. მთავარი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა
რაინდების განლაგებას.

ანალოგიური მუშაობა, რასაკვირველია, მიდიოდა თურ-
ქების უზარმაზარ ბანაკშიც. მაგრამ ამის შესახებ არავითარი
ცნობა არ შემონახულა. როდესაც ქართველების ხელმძღვანე-
ლობამ დაამთავრა თავისი ლაშქრის განლაგება, თურქების
ჯარიც განლაგებული იყო დილომ-ვეძისის მიდამოებში. აქე-
დან თურქების ჯარმა, როგორც გოტიეს ცნობიდან ჩანს, საკ-
რავების დიდი ხმაურითა და ყიყინით იწყო გადმოსვლა დიდ-
გორის ველზე. საკრავების ეს ხმაური და, საერთოდ, ყიყინი
ისეთი მძლავრი იყო, რომ, გოტიეს ინფორმატორის სიტყვით,
მთა და ბარი ამ ხმას ბანს აძლევდა. როგორც ეტყობა, წინ
მოდითდნენ თურქების ჯარის მძიმედ შეიარაღებული რაინ-
დები, თავიანთი კაცებით, და, ალბათ, ერთ ხაზ-წყობად, რად-
განაც სოლებად დაწყობა მათში არ იყო შილებული.

ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა. შეტევას იწყებდნენ ჯერ
თურქების რაინდები, რომელნიც თავს დაესხნენ მეწინავედ
მყოფ ფრანგ რაინდებს (გოტიეს ცნობა). ხოლო რადგანაც
მეწინავე ფრანგებს წინა ადგილი მხოლოდ ცენტრის პირდა-
პირ ჰქონდათ, ხოლო თურქები კი, ბუნებრივია, მთელი ხა-
ზით უტევდნენ, ამიტომ ქართველ რაინდების პირველი ხა-
ზის მარჯვენა და მარცხენა ფრთაც მაშინვე გახდებოდა თურქ-
რაინდების დარტყმის ობიექტი.

პირველი ხაზის ორას ფრანგ და პირველი ხაზის ხუთას

ქართველ რაინდს (მათი მსახურებით მეტი არ დაეცა) უტევდა დაახლოებით 1½ ათასი თურქი რაინდი. მათს შიდიოდა თურქებისათვის არახელსაყრელ პირობებში, ფრანგები და ქართველები სოლებად იყვნენ დაწყობდნენ, თურქები კი უტევდნენ გაშლილი ფრონტით. თურქი რაინდები ფრანგ-ქართველ რაინდთა ორ-ორ სოლს შორის ყვებოდნენ და, ცხადია, ორი მხრიდან დარტყმის შედეგად, იღუპებოდნენ. თავიანთი წყობის ასეთი უპირატესობის მეოხებით ფრანგ და ქართველ რაინდებს მეტად მცირე ზარალი ექნებოდათ, თურქი რაინდები კი დიდ ზარალს განიცდიდნენ. ამასთანავე, ქართველების მხარეზე რაინდები (რაინდების განლაგების სამივე ხაზის ჩათვლით), თურქებთან შედარებით, თითქმის ერთი ორად მეტნი იყვნენ. ამიტომ, როდესაც თურქი რაინდების მწყობრმა შეთხელება იწყო, შეტევაზე გადმოვიდნენ თურქ მსუბუქ ცხენოსანთა რაზმები. მაგრამ ასეთი ცხენოსნების შეტევა მძიმედ შეიარაღებული რაინდების წინააღმდეგ ბევრს არაფერს მოიტანდა, ახალ-ახალ მძიმე მარცხების გარდა.

მძიმედ შეიარაღებული ქართველი მოყმეების შეტევის გულისხმობს შავთელი 34-ე სტროფში:

აბჯარ-ჯრმალითა ვეფხებრ მკრჩხალითა
მეხ ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი.
მიხვედეს სიბრმესა, დავდეს სიღრმესა
ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი.
აქა რა ვანი! აქ არა ვანი
მეგობართაგან მათთვის საწოდნი.
ვადიდებ ველსა, ბრძენსა, არ ზელსა,
რომ სცა მათ ნიშნად ბოლოდ საცოდნი.

ი. ლოლაშვილის განმარტებით (იხ. მისი: ძველი ქართველი მეხოტბენი II, 1965, გვ. 195), „მკრჩხალი“ ნიშნავს მოღრიალეს. მთელი სტროფი ახლანდელი ქართულით იკითხება ასე:

„დავითი აბჯარ-ხმალით (ე. ი. თავისი აბჯარ-ხმალიანი რაზმით) ვეფხისებრ ღრიალით ციდან დაცემული მეხივით მოველინა მტერს. მტრის ჯარი („ორგულთა ერნი“) მიეცნენ სიბრმავს და ლოდით დაეშენენ სიღრმეში (უფსკრულში).“

მა ეს რა გასაჩერებელი ადგილია, ეს არაა მათი შეგობის
ბის მიერ მათთვის საწიდი სადგომი. ვადიდებ და ვიბრძობ
ბრძნულს არა ვიფურად აჩქარებულს (ხელმძღვანელობა).
რომ მათ მიანიჭა ნიშნად საცოდავი დასასრული“.

ამ სტროფიდან ჩანს, რომ გარკვეულ მომენტში, შეიარაღებული ქართველი რაინდები, რომლებსაც სათავეში დავითი ედგა, ვეფხვებრ ყვირილ-ღრიალით გადასულან შეტევაზე და მტერთაგან ბევრი შეომარი გადაუყრიათ ხეფხუვში. პირველი შემტევი, გოტიეს ცნობით, იყვნენ თურქები, ასევე ღრიალით, ყვირილით და ხმაურით. როდესაც ეს შეტევა გათავდა თურქების მარცხით, მაშინ მძიმედ შეიარაღებული ქართველი რაინდები, დავითის ხელმძღვანელობით, გადასულან კონტრშეტევაზე, დიდი წარმატებით.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ დავითი ამ შეტევის დროს ქართველი რაინდების მარცხენა ფრთაზე მდგარა. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ფრანგ-ქართველი რაინდების პირველ ხაზზე თურქების შემოტევა დამარცხდა, დავითი, აღბათ სამართებოს მითითებით, გადასულა მარცხენა ფრთაზე, საიდანაც მეორე და მესამე ხაზის რაინდებით შეუტია გვერდიდან — ნაოქიანის გორას მხრიდან მოწოლილი თურქების მსუბუქი ცხენოსანი ჯარის რაზმებს და გააქცია ისინი. ნაწილი კი ხეფხუვში გადაცვივდნენ.

26. დავითის უბრძვალ არაბების ჯარის წინააღმდეგ ნაბაჟურის სარზმ. დავითი, ცენტრიდან მოყმევით ასე ხერხიანად წარმოებულ შეტევის შემდეგ, მთელ ამ ხაზს, აღბათ, ამირსპასალარ იოანე ორბელს უტღვევს, ზოლო თვითონ უძღვება მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარის ნაწილს ნაბაჟურის სერზე, სადაც განლაგებული იყო არაბების ამირას დუბეისის ათი ათასიანი ჯარი, და სასტიკად შეუტია მას (შავთელის ცნობა, სტროფი 32). ამ ადგილას დავითმა გამოიყენა თავისი ტექნიკა, რომლის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი (ე. ი. არბალეტები, ნავთის ცეცხლით სასროლი ქვა-ყუმბარები და სხვ.). დუბეისის არაბთა ჯარი საუკეთესო იყო თურქების მთელ ლაშქარში. ეტყობა, სერზე თავდასხმა კომპინირებული იყო სხვადასხვა მხრიდან, რის გამო მტერმა

განიცადა დიდი ზარალი. ეს საკმაოდ გრძელი ხაზი (არხნაკ-
ლებ კილომეტრისა) მოწინააღმდეგის მკედრებით და მბრუნველ
დაჭრილებით დაიფარა. ქართველების ჯარი „უწყადლოდ“
იქცეოდა.

ქართველი მემკვიდრე (მოდღვარი არსენი) შემდეგ წაწმენდა
ვეცხს არაბების ჯარის წინააღმდეგ დაეითის მიერ განხორცი-
ელებულ ამ შეტევას: „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი
და ივლტოდა, რამეთუ კელი მალისა შეეწეოდა, და ძალი
ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხა-
დებულად და ყოველთა სახილველად წინაუძლოდა მას და
მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწევენულთა უსჯულოთა
მათ წარმართთა, რომელ თვთ იგი უსჯულონი და უმეცარნი
მოდმართ აღიარებდეს და მოგვთხოობდეს სასწაულსა ამას
მთავარ-მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა
სახელოვანნი იგი მეგრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა
ვითარ სიმარჯვთ და განკრძალულად სდევნა და მოსრნა,
რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“
(„ქართ. ცხოვრება“, I, გვ. 341).

ამგვარად, საომარ ხაზზე დაეითი თვითონ წინაუძლოდა
თავისს ჯარს ახალი სახელმწიფო დროშით, რომელზედაც
გამოსახული იყო მდგომარე (და არა ცხენზე მჯდომი) წმიდა
გიორგი. დაეითი „მკლავითა თვისითა“ ხოცავდა მტრის შემომ-
ტევე მეომრებს. მაშასადამე, იყო მომენტი, როდესაც არაბი
მეომრები თავს დაესხნენ ქართველებს იქ, სადაც იყო მთავა-
რი დროშა და დაეითიც, რომელიც იძულებული გამხდარა
კრიტიკულ მომენტში თვით ჩაბმულიყო ხელჩართულ ბრძო-
ლაში. შემდეგ ჯარში გაერთეულა ხმა წმიდა გიორგის რაღაც
სასწაულებრივი აქციის შესახებ, ქართველების სასარგებ-
ლოდ. ყოფილა, მაშასადამე, მეტად კრიტიკული მომენტი, რომ-
ლის დაძლევა, ზოგიერთის თვალსაზრისით, სასწაულებრივი
საშუალებით შეიძლებოდა ახსნილიყო. ამ ვერსიას საფუძვლად
დაედო, როგორც ჩანს, ცეცხლის სასარკოლი იარაღის ამოქმე-
დება დროშაზე შემომტევი არაბების წინააღმდეგ, რამაც შე-
საძლებელი გახადა მათი დახოცვა და მოგერიება.

მტერი შეიქნა „უძალო“. ღუბეისმა და სხვებმა გაქციევით
უშველეს თავს, „გლახაკებრ ძონძთა მოფენით“ („აბდულმე-

სიანი“, სტროფი 32). მოწინააღმდეგემ დასტოვა მთელი ჯივისი ბარგი, ბევრი „შიშით და ძრწოლით“ ნებდებოდა ტყვედ (იქვე, სტრ. 33). მტერი მთლად დაიქსაქსა და დაიბნა. „რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოსდგნენ მათსა ტყუედ და სხუათა გოლიათთათჳს რადლა რამცა გვნდოდა თქმად“ (მემატიანე, „ქართლ. ცხოვრება“, I, გვ. 341—342). გლეხებსაც (იგულისხმებიან მსახურნი გლეხნი, რომელნიც თან ახლდნენ მოყმეებს) კი მოპყავდათ ტყვედ არაბთა ამირები (მათ ქართველი ავტორი მეფეებს უწოდებს), ხოლო პირველხარისხოვან რაინდებზე („გოლიათებზე“) რაღა საჭიროა ლაპარაკიო.

დიდგორის ომის უკანასკნელი ეპიზოდები უნდა იგულისხმებოდეს შავთელის შემდგომ სტროფებში.

30. მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი,
 მახითა მოთვე, რომელ დააჩყვეს.
 ექმნა წარმართსა და ერსა მართსა
 განსახრწნელ, რომელ სრულ-პურობილ იყენს.
 რა მარჯაანთა და სპათა მათთა
 შერახსდა ლომი, თვით წაწვად იწყეს.
 მაშინ, დავით, მათ, მაშინ დავით მათ
 მრჩობლად სხეულთა სული განიყვეს.

31. იყვის რა ზმითა, ურბეცე რაზმითა
 გულის-მდებელად თვისთა სპათათვის,
 გორგასლიანი, დავითიანი
 დროშა იახლის მსრველად მტერთათვის.
 არ ვეშე, ვგზოში ბრძოლა და ომი
 სხვასმცა ძალ-ედვის მისგან მიმართ ვის
 მებრძოლთა გუნდნი ყოვლად უწინ ცუდნი
 ემა როსტომითა, უშვნე ძალთათვის.

32. ეკმობ ვამეყ-ვისისა, ართუ შეყვისსა,
 რის იავარ ჰყო იამან ქვეუნიო.
 აღმოგებრა სული, მე და ასული,
 რაც უყო, თქმევად ვის ძალუქს ენით.
 ენახეთ ა სერი: მახვდა სერი,
 მკეცნი, შფრინველნი უწულად მისეენით.
 ექმნა უწულოდ, თვით ქმნა უძალოდ
 მეფე გლაზაკებრ ძონითა მოყენით.

ამ იგულისხმება დუბეის II, არაბთა ტომის ბენუ-ჰადის მეთაური (მეფე). შავთელი გადმოგვცემს, რომ ივერთიდან (სამხრეთ-დასავლეთი არაბეთიდან) ხსენებული ტომი იავარ უყვია, ე. ი. ბევრის ამოწყვეტით განუღებინა ველისს. ახლა კიდევ დიდგორის ველზე ამ ტომის ამირას (მეფეს) დუბეისს ეკავა სერია. არაბები გაიქცნენ ისე, რომ მათ მეფეს შერჩა „გლახაეებრ მხოლოდ ძონძები“. სერია დაფარული იყო მკედრებით, რომელთაც მხეცნი და ფრინველნი ძიძგნიდნენ. ქართველი მემატიანეც გადმოგვცემს, რომ დიდგორზე გამარჯვების შედეგად „ალიფსნეს ველნი, მთანი და ლელენი მძორებითა“ (გვ. 341). ხსენებული სერია უნდა იყოს საბრძოლო ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდურზე მდებარე ნაბაკურის საკმაოდ ვრცელი სერია. ჩანს, ეს სერია ეკავა ამირა დუბეისის ქარს.

„აბდულმესიანის“ 33-ე სტროფი შინაარსით წინანდელი სტროფის გაგრძელებაა:

33. თვით სულ იმონა კიდელი მონა,
 მით გამოსცდიდა ღომისა მკლავთა:
 ალაგ ამითა — ა ლაგამითა —
 ცქაფად იხმარნეს ეტლთა მზრუნავთა.
 ვის რისხვით უკმო, უტყე იქმნეს, უკმო
 შიშით და ძრწოლით მომრთმევად თავთა.
 ბნელ ჰყოფს უოველთა ქვეყნის მურობელთა,
 ვით მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა.

სიძნელეს იწვევს პირველი სტრიქონის გაშიფრვა. მგონი, რომ „კიდელი მონა“ უნდა ნიშნავდეს: კიდელი არის იგივე კიდური, ხოლო „მონა“ — არაბულად მავნ — საჭირო საცხოვრებელი მარაგი (იგულისხმება პროდუქტები, მოწყობილობა და სხვ.). აზრი, მაშასადამე, ისაა, რომ დავეითი საესეებით დაეუფლა („თვით სულ იმონა“) კიდურ მარაგს. მტერმა კი ისწრაფა იმ ალაგიდან, ცხენის ლაგამის ამოქმედებით, თავისი ბედის მობრუნება. ბევრი თვითონ დანებდა და სხვ.

მაშასადამე, ხსენებულ სერზე მტრის დამარცხებასა და მის გაქცევას შედეგად მოჰყვა ქართველების მიერ მთელი სურსათ-საწოვავის მარაგისა და ბარგის ხელში ჩაგდება, ტყვეების წამოყვანა.

27. ქართველების თავდასხმა თურქებზე ნანახი

გსიიდან და ზურგში. დიდგორის ომში ყურადღებამ იქცევს ის, რომ მოწინააღმდეგე, თავისი სიმრავლის მიუხედავად, განადგურდა კატასტროფულად: ლაშქრის 90% დაიღუპა. დილით ან ტყვედ ჩაეარდნით. ფრონტალური იერიშით ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ცხადია, ქართველების სარდლობამ მოაწყო რაღაც მანევრირება და ამის შედეგად მოხდა მტრის ქარის უმეტესი ნაწილის გარემოცვა, რამაც შესაძლებელი გახადა მოწინააღმდეგის განადგურება.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ალ-ფარიყის ცნობა უფლისწულ დიმიტრის თავდასხმის შესახებ იმ მთიდან, რომლის ძირებაში თურქების ქარი იყო განლაგებული. ეს ცნობა ალ-ფარიყს ადგილზე ექნებოდა ქართველებისგან გაგონილი.

დიდგორჩინის ველს ჩრდილოეთ მხარეზე აკრავს ცალკე გორა-სერები და არა მთები. ამიტომ ალ-ფარიყის ეს ცნობა უნდა გვიჩვენებდეს, რომ დასავლეთ დიდგორზე, საწკებელას მთის ზეგანზე, მომხდარი ომის შემდეგ იქ უფლისწული დიმიტრი დიდი ქარით იმყოფებოდა დიდგორჩინზე ომის წინა დღესაც (ე. ი. 14 აგვისტოს), რადგანაც მოწინააღმდეგის საოპერაციო გეგმა გარკვეული არ იყო და ილაზის კვლავ შეეძლო ძეგვის ხეობის მიმართულებით გადასასვლელად ახალი ძალები გამოეგზავნა. ამიტომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ უფლისწული დიმიტრი თავისი ქარით კვლავ დარჩებოდა საწკებელას მიდამოებში, სანამ მოწინააღმდეგის გეგმა გამოაშკარავდებოდა. ხოლო იმის შემდეგ, როდესაც ეს გამოირკვა, ალიონზე, 15 აგვისტოს, უფლისწული დიმიტრი დაიძრა საწკებელას ზეგანიდან, საიდანაც მან სელა იწყო დილმის წყლის ხეობით, წოდორეთის მიმართულებით. დიმიტრის ქარში ამ დროს, ზემო დიდგორზე გადახდილი ომის შემდეგ, საეჭვოა, რომ ფეხზე მდგომი 20—21 ათას კაცზე მეტი ყოფილიყო (თავიდან მას ჰყავდა, როგორც აღვნიშნეთ, 22500 კაცი). რასაკვირველია, ამ მსვლელობის დროს, დიმიტრის მუდმივი კოცხალი კავშირი ექნებოდა დიდგორჩინში მყოფ სამართებოსთან, საიდანაც ის, ბუნებრივია, ლებულობდა მითითებებს, თუ საითყენ უნდა წარემართა თავისი მსვლელობა.

ომის გასაგებად, თუ რა მოხდა შემდეგ, საქიროა ვაგონის
ლისწინით წყაროების შემდეგი მონაცემები.

გოტიეს ცნობით, თურქების ჯარის რაოდენობა თითქმის
600 ათასი კაცს აღწევდა, ხოლო გაქცევის დროს ცხელი ველზე
განმავლობაში, მისი სიტყვით, თურქებმა 400 ათასი კაცი და-
კარგეს. გამოდის, რომ დიდგორწინის ველზე თურქებმა და-
კარგეს დახოცილთა და ტყვედ ჩაგარდნილთა სახით, თავისი
ჯარის მესამედი. მაგრამ თურქების ჯარის სრული რაოდენო-
ბა, როგორც ვნახეთ, 210 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო. მაშა-
სადამე, თურქებმა დიდგორწინის ველზე დაკარგეს 70 ათასი
კაცი და რომ პირველი დიდი დამარცხების შემდეგ და პირ-
ველი გაქცევისას თურქებს დარჩათ (210—70) 140 ათასი
კაცი. საბოლოოდ კი გადარჩა დაახლოებით 19 ათასი კაცი.
მაშასადამე, უკვე გაქცეული ჯარიდან შემდეგ დაღუპულა თი-
თქმის ორჯერ მეტი, ვიდრე პირველი გადამწყვეტი ომის
დროს დიდგორწინის ველზე. ცხადია აქედან, რომ გაქცევას
მოყვა ახალი დიდი ომი უკვე თითქმის გარშემორტყმულ, ყო-
ველ შემთხვევაში გზებჩაკეტილ მდგომარეობაში მყოფ
თურქთა დაქსაქსულ და დემორალიზებულ ჯარებთან.

ეს რომ ასე იყო, ჩანს კიდევ შემდეგიდან. გოტიეს სიტყ-
ვით, ქართველები სდევნიდნენ გაქცეულ თურქების ჯარს სამი
დღის განმავლობაში, ხოლო იბნ-ალ-ასირის წყაროს მიხედვით
10 ფარასანგის მანძილზე. 10 ფარასანგი კი ძველი საზომით
უდრის 53 კილომეტრს. სამი დღის განმავლობაში მდევარი
ჯარისთვის, როდესაც მოწინააღმდეგე მთელი სისწრაფით
გარბის, 53 კილომეტრი მეტად ცოტა მანძილია. უამისოდაც
ცხადია, რომ 140 ათასი თუნდაც დაქსაქსული, ლაშქარი შე-
ეცდებოდა გზადაგზა შეჩერებულყო წინააღმდეგობის გასა-
წევად, თუნდაც თავისი უკანდახევის წესიერად უზრუნველ-
საყოფად. ამიტომ დიდგორწინის ველზე დამარცხების შემდეგ
თურქების ჯარი უნდა შეჩერებულყო დიღმის ველზე. რა-
ტომ უნდა გაჩერებულყოვნენ თურქები დიღმის ველზე? ეს
გაჩერება უნდა ყოფილიყო იძულებითი, რადგან მათ უკან
დასახევი გზები გადაკრილი ჰქონდათ, როგორც ეტყობა დი-
მიტრი უფლისწულის მიერ. ის თავისი 20—21 ათასი ცხენო-
სანი ლაშქრით ჩაეცავედა დიღმის წყლის ხეობიდან ნენავის

მთაზე და მის ვაგრძელებასზე გადასასვლელ ბილი-გზებს და რაც მთავარია, დიღმის ველიდან სამხრეთით საბურთალოსკენ მიმავალ გზა-ბილიკებსაც.



იბნ-ალ-ასირისა და ალ-ფარიყის ცნობათა მიხედვით, რომელიც ლისწული დიმიტრი, რომელსაც თავის ჯარში ყოფილიყო მისი პეოლია, ზურგში მოექცა თურქებს შუა ბრძოლაში, მაშასადამე, ზემოთ მოცემული გაანგარიშებით, დაახლოებით დიღმის 9 1/2 საათზე. ზემოთ თქმულის მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო სოფელ დიღმის არეში, ან იქვე მის აღმოსავლეთით, სადაც თურქებს დატოვებული ექნებოდათ თავისი ბანაკი, მცირერიცხოვანი რაზმით.

მთაზე გადმოსული ქართველების ჯარიდან ქვემოთ ჩამოეშვა ორასი ყივჩაღი, ვითომდა თურქების მხარეზე გადასასვლელად, როგორც ეს მოთხრობილი აქვს იბნ-ალ-ასირს. თურქებმა ისინი ახლოს მიუშვეს თავიანთ რიგებთან. მაშინ ყივჩაღებმა უცხად დაიწყეს ისრების სროლა და შემდეგ გადავიდნენ ხმლით იერიშზე. ამასობაში მათ მოეშველა ნენავის მთიდან გადმომდგარი ქართველების სხვა ჯარიც, უფლისწულ დიმიტრის მეთაურობით (უფრო საგულისხმებელია ქართველებთან ერთად ყივჩაღების ჯარის ნაწილიც), რომელიც ჩაება ბრძოლაში. იბნ-ალ-ასირის წყაროს ცნობით, ყივჩაღებმა დაუშინეს თურქებს ხელშუბები და ისრები, აქ უნდა იგულისხმებოდეს მარჯა-არბალეტები, რომლებითაც შეიარაღებული იყვნენ 200 ყივჩაღის უკან მიმავალი ქართველ-ყივჩაღთა რაზმები. რადგანაც თურქებს არბალეტები არ ჰქონდათ, ამიტომ მათ ბანაკს ამ ხაზზე თავზარი დაეცემოდა.

ამგვარად, თურქებს დიდი დარტყმა მიაყენეს მარცხენა ფრთაზე და ზურგში, და ისიც ისე მძლავრად, რომ ამან საბედისწერო შედეგი იქონია მათზე.

28. თურქების ლაშქრის სრული განადგურება. აღვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს დიდგორწინის ველზე თურქების გაშლილი ლაშქრის სარდლობაზე და ლაშქარზე. ამით იხსნება, ალბათ, რომ თურქების სარდლობა და ჯარი მოიცვა ბანაკამ, რის შედეგი იყო დიდგორწინის ველზე მათი სასტიკი დამარცხება.

გაქცეული ჯარი გამოვიდა დიღმის ველზე. მას გამოეძევ-
ნა ქართველების ჯარი, ფრანგებთან და ყივჩაღებთან ერთად
დამფრთხალი და დემორალიზებული თურქები, არაბები თურათ,
ვერ ახერხებდნენ მწყობრად დალაგებას. ქართველთა მტრად
ანუ გაკვირვებით აღნიშნავს, თუ როგორ დაიხრებოდა
(გაქცეულთა) ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნა და
მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძო-
რებითა“ (გვ. 341). მთავარი დანაკლისი თურქების ჯარმა
სწორედ ამ დევნის დროს განიცადა. ეს ხდებოდა მეტწილად
იმის გამო, რომ თურქების ჯარის საუკეთესო ნაწილი, რაინ-
დების სახით, უკვე შეაყვდა ქართველ-ფრანგი რაინდების
რიგებს.

თვით მთავარსარდალი ილაზი მიიმდ დაიჭრა თავში,
რაც კიდევ უფრო გაამძიერებდა პანიკას. 1154 წ. ეს ადგი-
ლები ინახულა ალ-ფარიქმა, რომელიც ამ ომის შესახებ მი-
ღებული ცნობების საფუძველზე, როგორც მოხსენებული
იყო, წერდა: „დაიხოცა მაჰმადიანების ურიცხვი რაოდენობა,
ტყვედ წაყვანილ იქნა მაჰმადიანებისა და არაბების უამრავი
რიცხვი“-ო. ქართველებმა აიღეს მდიდარი ნადავლი, ხოლო
მაშინ წაყვანილი ტყვეების ნაწილი ახლაც, ე. ი. 1154 წელს,
მათთან არისო.

დიღმის ველიდან თურქ-არაბები, ვინც მოასწრო, გაიქცნენ
სამხრეთისკენ, როგორც ეტყობა თბილისისათვის გვერდის
აღლით. მათე ედესელი გადმოგვცემს: ქართველები დამარცხე-
ბულთ და გაქცეულთ სდევნიდნენ 8 დღის განმავლობაში,
ვიდრე ანისის საზღვრამდისო. ეს არის 180—200 კილომე-
ტრი. აქედან, პირველი სამი დღის განმავლობაში, როგორც
აღნიშნეთ, იბნ-ალ-ასირის ცნობით, სდევნიდნენ 50-ოდე კი-
ლომეტრის მანძილზე. სამი დღე ამ შედარებით მცირე მან-
ძილს იმიტომ მოუწდა, რომ საჭირო იყო გზების კარგად
დაზვერვა და, გარდა ამისა, სიფრთხილაც, რადგან გაქცე-
ულები ადგილ-ადგილ თავის გადასარჩენად წინააღმდეგობე-
ბის გაწევასაც შეეცდებოდნენ. დანარჩენი ხუთი დღის გან-
მავლობაში დევნა გრძელდებოდა, დღეში 25—30 კილომე-
ტრის მანძილზე.

თვით დავითი დევნის ორგანიზების შემდეგ დაბრუნდე-

ბოდა თავის ბანაკში. ალბათ, ბანაკში დარჩენილი გამარჯვებულნი (ბრძოლის დღესევე, 15 აგვისტოს) სალამო ხანს შეუდგნენ სამხრობას, რომელიც ნადიმში გადაიხარდა. ხალხური გადმოცემა უჩვენებს ნიშის ნანგრევებს იმ ადგილზე, სადა დაც უნდა ყოფილიყო ბრძოლის სამართებო და სწავლების ხსოვნა აღნიშნავს საბოლოო გამარჯვების შემდეგ გადახდილ სამხრობა-ნადიმს.

გამარჯვებულთ, როგორც აღნიშნეთ, დარჩათ დიდძალი ნადავლი. მაშინ არსებული წესით, ნადავლის მეხუთედი იყო მეფისა და მეათედი კი ეკლესიას გადაეცემოდა, საქველმოქმედო მიზნებისთვის. დანარჩენი კი რჩებოდა ჯარს. თამარის მატრიანე (1196 წ.) აღნიშნავს, რომ თამარის შამის პაპას, ე. ი. დავით აღმაშენებელს, თავის დროზე „წარეგზავნა მოძრე ლიქედისაგან დორბეზე (უნდა იყოს: ღუბიეს (სადაყაის ძისა, ეამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი, ოქროსა, შემკული თუალებითა ძვრფასითა“ („ქართ. ცხოვრება“, II, გვ. 74). ე. ი. გელათში ხახულის ღვთისმშობლის ხატისათვის დავითს გაუგზავნა ომის შემდეგ ღუბიეს სადაყაის ძის ყელიდან მოხსნილი ყელსაბამი („მანიაკი“, საბას სიტყვით, არის „საყელო შოთვალულ-მომარგალიტებული“). ამირა ღუბიისის ეს ძვირფასი მანიაკი აღმოჩნდებოდა მის ბარჯში, რომლის წაღება მისმა კაცებმა, კატასტროფიული დამარცხების გამო ვერ მოახერხეს.

დიდგორის ბრძოლის აღსანიშნავად XII ს-ნეშივე აშენდა ნიშები თვით დიდგორწინის ველზე იმ ადგილას, სადაც იმყოფებოდა ბრძოლის სამართებო, საწყეპელას მთა-ზეგანზე, და აგრეთვე დიდგორის წვერზე, საიდანაც უმაღლესი სამღვდელთება ბრძოლის დროს ლოცვას აღავლენდა გამარჯვებისათვის. ამ წვერზე უძველესი დროიდან იდგა ფალლოსის, როგორც გამანაყოფიერებელი ძალის, ქვის გამოსახულება¹. ამ გამანაყოფიერებელი ძალის ქვის გამოსახულების აღნიშვნელი დღესასწაული უძველესი დროიდან სრულდებოდა 20 მაიას. სახელად მას ერქვა, როგორც ეტყობა, დიდგორობა.

¹ ეს გამოსახულება, დამტყვეული სახით, 1940 წელს გადმოიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

XII ს. ამ დიდგორობას დაუკავშირდა თურქებზე მოხერხებუ-
ლი დიდი გამარჯვების უქმობაც. არსებითად, ხალხი, რო-
გორც გადმოცემებიდან ჩანს, დიდგორობის უქმობაში ახლა
წინანდელ გამანაყოფიერებელ ძალაზე მეტ მნიშვნელობას
დიდი გამარჯვების აღნიშვნას ანიჭებდა. სახალხო დღეობა,
ლამის თვეით, დაწესებულ იქნა, აგრეთვე საწყებელას მიდა-
მოებში 2 სექტემბერს. ორივე ამ დღეობაზე ახლაც ფეხით
მოდიან მლოცველები ალგეთიდან, მანგლისის მხარიდან და
ყველაზე მეტად — ვერეს ხეობიდან.

29. მხარეთა ზარალი. ქართველების ზარალის გამოან-
გარიშება მიახლოებით შეიძლება შემდეგნაირად.

როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ქართველი რაინდე-
ბის ჯარი, შეაზრეებითა და სხვა მომსახურე პირების ჩათ-
ვლით, სტეფანოს ორბელიანის მიერ შემონახული ცნობის
მიხედვით, შეადგენდა მიახლოებით 12 ათას კაცს. შვეთელი
კი, 1123 წელს, თავის შესხმაში იხსენიებს, რომ დავითს
ჰყავდა „მევრ ათასი“ დიდებულნი და დიდგვარი თავადნიო.
იგულისხმება მათი ხელქვეითი რაინდებისა და მათი მომსა-
ხურე პირების ჩათვლით. „მევრი“ ირანული წარმოშობის
სიტყვაა და ქართულად, სომხურად და სპარსულად ნიშნავდა
10 ათასს, ხოლო „მევრ ათასი“ უნდა ნიშნავდეს 11 ათასს.
მაშასადამე, დიდგორის ომში ქართველ რაინდებს და მათ
თანმხლებ პირებს დაკლებია ათასი კაცი ანუ 8,3%. სულ
დიდგორის ომში ფრანგების, ყივჩაღებისა და ოსების ჩათ-
ვლით ქართველებს ჰყავდათ დაახლოებით 57 ათასი კაცი. თუ
აქაც ზარალს იმავე რაოდენობით 8,3% ვივარაუდებთ, მივი-
ღებთ ქართველების მთელი ჯარის ზარალს დიდგორის
ომში — 5 ათასამდე კაცს.

დიდგორის ორსავე ბრძოლაში თურქებმა დაკარგეს ტყვედ
ჩავარდნილთა სახით: სულ 34 (5 და 30) ათასი კაცი. უკან
დაბრუნდა მთელი ლაშქარიდან 20 ათასი კაცი ან ცოტა ნაკ-
ლები. ხოლო დანარჩენი, 210 ათასიდან, მაშასადამე 156
ათასი კაცი, დაიღუპა ან, პირველი ხანებისთვის მაინც, უგზო-
უკვლოდ დაიკარგა.

ამეთი ბრწყინვალე გამარჯვება ქართველებმა მოიპოვეს

თავისი სამხედრო ძალების, განსაკუთრებით ჩაინდების სპეციალურად ორგანიზაციითა და სარდლობის მალაღობრისგან მოქმედებით.

ეროვნული
დიდგორის

40. თბილისის აღება ქართველების მიერ დიდგორის

რის ომს შედეგად მოჰყვა თბილისის საკითხის გადაწყვეტა. თბილისის აღება ქართველების მიერ დიდგორის გრანდიოზული ეპოპეის უკანასკნელი აკორდი იყო. მოძღვარი არსენი ამ ფაქტს, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიაში, მოკლედ აღნიშნავს: „ხოლო მეორესა წელსა (დიდგორის ომიდან) აიღო მეფემან (დავით) ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუნკდრა შვილთა თვსთა საჭურჭლედ და საბლად თვსად საუკუნოდ. ქრონიკონი ყყო სამას ორმოცდაორი“ (გვ. 342).

იბნ-ხალდუნი (გარდაიცვალა 1405 წელს) გადმოგვცემს, რომ ქართველებმა აიღეს თბილისი ერთი წლის გარემოცვის შემდეგ. ელ-სეჰების (გარდაიცვალა 1347 წელს) სიტყვით კი, თბილისის აღება ქართველების მხრივ ორ წელს გაგრძელდა, რის შემდეგ ქალაქი აღებულ იქნა. ეს ორი წყარო გვიანდელია და ამიტომ მათ ეს ცნობა დამახინჯებით აქვთ მოცემული.

საკითხს წყვეტს შემდეგი ცნობები.

მათე ედესელის სიტყვით, თბილისი აღებულ იქნა სომხური სათვალავის 570 წელს (19 თებერვალი 1121 — 18 თებერვალი 1122 წელი). ალ-ფარიყის სიტყვით თბილისი ქართველებმა აიღეს ჰიჯრის 515 წელს (22 მარტი 1121 — 10 თებერვალი 1122 წელი).

იბნ-ალ-ასირი, რომელიც ძველ და სანდო წყაროებს ემყარება, გადმოგვცემს, რომ დიდგორის ომის მოგების შემდეგ, როდესაც მელიქთოღრილი, ილღაზი და დუბეისი გაიქცნენ, „ქართველებმა შეწყვიტეს გაქცეულთა დევნა. მათ ხელი მიჰყვეს მაჰმადიანთა ქვეყნების ძარცვას და ალყა შემოარტყეს თფილისს. მათი თავდასხმები სატანჯველი იყო ქალაქის მცხოვრებთათვის, და ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა სამძიმო შეიქნა. გარემოცვა გაგრძელდა, ვიდრე 515 წლამდის

(იგულისხმება ამ წლის ბოლომდის). მაშინ ქართველებმა ძალით აიღეს ქალაქი. როდესაც ქალაქის მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობამდის მივიდნენ, მათ ვაგზავნეს ქართველებთან ქალაქის ყადი (მოსამართლე) და ქალაქისევე ქაზნის მფლობელი) მთავარი ჯამესი და ითხოვეს ქალაქის წამართვა, უცნებლობის პირობით. მაგრამ ქართველებმა ამ პირთა მოსმენა არ მოისურვეს და თვით ისინი (ყადი და ქათიბი) ცოცხლად დასწვეს. ისინი შევიდნენ ქალაქში და შეუდგნენ ქალაქის გაძარცვას¹.

მათე ედესელი გადმოგვცემს, რომ სომხური წელთაღრიცხვის იმავე 570 წელს, რომელშიც მოხდა დიდგორის ომი, ქართველების მეფემ დაეითმა წაართვა თბილისი სპარსელებს და შეუბრალებლად ამოწყვიტა ქალაქის მცხოვრებლები. „ხუთასმა კაცმა სრაპანგმა (ნაცემმა) კეტებით, გამოთრეულთ ტანჯვით დალიეს სული“¹.

აქედან ირკვევა, რომ თბილისი დაეითმა აიღო არა უგვიანეს 1122 წლის თებერვლისა, უფრო საფიქრებელია, ამ წლის იანვარში.

როგორც ზემოთ (§ 30) იყო აღნიშნული, „სრაპანგები“ იყვნენ ვისაყ-ბაშების ტოლი რაინდები. მაშასადამე, თბილისში, მისი გარემოცვის დროს, სულ ცოტა 500 ვისაყ-ბაში უნდა ყოფილიყო. ეს რიცხვი არ შეიძლება მთლად ზუსტი იყოს. ჯერ ერთი, თბილისის ვისაყ-ბაშების ნაწილი ბრძოლებში დაიხოცებოდა. ქართველების მიერ დახოცილთა რიცხვი — 500 კაცი შესაძლებელია გადამეტებულიც იყოს. მაგრამ სხვა წყაროთა უქონლობის გამო, რიცხვი 500 თბილისის დამცველ ვისაყ-ბაშთა რაოდენობის მაჩვენებლად, მიახლოებით, შეიძლება მიღებულ იქნეს.

თითო ვისაყ-ბაშს ჩვეულებრივ ჰყავდა ოთხი მეაბჯრე და მსახური (იხ. § 16). ამის მიხედვით, სულ ვისაყ-ბაშები მათი

¹ მ. ბროსემ ეს ადგილი ასე თარგმნა: (David) en fit empaler 500 en état de porter l'épée' qui moururent misérablement. „დაეითმა ქალაქის მცხოვრებთაგან სარზე ჩამოაცმევინა ხმლის ტარებს უნარაინი 500 კაცი, რომელნიც საცოდაოდ დახოცნენ“. ხოლო მ. დულორიე თარგმნა და ასე: il (David) fit enfiler et empaler l'un sur l'autre 500 hommes. „შინ (დაეითმა) ჩამოაცმევინა სარებზე ერთი მეორეზე 500 კაცი“.

შედგრად იბრძოდის გამყარებითა,
განცხუნვებულნი, განწმობულნი
უღონოდ შექმნის აბჯართ ავდიოთა:
გამგებული, გამარჯვებული
იყო, იშვებდა ფუფუნებითა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ მოხსენიებული აქაზი იყო იუდეების მეთერთმეტე მეფე VIII ს-ნეში ჩვ. ერამდე და ცნობილი იყო როგორც თავგამოდებული წარმართი, რომელმაც გაანადგურა იერუსალიმის ტაძრის ნივთები, დაამტვრია ისინი ნაწილ-ნაწილ. მანვე წარმართ ღმერთებს დაუდგა იერუსალიმის ყოველ კუთხეში სალოცავეები და სხვ. ასეთ აქაზად აქ იგულისხმება თბილისის უკანასკნელი ამირა, რომლის მაგივრად ახლა „აქა (ე. ი. თბილისში) ზის ახოვნებისა სვეტნი“, ე. ი. დავით აღმაშენებელი.

ეს სტროფი საინტერესოა იმით, რომ მასში მოხსენებულია ონორი დუქსი. ლათინური dux — წინამძღოლი, ფრანგულად duc გერმანული ტერმინით ჰერცოგი. ცხადია, ის არის დავით მეფის ლაშქარში მყოფი ფრანგი ჯეაროსანი რაინდების მეთაური (ონორი დუქსი, ლათინურად Honorius dux).

როგორც ჩანს, ეს ონორი დიდგორის ომის შემდეგ უშუალო მონაწილეობას ღებულობდა თბილისის გარემოცვაშიც. აქ დავით მეფეს მასთან მოსვლია რაღაც კონფლიქტი, რომელიც ფიცხი შერისხვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა.

შერჩეულ დროს დავითს თბილისი აუღია იერიშით („ბუკტაბლაკობით“) „საარაკო“ მძიმე ბრძოლის შემდეგ. დავითს მტერთაგან ბევრი დაუხოცია, ოჯახების აოხრებით (მათე ედესელის სიტყვით, ზომ ზუთასი კაცი სიკვდილით დასჯილ იქნა). შეპყრობილთ აბჯარი ახადეს. თვითონ დავითი „გამეხებული“ ყოფილა.

სტეფანოს ორბელიანის სიტყვით, თბილისი აიღო ამირსპასალარმა იოანე ორბელმა, ქართული წყარო კი ამას თვით დავით მეფეს მიაწერს. როგორც ეტყობა, ამირსპასალარი იოანე ორბელი უძღვებოდა თბილისის ციხისა და ქალაქის გარემოცვას მთელი 5 1/2 თვის განმავლობაში, დაწყებული 1121 წლის აგვისტოს მეორე ნახევრიდან, როდესაც დაიწყო ეს გარემოცვა, ვიდრე თბილისის აღებაამდის 1122 წ. იანვარი.

რადგან ალყა კიანურდებოდა, ამიტომ დავეითმა, როგორც ჩანს, გადაწყვეტა თვითონ ეხელმძღვანელა თბილისზე იერი შისათვის და „პირველსავე ომსა“, როგორც ამას გადმოგვცემს მოძღვარი არსენი, მან აიღო თბილისი. სხვა რაიმე დეტალთა ამის შესახებ არაა ცნობილი.

41. პრივილეგიები თბილისის მაჰმადიანთათვის.

როგორც მოხსენებული იყო, დავეითი სასტიკად მოექცა თბილისში მყოფ თურქებს, მაგრამ, ეტყობა, მხოლოდ თურქებს. რაც შეეხება თბილისის მკვიდრ არაბულ-სპარსული წარმოშობის მაჰმადიანებს, დავეითის მართებლობამ მათ, მათთან შეთანხმებით, შეუქმნა სპეციალური პირობები. აღ-ფარეი ამის შესახებ წერს: დავეითმა „მისცა ტფილისის მოსახლეობას ამანი (პატიება) და კეთილად მოეპყრა მათ. დავეითმა დაუდვა მათ ისეთი პირობები, რომელიც თვით მათ აირჩიეს. ეს პირობები იყო შემდეგი: ქალაქის იმ მხარეს, სადაც ცხოვრობდნენ მაჰმადიანები, არ უნდა ჰყოლოდათ ღორები და არც უნდა დაეკლათ ის მათთან. დავეითმა მოუჭრა მათ ღირპემი, რომლის ზედაპირზე იყო ხალიფასა და სულთანის სახელი. დავეითმა მისცა მათ აზნისა და ლოცვის აშკარად შესრულების უფლება და დაუდვა პირობა, რომ ისმაილის აბანოში არ შევიდოდა არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი. პარასკევ დღეს კათედრაზე მოხსენებულ იქნებოდა ხოლმე ხალიფა და სულთანი, და არა ის (ქართველთა მეფე)... მან დადვა პირობად, რომ ვინც ავნებდა მაჰმადიანს, მისი სისხლი განუსჯელად უნდა დაღვრილიყო მაჰმადიანის სასარგებლოდ. ის ძლიერ კარგად მოეპყრო მაჰმადიანთ, (მათი) რელიგიის მსახურთ, მეცნიერთ და სუფიებს. ასეთი პატივისცემა მათ არ ჰქონდათ თვით მაჰმადიანთა შორის. მე ვნახე ყველა ეს პირობა, რომელიც დღემდის აქვს მაჰმადიანებს, როდესაც მე შევედი მათთან თბილისში 548 (-1153) წელს. ამ წელს (უნდა ვიფიქროთ, ეს იყო გაზაფხული, ან ადრე შემოდგომა). მე ვნახე მეფე დიმიტრი. ის გაემართა ტფილისისაკენ და დარჩა იქ რამდენიმე დღეს. პარასკევ დღეს მეფე შევიდა მცხეთაში და დაქდა ქვის სკამზე, კათედრის და მქადაგებლის პირდაპირ. მან მოისმინა მთელი ქადაგება და დარჩა იქამდის, სანამ

ხალხმა არ ილოცა. როდესაც ის გამოვიდა, მან მეჩეთის სახე-
ლით იმ დღეს გასცა 200 წითელი (ე. ი. ოქრო) დინარი, მე-
ხშირად ვხედავდი მის კეთილგანწყობილებას რელიგიის, სასა-
ხურთაღმძი, მეცნიერთაღმძი, სუფიებისა, მქადაგებულთაღმძი
წარჩინებულთაღმძი, რომელნიც მასთან მიდიოდნენ. ^{200 წითელი}
ლად ექცეოდა მაჰმადიანებს, პატივსცემდა მათ და აძლევდა
მრავალ საჩუქარს“.

სხვა არაბულივე წყარო გადმოგვცემს, რომ „დავითი თეი-
თონ შვილია პარასკევს ჯამეში (მთაყარ მეჩეთში) თავისი
შვილით დიმიტრით. მან მოისმინა ქადაგება და ყურანის
ტექსტი და დაურთო ბლომად ოქრო ქათიბს (მქადაგებულს)
და შეეზინებს. მან ააშენა რიბატები (ქარვასლები, სასტუმ-
როები) სტუმრებისა და სუფიების მისაღებად, აგრეთვე სას-
ტუმროები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისათ-
ვის. უმართავედა მათ საზეიმო მიღებას. როდესაც მათ უნდო-
დათ ტფილისიდან წასვლა, აძლევდა ამის ნებას და მნიშვნე-
ლოვან თანხასაც სამგზავროდ. საერთოდ ის ეპყრობოდა მაჰ-
მადიანებს მეტი ყურადღებით, ვიდრე თვით მაჰმადიანი ხელ-
მწიფეები“¹.

როგორც ეტყობა, დავითი და მისი შვილიც დიმიტრი გა-
ნასხეავებდნენ ერთმანეთისაგან თურქებსა და არაბ მაჰმადი-
ანებს. ომი თურქებთან თბილისის გამო, გათავდა, ხოლო
არაბ-სპარსული წარმოშობის თბილისელ მაჰმადიანებს, რო-
მელნიც უმთავრესად ეპყრობა-ხელოსნობას მისდევდნენ, და-
ვითი და დემეტრე ეპყრობოდნენ კარგად და ცდილობდნენ
მათი, როგორც საქართველოს ეკონომიკისათვის სასარგებლო
ელემენტების, სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოყენებას.

ამგვარად, თბილისი კვლავ გადაიქცა საქართველოს დედა-
ქალაქად. მაგრამ თბილისის ეპოპეა, თვით დავითისავე დროს,
ამით არ დამთავრებულა.

**42. თურქ-სელჯუკიანთა სულთანის გამოლაშქარ-
ბა საქართველოს მიმართულებით.** იბნ-ალ-ასირი გად-
მოგვცემს, რომ ქართველების მიერ თბილისის აღების შემ-
დეგ, ქალაქიდან ლტოლვილები ჩაეიღნენ ბაღდადში დახმა-

¹ Defrémérig Fragments... პარიზი, 1849, გვ. 34.

რების გამოსათხოვრად, 516 წელს, მაგრამ იქ შათ გვიჩვენებს, რომ სულთანი მამულდი ჰამადანშიაო. ისინი გაემართნენ შადანისაკენ სულთანისაგან დახმარების სათხოვნელად. სულთანი გაემართა აზერბაიჯანში, სადაც დაპყრო რამადანს (1122 წლის 3 ნოემბერი — 2 დეკემბერი). (ამჟამინდელი სულთანი გაგზავნა ჯარი საქართველოზე¹. 1123 წლის მაისში სულთანი ჯარით შემოვიდა ამიერკავკასიაში.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჰიჯრის 515 წლის ბოლოში, ქართველების მიერ თბილისის აღების შემდეგ, ქალაქის ზოგი პეტაური ლტოლვილი ჰიჯრის 516 წლის დასაწყისში ჩასულა ბაღდადში (ჰიჯრის 516 წელი იწყებოდა 1122 წლის 11 თებერვალს). ამ წლის ნოემბერში სულთანი ჯერ კიდევ თერანში იყო. ქართველების მიერ თბილისის საამიროს დაკავებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა თურქმანების ხელმძღვანელობაზე. ამის შემდეგ სულთანი შეუდგა მზადებას საქართველოზე გამოსალაშქრებლად, რაც განახორციელა 1123 წლის მაისში.

სულთანი დიდი ჯარით შემოვიდა შირვანში, აიღო ქალაქი შამახა და შეიპყრო თვით შირვანშაჰიც. აქედან მან სპეციალური დესპანი გაუგზავნა დავითს და მოსთხოვა მისთვის ძღვენის მირთმევა. ამის საპასუხოდ დავითმა გარდა ქართველთა ლაშქრისა, შეკრიბა 50 ათასი ყივჩაღი და გაემართა შამახასკენ. სულთანს მისი ეაზირი უჩრევდა უკან დახევას, მაგრამ სულთანი არ დათანხმდა. მისდა საბედნიეროდ ქართველების ჯარში ქართველებსა და ყივჩაღებს შორის ატყდა უსიამოვნება, ჩხუბი, რის გამოც ყივჩაღების მეტი ნაწილი უკან დაბრუნდა. ამ დროს, შამახაში მომწყვდეული სულთანი სურსათის ნაკლებობის გამო ითხოვდა გზის მიცემას. მის საშველად მიმავალი ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ქართველებმა დაამარცხეს, რის შემდეგ სულთანი საჩქაროდ და შალულად გაბრუნდა უკან. თბილისი დარჩა საქართველოს მფლობელობაში.

ამის შემდეგ იწყება ფეოდალური წყობილების წარმატებითი ხანა საქართველოში. ამ ხანას აგვირგვინებს თამარ მეფის დროინდელი მართებლობა, მწერლობაში კი — შოთა რუსთაველის პოეზია.

¹ იხ. დეგრეშერის დასახ. წიგნი, გვ. 28.

დასკვნა. დიდგორის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში. თბილისი, რომელიც ოთხ საუკუნეზე მეტხანს უცხო დამპყრობთა ხელშეწყობით, დაუბრუნდა საქართველოს. ხოლო რადგან ცენტრში მდებარეობდა თავეისი მდებარეობით ამიერკავკასიის ცენტრში მდებარე ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ამით ძალზე გაიზარდა და გამაგრდა საქართველოს პოზიციები მეზობელი ქვეყნების მიმართ. ამის მიღწევა შესაძლებელი შეიქნა იმ დიდი ორგანიზაციულობის შედეგად, რომელიც გამოიჩინა საქართველოს სახელმწიფომ და ქართველმა ხალხმა, საერთოდ, დავით აღმაშენებლის ხანაში. ჩატარებულმა რეფორმებმა და სამხედრო შესაძლებლობათა სწორად გამოყენებამ მოუპოვა საქართველოს თურქ-სელჩუკიანთა აგრესიულ სახელმწიფოსთან დიდგორის ველზე სამხედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ბევრად უფრო მრავალრიცხოვან და დიდად საშიშ მოწინააღმდეგეზე ბრწყინვალე გამარჯვება.

დავითი, როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და როგორც ბრწყინვალე მხედართმთავარი, ჯერ კიდევ სათანადოდ შეფასებული არ არის. XII ს-ნის ქართველებმა დავითი შეამკეს დიდისა და აღმაშენებლის ეპითეტით.

ეს მონოგრაფია მიზნად ისახავს ამ ეპითეტის რამდენადმე მაინც გახსნას.

დავითთან ერთად მოხსენებული და სათანადოდ გამოვლენილი უნდა ყოფილიყვნენ მისდროინდელი დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი და უახლოესი თანამებრძოლნი — მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი და, მისი სიკვდილის შემდეგ, მისი შემცვლელი მწიგნობართუხუცესი სვიმონ გულაბერის ძე, ორივე სასულიერო პირი (მთავარეპისკოპოსები). უნდა მოხსენებულ იქნეს აგრეთვე ამირსპასალარი იოანე ორბელი, თბილისის გარემოცვის ხელმძღვანელი. ამ პირთა მიერ ქართველი საზოგადოების უნარიანმა, მაღალნიჭიერად გაძლოლამ და თვით ხალხისა და მისი ძალების ეფექტიანად დარაზმვამ მოუპოვა საქართველოს უდიდესი შედეგების მქონე გამარჯვება, რომლის მნიშვნელობა თავს იჩენდა და ცოცხლობდა საუკუნეების მანძილზე.

ს ა რ რ ე ზ ი

სარგის კაცობაძე	3
დიდგორის ომი	6
1. ლიტერატურის მიმოხილვა დიდგორის ომის შესახებ	6
2. ქართული ცნობები დიდგორის ომის შესახებ	14
3. გოტიეს ცნობა დიდგორის ომის შესახებ	17
4. სხვა ცნობები დიდგორის ომის შესახებ	22
5. თურქ-სელჩუკები	27
6. თურქების მიერ საქართველოს აპოტროზა და დაპყრობა	28
7. დავით აღმაშენებლის ცხოვრების ქრონოლოგია	30
8. დავით აღმაშენებლის მეფობის პირველი ხანა	31
9. საგარეოვების სისტემის რეორგანიზაცია	33
10. ჭვაროსნული ომების დასაწყისი და საქართველო	40
11. კახეთ-პერეთის საშუალო შემოერთება	45
12. სავაზირო და მწიგნობართუხუცესი	48
13. რაინდობა დასავლეთ ევროპაში	53
14. ფრანგი რაინდები ჭვაროსანთა პირველ ხანაში	55
15. ჭვაროსან რაინდების წყობის წესი	58
16. ქართული ფეოდალური ლაშქარი	59
17. ქართველი რაინდები ორგანიზაციის თვალსაზრისით	61
18. ტერმინი „მოყმე“ და „თავადი“	65
19. იყო თუ არა საქართველოში სარაინდო ორგანიზაცია — ორდენები?	67
20. შეიარაღება	72
21. ფინანსური ღონისძიებანი	75
22. ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლება	87
23. ახალი სახელმწიფო დროში	80
24. თბილისის სამიროს სტრუქტურული ხასიათი	81
25. თბილისის სამიროს მდგომარეობის გაუარესება თურქების ზღელში	89
26. მოსახლეობის დაახლოებითი რაოდენობა საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს	91
27. უიჯნაღების მოწვევა	94
28. თურქების წარის ხასიათი	95

29. თერქების დიდი გამოლაშქრება საქართველოს წინააღმდეგ	106
30. მოწინააღმდეგეთა ძალების რაოდენობა	107
31. დიდგორის ომის თარიღი	108
32. პირველი ბრძოლა თერქებთან დიდგორის ზეგანზე ხევის მიმართულებით	109
33. თერქების მზადება დიდგორის დიდი ომისათვის	110
34. ქართველი ჯარის განლაგება	111
35. ბრძოლის დაწყება. თერქების მთავარი შემოტევა და ქართველთა კონტრშეტევა	115
36. დავითის შეტევა არაბების ჯარის წინააღმდეგ ნაბაქურის სერზე	119
37. ქართველების თავდასხმა თერქებზე წენაყის მთიდან და ზურგში	123
38. თერქების ლაშქრის სრული განადგურება	125
39. მხარეთა ზარალი	128
40. თბილისის აღება ქართველების მიერ	129
41. პრივილეგიები თბილისის მამწაღიანთათვის	133
42. თერქ-სელჯუკიანთა სულთანის გამოლაშქრება საქართველოს მიმართულებით	134



ქართული
საბჭოთაო მეცნიერებათა
აკადემია

№ 531

რედაქტორი **ქ. გრიგოლია**

გამომც. რედაქტორი **ბ. ხუციშვილი**

შეატრელი რედაქტორი ვ. ინასარიძე
ტექნიკური რედაქტორი მ. ოსტაშვილი
ფურც. კორექტორი ვ. ბაბალაშვილი
კორექტორი თ. კაკუშაძე

ვადეცა წარმოებს 7/VI11-78 წ. ხელმოწერილია და-
სახეულად 30/X-79 წ. ქალაქის ზომა 84x108¹/₂-
სახეული ქალაქი № 2, ნაბეჭდი თაბახი 8,75. პირო-
ბითი ნაბეჭდი თაბახი 7,35. სააღრიცხვო-საგამომცემ-
ლო თაბახი 6,67.
ფე 06026. ტირაჟი 5.000. შეკვეთა № 1021.

ფასი 85 კპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვი-
ლის ქ. № 5.

Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Мард-
жанишвили, 5.
1982

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანი-
შვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета
Грузинской ССР по делам издательства, полигра-
фии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджа-
нишвили, 5.



ქართული
ენების ცენტრი

Какабадзе Саргис Несторович

ДИДГОРСКАЯ БИТВА

(на грузинском языке)